კადმოსი

ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი

17.2025

KADMOS

A Journal of the Humanities

17.2025

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

თბილისი 2025 Tbilisi

რედაქტორი	Editor-in-Chief
ნინო დობორჯგინიძე	**Nino Doborjginidze**

სარედაქციო კოლეგია	Editorial Board
ნინო აბაკელია	**Nino Abakelia**
სიმონე არნჰოლდი	**Simone Arnhold**
ლუიჯი მაგაროტო	**Luigi Magarotto**
თინათინ მარგალიტაძე	**Tinatin Margalitadze**
თამარ მახარობლიძე	**Tamar Makharoblidze**
დონალდ რეიფილდი	**Donald Rayfield**
ლარს ტრაპ-იენსენი	**Lars Trap-Yensen**
გურამ ყიფიანი	**Guram Kipiani**
ბელა წიფურია	**Bela Tsipuria**
ნინო ჭიჭინაძე	**Nina Chichinadze**
პიუს ტენ ჰაკენი	**Pius ten Hacken**

ასოცირებული რედაქტორი	Associate Editor
ელენე ტატიშვილი	**Elene Tatishvili**

ყდაზე: სამადლოს ელინისტური ხანის პითოსის მოხატულობის ფრაგმენტი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

On the cover: a fragment of a decorated Hellenistic pithos from Samadlo (The Georgian National Museum)

© 2025, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
© 2025, Ilia State University

ISSN 1987-8788 ბეჭდური
ISSN 2449-3147 ელექტრონული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ილია ჭავჭავაძის გამზ. 45, თბილისი, 0179, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
45 Ilia Chavchavadze Ave, Tbilisi, 0179, Georgia

ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“ გამოიცემა ყოველწლიურად. 2012 წლიდან „კადმოსი“ ინდექსირებულია EBSCO-ს მონაცემთა ბაზებში, 2023 წლიდან კი – ERIH PLUS-ში. 2022 წლიდან ჟურნალი არის Crossref-ის წევრი.

***Kadmos. A Journal of the Humanities* is published annually. The journal has been indexed in EBSCO databases since 2012, and in ERIH PLUS since 2023. Since 2022, *Kadmos* has been a member of Crossref.**

სარჩევი

სტატიები / Articles

ლევან შუღლიაშვილი, დავით შუღლიაშვილი, ნანა მჟავანაძე, ფრანკ შერბაუმი – ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ჰარმონიული ინტერვალური სტრუქტურა: საარქივო საველე ჩანაწერების (1948-1973) კომპიუტერული ანალიზის მონაცემები 7

Levan Shugliashvili, David Shugliashvili, Nana Mzhavanadze, Frank Scherbaum – Harmonic Interval Organization in Georgian Traditional Polyphony: Evidence from Computational Analysis of Archival Field Recordings (1948-1973) 22

ანა ზარანდია, თამარ მახარობლიძე – მოთხრობითი ბრუნვა ბავშვთა მეტყველებაში 33

Ana Zarandia, Tamar Makharoblidze – Ergative Case Acquisition in Georgian Children..... 48

ომარ ბეგოიძე – ქართველური საკულტო ტოპონიმები ამჟამინდელ ჩრდილოეთ ოსეთში 61

Omar Begoidze – Kartvelian Cultic Toponyms in Present-Day North Ossetia 75

მიმოხილვა / Review Articles

ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი – ემანუელე და იგლესიასის ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონის ხელნაწერის გრამატიკული ნაწილი 88

Nino doborjginidze, Maia Damenia, Tamar Cheishvili, Ana Chkuaseli – For the Analysis of the Grammatical Section of the Georgian-Italian and Italian-Georgian Dictionary of Emmanuele da Iglesias (abstract) 101

ანა ჭკუასელი – სამედიცინო საქმე მე-18-19 სს საქართველოში 102

Ana Chkuaseli – Medicine in 18th-19th-Century Georgia (abstract) 120

რეცენზია / Book Review

ნინო მელიქიშვილი – Th. Otkhmezuri, ed., Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, English translation by M. Odisheli, M. Vickers.....121

Nino Melikishvili – Th. Otkhmezuri, ed., Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, English translation by M. Odisheli, M. Vickers (abstract).....127

უცხოური ქართველოლოგია / Kartvelian Studies Abroad

მიშელ ვან ესბროკი – სამი ჯვარი „ქართლის მოქცევაში“ 129

Michel van Esbroeck – Les trois croix dans le *kartlis mokceva* (Georgian translation by Tsisana Bibileishvili)

ჩვენი ავტორები / Contributors.....135

სტატია
ARTICLES

ლევან შუღლიაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო
levanspublicemail@gmail.com

დავით შუღლიაშვილი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
david.shugliashvili@tsc.edu.ge

ნანა მჟავანაძე
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
nana.mzavanadze @tsc.edu.ge

ფრანკ შერბაუმი
გეომეცნიერებათა ინსტიტუტი
პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია
fs@geo.uni-potsdam.de

DOI: 10.32859/kadmos/17/7-32

ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ჰარმონიული ინტერვალური სტრუქტურა: საარქივო საველე ჩანაწერების (1948-1973) კომპიუტერული ანალიზის მონაცემები*

საკვანძო სიტყვები: *გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია, მრავალი ფუნდამენტური სიხშირის ამოცნობა, ჰარმონიული ინტერვალები, ქართული მრავალხმიანობა, საარქივო აუდიოჩანაწერები*

შესავალი

ქართული მრავალხმიანი სიმღერა ხასიათდება ხმების რთული კოორდინაციითა და ვერტიკალური ორიენტაციით, რასაც მეცნიერები საუკუნეზე მეტია იკვლევენ და აღწერენ (Аракишвили 1905, Nadel 1933; ახობაძე 1957; ჭოხონელიძე 1988; Чхиквадзе 1964; ასლანიშვილი

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG FR-21-2066).

1954 და სხვ.). დღემდე აქტუალურია დისკუსია რეგიონულ ტრადიციებში (სვანეთში, გურიაში, კახეთსა და სხვა კუთხეებში) ბგერათა-წყობის, ინტერვალური აგებულებისა და მისი რაობის საკითხებთან დაკავშირებით (არაყიშვილი 1950; ერქვანიძე 1992, ვეშაპიძე, წერეთელი 2014; Mzhavanadze and Scherbaum 2020; Scherbaum and Müller 2023; Scherbaum at al. 2022). ბოლო დრომდე, ჩანაწერების კორპუსის მასშტაბის აკუსტიკური ანალიზი ვერტიკალურ ინტერვალებზე ეყრდნობოდა ან ცალკეული ხმის F0 (ძირითადი სიხშირეების) ანოტაციებს (მაგ., არტემ ერქომაიშვილის ხმოვანი ჩანაწერები; Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017), ან ჩაწერის სპეციალიზებულ მეთოდებს, როგორიცაა, მაგალითად, ხორხის მიკროფონები (Scherbaum 2016). ღრმა დასწავლის უახლესი მიღწევები ერთარხიან საველე მასალებში მრავალხმიანი ჩანაწერის თითოეული ხმის ბგერათა სიხშირეების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (Bittner et al. 2017; Cuesta, McFee and Gómez 2020), რაც მასშტაბურ კორპუსებში და ისტორიულ კოლექციებში ჰარმონიული იტერვალების გამოყენების შესწავლის ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს.

წინამდებარე კვლევა ნაწილია პროექტისა „ქართული ტრადიციული მუსიკის ანალიზისა და მოდელირების კომპიუტერული სისტემა საარქივო საველე ჩანაწერებზე დაყრდნობით“ (SRNSFG FR-21-2066), რომელიც მიზნად ისახავს შეიმუშავოს სისტემები მრავალი-F0 დადგენისა და მრავალხმიანი ვოკალური კორპუსების მუსიკალური ინფორმაციის ამოღების (MIR) მეთოდებზე დაფუძნებული ანალიზისთვის.

ჩვენი კვლევა სამშრიანია. პირველ რიგში, ჩვენ ვამუშავებთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივიდან აღებულ ვრცელ, გეოგრაფიულად მრავალფეროვან ნიმუშთა ჯგუფებს და ვქმნით წინასწარი დამუშავების პროცედურულ ჩანაწერებს სეგმენტაციისთვის, ფილტრაციისა და სტანდარტიზაციისთვის. შემდეგ ვაკეთებთ მულტიფუნდამენტური სიხშირის (multi-F0) ალგორითმის ადაპტირებას და გაწრთვნას მრავალხმიანი ჩანაწერებისთვის და თითო ჩანაწერზე ვაგენერირებთ ჰარმონიული ინტერვალების განაწილებებს ცენტებში კონვერტირებისა და ნარევული მოდელირების საშუალებით (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Rosenzweig, Scherbaum and Müller 2019). ბოლოს კი, ამ განაწილებებიდან ვქმნით მთლიანი კორპუსის გამოსახულებას, სადაც მონაცემები გამოსახულია დაბალი განზომილების სივრცეში (PCA და UMAP მეთოდებით), ვადგენთ სტრუქტურას HDBSCAN-ის [1]გამოყენებით, ხოლო გამოყვანილი დბალგანზომილებიანი გამოსახულებების მუსიკოლოგიურ მართებულობას ვამოწმებთ ამ გამოსახულებებით რეგი-

1 HDBSCAN — იერარქიულ სიმჭიდროვეზე დაფუძნებული კლასტერიზაციის ალგორითმი, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა სიმკვრივის სტაბილური კლასტერების გამოვლენა.

ონული კუთვნილების და ჩანაწერის ფირის ნომრის პროგნოზირების ეფექტურობის დადგენით.

კვლევის კონტექსტი და წინაპირობები

ეთნომუსიკოლოგიური კვლევები ასახავს უნიკალურ ვერტიკალურ აზროვნებასა და ინტერვალურ შედგენილობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. განსაკუთრებით გამოარჩევენ კვარტების, კვინტების, ნეიტრალური ტერციებისა და ოქტავების როლს და ისეთ კულტურულად სპეციფიკურ თანხმოვანებას, როგორიცაა ე.წ. „ეროვნული ტრიქორდი“ 1-4-5 (არაყიშვილი 1950; Nadel 1933; ჭოხონელიძე 1988; ასლანიშვილი 1954). გამოთვლითი კვლევების ადრეულ ეტაპზე, ტონალური ორგანიზაციის კვლევის მიზნით, გამოიყენებოდა მაღალი ხარისხის სტუდიური ჩანაწერები ან ინდივიდუალური ხმების ჩანაწერები (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Scherbaum et al. 2021, 2022). სვანური სიმღერების შესახებ ჩვენმა წინა კვლევამ აჩვენა, რომ საარქივო აუდიომასალებიდან მრავალი-F0 გამოთვლა ხელს უწყობს ინტერვალური განაწილების ანალიზსა და ჩანაწერების კლასტერიზაციას (Shugliashvili et al. 2024). აღნიშნული კვლევა განზოგადებულია წინამდებარე ნაშრომში, რამდენადაც იგი ეფუძნება ეროვნული მასშტაბის ჩანაწერების უფრო ვრცელ კორპუსს და აერთიანებს თანამედროვე რეპრეზენტაციების შესწავლის და არაზედამხედველობითი შესწავლის მეთოდებს.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი შეიცავს საექსპედიციო მასლების 200-ზე მეტ მაგნიტოფირს, რომლებიც ჩაწერილია 1948-1973 წლებში. მთლიანობაში ქრონომეტრაჟი აღემატება 130 საათს, რომლის დაახლოებით სამი მეოთხედი ვოკალური მუსიკაა. ფირები თავდაპირველად გაციფრებული იყო ერთ WAV ფაილებად, რომლის ცალკეული სექციები შესაბამისი მარკერებით იყო მონიშნული. ჩვენ ავტომატურად ვაქციეთ ეს ფრაგმენტები ინდივიდუალურ ჩანაწერებად დავასათაურეთ (მაგ., „57-9-alilo.wav”) და დავურთეთ შესაბამისი ხელმისაწვდომი მეტამონაცემები (რეგიონი, თემი, ჯგუფი, თარიღი). საკვლევი ბაზიდან გამოვრიცხეთ ინსტრუმენტული ნაწარმოებები, მონოფონიური ჩანაწერები, არაქართული რეპერტუარი, ფრაგმენტული მასალა და ჩანაწერები რეგიონული კუთვნილების გარეშე. კვლევისთვის შერჩეული დარჩენილი მასალა მოიცავს 2,107 მრავალხმიან ვოკალურ ჩანაწერს 18 რეგიონიდან. ეს მასშტაბი ინარჩუნებს რეგიონულ მრავალფეროვნებას და კორპუსის დონის სტატისტიკის შეგროვების საშუალებას იძლევა.

მეთოდები
მოდელის განხილვა

ჩვენ ვიყენებთ მიმანიშნებლობაზე დაყრდნობილ არქიტექტურას, რომელიც ეფუძნება DeepSalience და Polyvocals სისტემებს (Bittner et al. 2017; Cuesta, McFee, Gómez 2020), და ვამუშავებთ harmonic constant-Q გარდაქმნას (HCQT) ფაზა-დიფერენციალურ მახასიათებლებთან ერთად, რათა მივიღოთ დრო-სიხშირის მიმანიშნებლობის რუკა S[t,f], რომელიც წარმოაჩენს t დროს ალბათობას, რომ სიხშირე f გაჟღერებული ტონის ძირითადი სიხშირეა.

წინამდებარე ნაშრომზე იტერირებით, სტანდარტული VGG-სტილის CNN ბლოკებს ვანაცვლებთ ერთმანეთზე დაწყობილი U-Net-ის ტიპის მოდულებით, რათა გავაუმჯობესოთ მრავალმასშტაბიანი კონტექსტის ერთიანი აღქმა. დამხმარე კავშირები (residual connections) უზრუნველყოფს მოდულის გაწვრთნის სტაბილურობას; გვიანი შერწყმა კი აერთიანებს ამპლიტუდისა და ფაზის შტოებს საბოლოო პროგნოზირების თავის მიღებამდე.

მრავალი-F0 ამომცნობი მოდელის გაწვრთნას ესაჭიროება დიდი რაოდენობის ინდივიდუალურ-არხებიანი აუდიო მასალა. ინდივიდუალურ-არხებიანი მრავალხმიანი ჩანაწერების სიმწირის გამო, ჩვენ ვქმნით ხელოვნურად მრავალხმიან ნიმუშებს, მონოფონური ჩანაწერების სიმულირებულ ოთახში მოქცევის Pyroomacoustics-ის საშუალებით (Scheibler, Bezzam and Dokmanić 2018). ჩანაწერთა ჯამების ერთბაშად რევერბერაციის ნაცვლად, თითოეული ხმის ვირტუალურ ოთახში განთავსება უფრო მეტად ემსგავსება ერთმიკროფონიან საექსპედიციო ჩანაწერებს. ღია მონაცემთა ნაკრებების სხვადასხვა მონოფონიური ჩანაწერიდან შექმნილი ფსევდომრავალხმიანი ჩანაწერების გარდა, წვრთნა ასევე იყენებს Polyvocal-ში აქამდე გამოყენებული მრავალხმიანი მონაცემების ღია ნაკრებთა კომბინაციასა და GVM კორპუსის ქართული მასალებიდან აღებული შეზღუდული რაოდენობის ნიმუშებს სისტემის ქართულ ჩანაწერებზე ადაპტაციის მიზნით (Cuesta, McFee and Gómez 2020; Scherbaum 2016).

წვრთნის შემდეგ, მოდელს ვიყენებთ ჩვენს სამიზნე კორპუსში არსებული ჩანაწერებიდან მრავალი-F0 ინფორმაციის ამოსაღებად. ყოველი ჩანაწერიდან ვიღებთ მიმანიშნებლობის რუკას, რომელიც ყოველი დროის მონაკვეთში აჩვენებს ჩანაწერში არსებული ხმების ფუნდამენტურ სიხშირეებს. ამის შემდეგ ვრიცხავთ ანომალიურ უკიდურესობებს (სიხშირეებს <100ჰც და >3000ჰც) და ამასთან ერთად ვიყენებთ ამბიტუსის გამათვალისწინებელ ფილტრს, რომელიც რიცხავს ჩანაწერში ხმების საშუალო სიხშირეზე ერთ ოქტავაზე მეტით დაშო-

რებულ სიხშირეებს. ამის შემდეგ, F0-ებს გავდარქმნით ცენტებად A1 = 55 ჰც-ს მიმართ და ვირჩევთ მხოლოდ სტაბილურ სეგმენტებს სიხშირის ტრაექტორიის სტაბილურობის ნიღბის მეშვეობით (Rosenzweig, Scherbaum and Müller 2019).

თითოეული ჩანაწერის ყოველ დროის მონაკვეთში, გამოვითვლით ყოველ თანმიმდევრულ ვერტიკალურ ინტერვალს ნაპოვნი F0-ებიდან (მაგ.: დროის მონაკვეთში რომელშიც გვხდება F0-ები [1400 ცენტი, 1650 ცენტი, 1750 ცენტი] A1-თან მიმართებით, ვითვლით ინტერვალებს [250 ცენტი, 100 ცენტი]); ჩანაწერში ამ ხერხით ამოღებულ ვერტიკალურ ინტერვალებს ვათავსებთ ამ ჩანაწერის ვერტიკალური ინტერვალების ნაკრებში. შერბაუმის მეთოდოლოგიის შესაბამისად (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017), ნაკრების ალბათობის სიმკვრივის ფუნქციის მოდელირებას ვაკეთებთ ბირთვული სიმჭიდროვის შეფასების მეთოდის მეშვეობით (KDE - kernel density estimation) და დადგენილი ფუნქციიდან ვიღებთ გამორჩეული მწვერვალების რაოდენობას. ამის შემდეგ, ნაკრებს ვარგებთ გაუსის ნარევის მოდელს (GMM - Guassian Mixture Model), რომელშიც კომპონენტების რაოდენობას ვუთანაბრებთ მწვერვალების რაოდენობას; კომპონენტების საშუალო მნიშვნელობები ქმნის ჩანაწერის მნიშვნელოვანი ინტერვალების შემაჯამებელ ნუსხას, ხოლო ნარევის სიმკვრივის ფუნქციის მეშვეობით ვიღებთ უწყვეტი ალბათობის მოდელს. საბოლოოდ, გამოთვლილი ნარევის სიმკვრივიდან 200 თანაბრად დაშორებული ცენტური პოზიციიდან ვიღებთ მნიშვნელობებს, ფიქსირებული სიგრძის ვექტორის მისაღებად, რომელიც გამოიყენება შემდგომი ანალიზისათვის (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Shugliashvili et al. 2024).

თავდაპირველად ვაკეთებთ ძირითადი კომპონენტების ანალიზს (PCA), რათა დავადგინოთ მონაცემების წრფივი სტრუქტურა და დისპერსიის ახსნადობა. შედეგად: მონაცემების პირველი ორი კომპონენტი აღწერს ცვლადობის 19%-ს , ხოლო პირველი 25-90%-ს (სხვა სიტყვებით, მცირე რაოდენობის კომპონენტებიც კი ასახავს მონაცემების ძირითად განსხვავებებს). არაწრფივი გეომეტრიის გამოსავლენად ვიყენებთ **UMAP**[2]-ს 2 და 25 განზომილებაში (McInnes et al. 2018).

2 UMAP — ერთგვარი ალგორითმი მონაცემთა შეკუმშული (დაბალგანზომილებიანი) გამოსახულების შესაქმნელად, რომელშიც შენარჩუნებულია მათი სტრუქტურა.

PCA კომპონენტების რაოდენობა	დისპერსიის ახსნილი პროპორცია
2	19%
3	27%
5	40%
10	62%
20	85%
25	90%

ცხრილი 1: ჰარმონიული ინტერვალების განაწილებებს (200-ელემენტიან GMM ვექტორებს) შორის დისპერსიის ახსნადობა PCA-ს კომპონენტების მიერ

ჩვენ სტრუქტურა დავადგინეთ HDBSCAN-ის გამოყენებით 2-D UMAP ჩაშენებებზე, რის შედეგადაც მივიღეთ 105 კლასტერი, რომელთაგან 648 ელემენტი მარკირებულია, როგორც ხმაური (დაუკლასტერებელი) (McInnes, Healy and Astels 2017).

თვისობრივი შესწავლისთვის, ჩვენ ვქმნით კლასტერული მასშტაბების სინოპტიკურ გამოსახულებებს; ამისათვის, თავდაპირველად გამოგვყავს გაუსის ნარევის მოდელი (GMM) თითოეული კლასტერის გაერთიანებული ინტერვალების ნაკრებისთვის. მაგალითად, ერთი კლასტერი, რომელშიც გურული სიმღერების ჩანაწერები ჭარბობს, ავლენს პიკებს 188, 297, 353, 464 და 694 ცენტის ფარგლებში, ხოლო სხვა კლასტერში, რომელშიც ჭარბობს კახური სიმღერების ჩანაწერები, ვლინდება პიკები 192, 298, 352, 414, 571, 658 და 725 ცენტის ფარგლებში, საიდანაც ჩანს, რომ ამ კლასტერებს ინტერვალი ტერცია საერთო აქვს, თუმცა განსხვავდება უფრო დიდი ინტერვალებით.



სურათი 1: მცირე მონაკვეთი ჩაშენების გრაფიკიდან, სადაც ნაჩვენებია ფერით გამოყოფილი მცირე კლასტერი (კლასტერი N17) ჩანაწერებისა, რომელთა ჰარმონიული ინტერვალების განაწილებები მსგავსია.

რეგიონული ინფორმაციის გამოვლენის მიზნით, ვამოწმებთ, ასახავენ თუ არა ინტერვალური განაწილებები კონკრეტული რეგიონების თავისებურებებს. ამისათვის, ჩვენ გამოვიყენეთ ორი გზა. პირველი — მოდალური ეტიკეტების გადატანა: თითოეულ ჩანაწერს ენიჭება მის HDBSCAN კლასტერში ყველაზე ხშირი რეგიონის ეტიკეტი; ამ მეთოდით დაახლოებით 33%-იანი სიზუსტით ხდება ჩანაწერის ეტიკეტირება 18 რეგიონის ფარგლებში. მეორე — კონტროლირებადი კლასიფიკაცია: 80/20 დაყოფით (მონაცემთა შემთხვევითობის პრინციპით არჩეული 80%-ის წვრთნისთვის, დარჩენილი 20%-ის ტესტირებისთვის) ვწვრთნით 100 ხისგან შემდგარ შემთხვევით ტყეებს (random forest) და ვცდილობთ რეგიონის პროგნოზირებას PCA2D, UMAP2D, PCA25D და UMAP25D ჩაშენებების საფუძველზე, რათა დავადგინოთ, თუ რამდენად ინარჩუნებს ეს ჩანართები ამა თუ იმ ჩანაწერში რეგიონულ თავისებურებებზე ინფორმაციას. ამ დავალებაში, UMAP25D აღწევს 40%-იან სანდოობას, თანაბარი სიზუსტით და სენსიტიურობით დაახლოებით 0.4-თან.

შედეგები

UMAP2D გამოსახულებებზე HDBSCAN-ის მეშვეობით გამოიყო 105 კლასტერი; 648 ჩანაწერი ვერცერთ კლასტერში ვერ მოხვდა. თითოეული კლასტერისთვის განისაზღვრა: ა) ჩანაწერების მოდალური რეგიონი და ბ) GMM-ის კომპონენტების საშუალო მნიშვნელობები. ეს მნიშვნელობები მივიღეთ კლასტერის ჩანაწერების ჰარმონიული ინტერვალების განაწილებიდან ხელახალი ნიმუშების შექმნისა და GMM-ის თავიდან მორგების გზით. შედეგად მივიღეთ სინოპტიკური გამოსახულება, რომელიც აჩვენებს, რა ტიპის ინტერვალები გვხვდება ამ კლასტერის ჩანაწერებში.

კლასტერული ანალიზის შედეგებზე ვიზუალური დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჰარმონიული ინტერვალების მსგავსი სტრუქტურების მქონე ჩანაწერები მართლაც ერთ კლასტერებში არიან განთავსებული.

მაგალითად, კლასტერი 20 (107 ჩანაწერი; მოდალური რეგიონი: გურია; მოდალური ფირის ინდექსი: 70) გამოირჩევა დაახლოებით 188-, 297-, 353-, 464- და 694-ცენტიანი ინტერვალებით. ამის საპირისპიროდ, კლასტერი 28 (46 ჩანაწერი; მოდალური რეგიონი: კახეთი; მოდალური ფირის ინდექსი: 151) შეიცავს 192-, 298-, 352-, 414-, 571-, 658- და 725-ცენტიან ინტერვალებს. მცირე ინტერვალები ემთხვევა კლასტერი 20-ისას, მაგრამ განსხვავებები თვალსაჩინოა სეკუნდაზე დიდი ინტერვალების შემთხვევაში.

დეტალური მონაცემები – ინტერვალების სინოპტიკური მასშტაბები, მოდალური რეგიონები და ფირების ინდექსები, აგრეთვე სრული ჩაშენების გრაფიკი – ხელმისაწვდომია ჩვენს ბაზაში: https://github.com/lshug/pypolyphonicanalysis_data/tree/main/KADMOS2025.





სურათი 2-3: 28-ე და მე-20 კლასტერში შემავალი ჩანაწერების ჰარმონიული ინტერვალების განაწილებების ერთმანეთზე დალაგებული გრაფიკები. წითელი ხაზები ასახავს ხელახლა მორგებულ GMM-ებს.

„-1“ კლასტერში მოექცა 648 ჩანაწერი, რომლებიც HDBSCAN-მა ვერ მიაკუთვნა კონკრეტულ ჯგუფს. მათი ჰარმონიული ინტერვალე-

ბის განაწილება აჩვენებს ზოგად ტენდენციებს სხვადასხვა რეგიონისთვის საერთო ინტერვალების კუთხით, რაც მიუთითებს კორპუსის ჩანაწერების ერთგვარ საერთო სტრუქტურაზე, თუმცა ეს სტრუქტურა გაცილებით ნაკლებ სისტემურია, ვიდრე დადგენილი კლასტერები.



სურათი 4: HDBSCAN-ის მიერ დაუჯგუფებელი ჩანაწერების ჰარმონიული ინტერვალების განაწილებების ერთმანეთზე დალაგებული გამოსახულება, სადაც ვლინდება კორპუსის მასშტაბით ჰარმონიული ინტერვალების განაწილების საერთო ტენდენციები

რეგიონული მონაცემების წინასწარი პროგნოზირების სიზუსტის შესაფასებლად, ჩვენ დავტესტეთ კლასტერული ჯგუფების პროგნოზირებისა და ჩაშენებების შესაძლებლობები. თავდაპირველად, შევისწავლეთ რამდენად ხშირად ემთხვევა ჩანაწერის კლასტერში ყველაზე ხშირი რეგიონი ჩანაწერის ნამდვილ რეგიონს 18 რეგიონიდან. შედეგად მივიღეთ 33%-იანი სიზუსტე, რაც ნიშნავს, რომ ჩანაწერების მესამედისათვის საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნა, რომელ კლასტერში მოათავსა HDBSCAN-მა მოცემული ჩანაწერი, რათა სწორად გამოვიცნოთ მისი წარმომავლობის რეგიონი.

ამის შემდეგ შევაფასეთ, რამდენად აქვთ თავად ჩაშენებებს ჩანაწერის წარმომავლობის რეგიონის პროგნოზირების უნარი. მონაცემების 80%-20%-იანი ტრენინგ-ტესტ დაყოფის საშუალებით, 100-ხიანი შემთხვევითი ტყეების (random forest) კლასიფიკატორები გაიწვრთნა

ჩანაწერის გეოგრაფიული რეგიონისა და ფირის ინდექსის განსაზღვრის მიზნით UMAP2D, PCA2D, UMAP25D და PCA25D გამოსახულებების საფუძველზე. სიზუსტეები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში. განსაკუთრებულად გამოირჩევა ოცდახუთკომპონენტიანი UMAP, რომელმაც მანამდე მისთვი უცნობი ჩანაწერის რეგიონის სწორი კლასიფიცირება შემთხვევების 40%-ში შეძლო. რეგიონის პროგნოზირების მაღალი სიზუსტე ადასტურებს, რომ მიღებული ჰარმონიული ინტერვალების მახასიათებლები შეიცავს მნიშვნელოვან მუსიკალურ და კულტურულ ინფორმაციას, რაც სანდოობას ანიჭებს ჩვენს გამოთვლით მეთოდს.

ჩაშენების ტიპი	სანდოობა	სიზუსტე	სენსიტიურობა
PCA2D	0.17	0.1	0.1
PCA25D	0.39	0.19	0.2
UMAP2D	0.25	0.15	0.14
UMAP25D	0.4	0.41	0.4

ცხრილი 2: ჩანაწერების რეგიონული კუთვნილების კლასიფიკაციის შედეგები, მიღებული 2-განზომილებიან და 25-განზომილებიან PCA და UMAP ჩაშენებებზე დაყრდნობით

განხილვა

კლასტერების სინოპტიკური სქემების რაოდენობრივი ანალიზი ამყარებს ადრინდელ სამეცნიერო თვალსაზრისს ქართული მრავალხმიანი სიმღერის ვერტიკალური კოორდინაციის შესახებ (Nadel 1933; არაყიშვილი 1950; ჭოხონელიძე1988; ასლანიშვილი 1954).

105 HDBSCAN კლასტერში, რომლებიც UMAP2D ჩაშენებებიდან მივიღეთ, 103 კლასტერში მინიმუმ ერთი გამოკვეთილი ინტერვალი გვხვდება ტერციის ფარგლებში (300-400 ცენტი). 100 კლასტერში გვხვდება ინტერვალი, რომელიც უახლოვდება წმინდა კვინტას (700 ცენტი); 76 კლასტერში გვხვდება ინტერვალი წმინდა კვარტის (500 ცენტი) ფარგლებში და 93 კლასტერში — ოქტავა (1200 ცენტი). ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ტერციები და კვინტები ვერტიკალური ტექსტურის საყრდენს წარმოადგენს, ხოლო კვარტები და ოქტავები რამდენადმე ნაკლებად უნივერსალურია.

იმ კლასტერის სინოპტიკური სქემა, რომლის წევრების რაოდენობა ყველაზე დიდია (n = 107, მოდალური რეგიონი: გურია), ავლენს

პიკებს, რომელთა ცენტობრივი მაჩვენებლებია: 188, 297, 353, 464, 524, 694, 903 და 1181 ცენტები. იგი აერთიანებს ძალზე მჭიდრო და ინტენსიურ ტერციულ სტრუქტურულ რეგიონს კვინტებისა და ოქტავების კომპონენტებით. ეს ტენდენციები შეესაბამება კარგად დოკუმენტირებულ აღწერილობას პრეფერენციული ვერტიკალური ჰარმონიული ურთიერთობების შესახებ (Mzhavanadze and Scherbaum 2020; Scherbaum and Müller 2023; Scherbaum et al. 2022).

მოდალური რეგიონების კლასტერებში განაწილების ფაქტორებს შორის, გარდა რეპერტუარისა და ჩაწერის პირობებისა, მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ რეგიონულ კუთვნილებას უკავია. 105 კლასტერში კახეთი წარმოადგენს 31 კლასტერს (432 ჩანაწერი), გურია — 14 კლასტერს (240 ჩანაწერი), სვანეთი — 11 კლასტერს (139 ჩანაწერი) და სამეგრელო — 11 კლასტერს (138 ჩანაწერი).

კვინტები კახეთის თითქმის ყველა და გურიის აბსოლუტურად ყველა კლასტერში გვხვდება, ხოლო ტერციების პიკები (300-350 ცენტის ფარგლებში) გავრცელებულია ყველა რეგიონში. დიდ სეკუნდაზე ოდნავ პატარა ინტერვალი (188 ცენტი), რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა გურიის ყველაზე დიდ კლასტერში, გვხვდება გურიის კლასტერთა დაახლოებით ნახევარში, თუმცა კახეთში გაცილებით იშვიათია.

UMAP2D-ისა და HDBSCAN-ის გამოყენებით მიღებული კლასტერები ქმნის ასიმეტრიული ტიპის განაწილებას, სადაც ბევრი პატარა, თუმცა თანმიმდევრული ჯგუფია (კლასტერის საშუალო ზომა 10; 75-ე პროცენტილი 16; მაქსიმუმი 107) და საკმაოდ დიდი ხმაურის ნაკრები („-1“ კლასტერი, 648 ერთეული). მაღალი კლასტერული დაფარვა მიუთითებს, რომ ინტერვალების განაწილების ვექტორები საიმედოდ ქმნის მჭიდრო სამეზობლოებს, თუმცა საკმაოდ მოზრდილი ხმაურის ფრაქცია ალბათ მრავალფეროვანი ფაქტორების ნაზავს ასახავს: ექსპედიციის სხვადასხვა კონტექსტში აკუსტიკური ცვალებადობა, რეგიონული ნიშნით აღბეჭდილი რეპერტუარის ჰეტეროგენურობა და დაბალგანზომილებიან სივრცეში სიმკვრივეზე დაფუძნებული კლასტერირების კონსერვატიზმი. თითოეულ კლასტერზე საშუალოდ 9 სინოპტიკური პიკის არსებობა (დიაპაზონი 4-14) მიუთითებს, რომ ჩვენი KDE-ის პიკების დათვლისა და GMM-ზე მორგების პროცედურით შესაძლებელი ხდება მნიშვნელოვანი ვერტიკალური ინტერვალების შეზღუდული, მაგრამ ინტერპრეტირებადი კომპლექტების დაჭერა; მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან ახლოს მდებარე ინტერვალები, მათი სიმჭიდროვიდან გამომდინარე, შესაძლოა, ზედმეტად ან არასაკმარისად დაიყოს. მთლიანობაში, ეს ანალიზი ადასტურებს ჩვენს

ადრინდელ თვალსაზრისს: ინტერვალების სტატისტიკა თავისთავად შეიცავს მუსიკალურად მნიშვნელოვან სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება რეგიონულ მეტამონაცემებს, მაგრამ ამავე დროს შესაძლოა, მგრძნობიარე იყოს ჩაწერის პირობებისა და რეპერტუარზე გავლენის მქონე ფაქტორების მიმართ, რაც ცალსახად უნდა იქნას მოდელირებული მომავალ კვლევებში.

დასკვნები და სამომავლო ამოცანები

მრავალხმიანი საარქივო ჩანაწერებიდან პირდაპირ გამოთვლილი ჰარმონიული ინტერვალების განაწილებითი გამოსახულებები მუსიკალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. მიმანიშნებლობაზე დაფუძნებული მრავალი-F0 გამოთვლა, GMM ინტერვალური მოდელები და თანამედროვე მანიფოლდური სწავლების კომბინაცია ავლენს სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება რეგიონულ მეტამონაცემებს და უზრუნველყოფს პროგნოზირების შესაძლებლობებს 18 რეგიონში საკმაოდ მაღალი სიზუსტით.

მომავალი მიმართულებები მოიცავს: 1) თითოეულ ჩანაწერში ინტერვალების გაურკვევლობის კვანტიფიქაციას; 2) ვერტიკალური და ჰორიზონტალური (მელოდიური) სტრუქტურის ერთობლივ მოდელირებას; 3) სხვადასხვა კორპუსის შედარებასა და დროში ბგერათწყობის პარამეტრების ცვლილების ანალიზს; 4) უფრო ვრცელ და ღრმა მუსიკოლოგიურ ინტერპრეტაციას რეგიონული ექსპერტების ჩართულობით და სვანეთზე ფოკუსირებული კვლევის გაშლა-გაფართოებას (Shugliashvili et al. 2024; Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Scherbaum at al. 2022; Scherbaum and Müller 2023).

მადლობა

წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG FR-21-2066). მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიას მათი ფასდაუდებელი წვლილისათვის.

დამოწმებანი

არაყიშვილი, დიმიტრი. 1950. *სვანური ხალხური სიმღერები.* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება."

ასლანიშვილი, შალვა. 1954. „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერებში." კრებულში *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ* ტ.1, 3-89. თბილისი: გამომცელობა „ხელოვნება."

ახობაძე, ვლადიმერ. 1957. *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერები.* თბილისი: შრომა და ტექნიკა.

ვეშაპიძე, ლევან და ზაალ წერეთელი. 2014 „ქართული ბგერათაწყობის შესახებ". *ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი.* სექტემბერი 22-26, თბილისი.

ერქვანიძე, მალხაზ. 1992. „ქართული მუსიკის წყობა." *ხელოვნება* 7-8: 66-80.

ჭოხონელიძე, ევსევი. 1988. „ხმათა კოორდინაციისა და ჰარმონიის ზოგიერთი თავისებურება ქართულ ხალხურ მრავალხმიან (პოლიფონიურ) მუსიკაში." კრებულში *ქართული მუსიკის პოლიფონიის საკითხები*, რედ.-ები ნოდარ გაბუნია, რუსუდან წურწუმია და სხვანი, 29-42. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

Аракишвили, Дмитрий. 1905. *Краткий очерк развития грузинской карталино-кахетинской народной песни с приложением нотных примеров и 27 песен в народной гармонизации.* Москва: тип. К.Л. Меньшова.

Bittner, Rachel M., Brian McFee, Justin Salamon, Peter Li and Juan P. Bello. 2017. "Deep Salience Representations for F0 Estimation in Polyphonic Music." In *Proceedings of the International Society for Music Information Retrieval Conference.*

Cuesta, Helena, Brian McFee and Emilia Gómez. 2020. "Multiple F0 Estimation in Vocal Ensembles Using Convolutional Neural Networks." In *Proceedings of the 21st International Society for Music Information Retrieval Conference,* 302-309. Montréal.

McInnes, Leland, John Healy, Nathaniel Saul and Lukas Großberger. 2018. "UMAP: Uniform Manifold Approximation and Projection." *Journal of Open Source Software* 3 (29): 861.

McInnes, Leland, John Healy and Steve Astels. 2017. "hdbscan: Hierarchical Density Based Clustering." *Journal of Open Source Software* 2 (11): 205.

Mauch, Matthias and Simon Dixon. 2014. "pYIN: A Fundamental Frequency Estimator Using Probabilistic Threshold Distributions." In *2014 IEEE International Conference on Acoustics, Speech and Signal Processing (ICASSP)*, 659-663. Florence, Italy.

Mzhavanadze, Nana and Frank Scherbaum. 2020. "Svan Funeral Dirges (Zär): Musicological Analysis." *Musicologist* 4 (2): 168-197.

Nadel, Siegfried F. 1933. *Georgische Gesänge.* Leipzig: Harrassowitz.

Ronneberger, Olaf, Philipp Fischer and Thomas Brox. 2015. "U-Net: Convolutional Networks for Biomedical Image Segmentation." arXiv:1505.04597.

Rosenzweig, Sebastian, Frank Scherbaum and Meinard Müller. 2019. "Detecting Stable Regions in Frequency Trajectories for Tonal Analysis of Traditional Georgian Vocal Music." In *Proceedings of the International Society for Music Information Retrieval Conference*.

Scheibler, Robin, Eric Bezzam and Ivan Dokmanić. 2018. "Pyroomacoustics: A Python Package for Audio Room Simulations and Array Processing Algorithms." In *Proceedings of IEEE ICASSP.* Calgary.

Scherbaum, Frank. 2016. "On the Benefit of Larynx-Microphone Field Recordings for the Documentation and Analysis of Polyphonic Vocal Music." In *Proceedings of the 6th International Workshop on Folk Music Analysis.* Dublin.

Scherbaum, Frank, Nana Mzhavanadze, Sebastian Rosenzweig and Meinard Müller. 2022. "Tuning Systems of Traditional Georgian Singing Determined from a New Corpus of Field Recordings." *Musicologis*t 6 (2): 142-168.

Scherbaum, Frank and Meinard *Müller.* 2023. "From Intonation Adjustments to Synchronization of Heart Rate Variability: Singer Interaction in Traditional Georgian Vocal Music." *Musicologist* 7 (2): 155-177.

Scherbaum, Frank, Meinard *Müller and Sebastian Rosenzweig.* 2017. "Analysis of the Tbilisi State Conservatory Recordings of Artem Erkomaishvili in 1966." In *Proceedings of the 7th International Workshop on Folk Music Analysis.* Málaga.

Shugliashvili, Levan, Nana Mzhavanadze, David Shugliashvili and Frank Scherbaum. 2024. "Tracking Changes in Harmonic Interval Structures of Svan Songs Based on Computational Analysis of Field Recordings from 1959-1971." *History, Archaeology, Ethnology* XI: 654-670.

Чхиквадзе, Г. З. 1964. *Основные типы грузинского народного многоголосья.* Москва: Наука.

Levan Shugliashvili
Independent researcher, Georgia
levanspublicemail@gmail.com

David Shugliashvili
Tbilisi State Conservatoire, Georgia
david.shugliashvili@tsc.edu.ge

Nana Mzhavanadze
Tbilisi State Conservatoire, Georgia
nana.mzavanadze @tsc.edu.ge

Frank Scherbaum
Geophysics at Institute of Geosciences,
University of Potsdam, Germany
fs@geo.uni-potsdam.de
DOI: 10.32859/kadmos/17/7-32

Harmonic Interval Organization in Georgian Traditional Polyphony: Evidence from Computational Analysis of Archival Field Recordings (1948–1973)*

Keywords: *computational ethnomusicology, multi-F0 estimation, harmonic intervals, Georgian polyphony, archival audio*

Introduction

Georgian polyphonic singing features complex voice coordination and a vertical orientation that scholars have described for over a century (Nadel 1933; Akhobadze 1957; Chokhonelidze 2010/1988; Chkhikvadze 2010/1964; Aslanishvili 2010/1954). Theoretical debates persist around the nature of tuning and intervallic organization in regional traditions, including Svaneti, Guria, Kakheti and others (Аракишвили 1905; Arakishvili 2010/1950;

* This research was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG FR-21-2066).

Veshapidze and Tsereteli, 2014; Mzhavanadze and Scherbaum 2020; Scherbaum and Müller 2023; Scherbaum et al. 2022). Until recently, corpus-scale acoustical analysis of vertical intervals depended on data with per-voice F0 annotations (e.g., the Erkomaishvili recordings; Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017) or specialized capture modalities such as larynx microphones (Scherbaum 2016). Advances in deep learning now enable estimating multi-voice pitch salience directly from single-channel field recordings (Bittner et al. 2017; Cuesta, McFee and Gómez 2020), opening new pathways to study harmonic interval usage at scale and across historical collections.

This study is part of the project "Computational System for Analysis and Modelling of Georgian Traditional Music Based On Archival Field Recordings" (SRNSFG FR-21-2066), aimed at developing systems for multi-F0 estimation and music information retrieval (MIR)-based analysis of polyphonic vocal corpora. Our contribution is threefold. First, we process a large, geographically diverse subset from the TSC Folklore Laboratory archive and design a preprocessing pipeline to segment, filter, and standardize recordings. Second, we adapt and train a multiple fundamental frequency estimator for polyphonic singing and derive per-recording harmonic interval distributions via cent-domain processing and mixture modeling (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Rosenzweig, Scherbaum and Müller 2019). Third, we build corpus-level representations from these distributions, learn low-dimensional embeddings (PCA, UMAP), discover structure via HDBSCAN, and probe musicological validity through region prediction tasks and label transfer.

Background

Ethnomusicological accounts document distinctive vertical thinking and intervallic inventories across Georgian regions, highlighting the roles of fourths, fifths, neutral thirds, and octaves, as well as culturally specific sonorities such as the so-called 1–4–5 "national trichord" (Arakishvili 2010/1950; see also discussions in Nadel 1933; Chokhonelidze 2010/1988; Aslanishvili 2010/1954). Computationally, early work leveraged high-quality studio recordings or per-voice captures to study tonal organization (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Scherbaum et al. 2021; 2022). Our previous study focusing on Svan songs demonstrated that multi-F0 estimation from archival audio can support distributional analysis of intervals and clustering of recordings (Shugliashvili et al. 2024). The present work generalizes these ideas to a broader national corpus and integrates modern representation learning and unsupervised discovery.

The TSC Folklore Laboratory archive comprises more than 200 digitized expedition tapes recorded between 1948 and 1973, totaling over 130 hours of audio, roughly three-quarters of which are vocal music. Tapes were initially digitized as single WAV files with cue markers. We automatically segmented them into individual items, normalized filenames (e.g., "57-9-alilo.wav"), and associated available metadata (region, community, group, date). We excluded instrumentals, monophonic items, non-Georgian repertoire, fragments, and items lacking regional attribution. The resulting analysis subset contains 2,107 polyphonic vocal recordings from 18 regions. This scale enables corpus-level statistics while preserving regional diversity.

Methods Model overview

We adopt a salience-based architecture inspired by DeepSalience and Polyvocals, processing a harmonic constant-Q transform (HCQT) along with phase-differential features into a time–frequency salience map S[t,f] representing the probability of a sung pitch at frequency f and time t (Bittner et al. 2017; Cuesta, McFee and Gómez 2020). Building on prior iterations, we replace standard VGG-style CNN blocks with stacked U-Net-like modules to improve multi-scale context aggregation; residual connections stabilize training; and late fusion combines magnitude and phase branches before the final prediction head.

Training the model requires a larger quantity of multi-channel recordings as the training dataset. To mitigate the scarcity of multitrack choral stems, we synthesize pseudo-polyphonic mixtures by convolving monophonic stems with room impulse responses simulated via pyroomacoustics (Scheibler, Bezzam and Dokmanić 2018). Compared with naive reverberation of sums, per-source placement in a virtual room better approximates single-microphone expedition recordings. In addition to pseudo-polyphonic recordings created from various monophonic recordings from open datasets, training uses a mixture of open polyphonic datasets previously employed in Polyvocals and a limited subset from Georgian materials from the GVM corpus for domain adaptation (Cuesta, McFee and Gómez 2020; Scherbaum 2016).

After training, we use the model to extract multi-F0 information of the recordings in our corpus. For each recording, we obtain a salience map containing, at each point in time, fundamental frequencies of the voices within the recording at that time. We prune implausible extremes (<100 Hz or >3000 Hz) and apply an ambitus-aware mask removing components more than one octave away from the per-recording mean. We then transform F0s to cents with

respect to A1 = 55 Hz, and retain only stable segments using a stability mask (Rosenzweig, Scherbaum and Müller 2019).

At each timestep of each recording, we compute all successive vertical intervals among detected F0s (e.g., for timestep with F0s at [1400 cents, 1650 cents, 1750 cents] above A1, we compute intervals [250 cents, 100 cents]), pooling across time to form a per-recording sample of encountered intervals. Following Scherbaum's methodology (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017), we estimate the probability density function of the sample with Kernel Density Estimation and detect the number of prominent peaks. We then fit a Gaussian mixture model (GMM) with that peak count; the component means form a synoptic list of salient intervals for the recording, while the mixture density provides a continuous probability model. Finally, we sample the estimated mixture density at 200 equally spaced cent positions to obtain a fixed-length vector for downstream analysis (Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Shugliashvili et al. 2024).

We first examine PCA to assess linear structure and variance compression: the first two components explain 19% of the variance and the first 25 explain 90%. To capture non-linear geometry we apply UMAP in two and twenty-five dimensions (McInnes et al. 2018).

Number of PCA components	**Explained variance proportion**
2	19%
3	27%
5	40%
10	62%
20	85%
25	90%

Table 1: explained variance across harmonic interval distributions (200-element GMM vectors) per number of PCA components

We discover structure using HDBSCAN over the 2-D UMAP embedding, obtaining 105 clusters, with 648 items labeled as noise (unclustered) (McInnes, Healy and Astels 2017). For qualitative inspection we compute cluster-level synoptic scales by refitting a GMM to the pooled intervals of each cluster. As examples, one Guria-dominant cluster exhibits peaks near 188, 297, 353, 464, and 694 cents, while a Kakheti-dominant cluster features peaks near 192, 298, 352, 414, 571, 658, and 725 cents, echoing shared thirds but diverging in larger intervals.



Figure 1: a small section of the embedding plot, showcasing a small color-coded cluster (Cluster 17) of recordings with similar harmonic interval distributions.

To quantify whether interval distributions encode regional information, we run two probes. First, modal-label transfer: each recording inherits the modal region of its HDBSCAN cluster; this yields 33% accuracy over 18 regions. Second, supervised classification: random forests (100 trees) trained with an 80/20 split predict region (and, separately, tape index) from PCA2D, UMAP2D, PCA25D, and UMAP25D embeddings. In this task, UMAP25D achieves 40% accuracy with balanced precision/recall around 0.4.

Results

Clustering UMAP2D representations with HDBSCAN resulted in 105 clusters, with 648 recordings not being placed into any cluster. For each cluster, we identify the modal region of the recordings within the cluster, as well the means of the components of the GMM obtained through re-sampling from the harmonic interval distributions of recordings within the sample and refitting a GMM, representing a synoptic view of the harmonic intervals appearing within the songs in the cluster.

Visual inspection of the results of clustering reveals that distinct groups of recordings with similar harmonic interval structures are indeed placed within the same clusters. For example, Cluster 20 (107 recordings, modal region: Guria, modal tape index: 70) exhibits characteristic intervals at approximately 188, 297, 353, 464, and 694 cents; in contrast, Cluster 28 (46 recordings, modal region: Kakheti, modal tape index: 151) features intervals at 192, 298, 352, 414,

571, 658, and 725 cents, with smaller intervals matching those of Cluster 20 but with deviations in intervals above the second. Detailed cluster data, including the synoptic interval scales, modal regions and tape indices, as well as the full embedding plot, are available in our repository (https://github.com/lshug/pypolyphonicanalysis_data/tree/main/KADMOS2025).





Figure 2-3: Superimposed harmonic interval distributions of recordings in clusters 28 and 20. The red lines represent the refitted cluster GMM.

The "-1" cluster includes 648 recordings unclustered by HDBSCAN. Their harmonic interval distributions show global trends in common intervals, suggesting shared structure across the corpus, though less coherent than identified clusters.



Figure 4: Superimposition of the harmonic interval distributions of the recordings left unclustered by HDBSCAN, revealing corpus-wide patterns in harmonic interval distributions

To assess the robustness of our findings, we test the predictive power of cluster assignments and embeddings. First, we assessed how often the modal region of a recording's cluster matches the recording's true region of origin across 18 regions, obtaining the accuracy of 33%, meaning that for a third of the recordings, simply knowing in which cluster HDBSCAN placed the recording is enough to correctly predict the recording's region of origin.

Following this, we evaluated to what extent the embeddings themselves held predictive power over the region of origin. Using an 80%-20% train-test split, random forest classifiers (100 estimators) are trained to predict geographical regions and tape indices from UMAP2D, PCA2D, UMAP25D, and PCA25D representations of the recordings. Accuracies are presented in the table below, with a standout of 25-component UMAP being able to correctly classify previously unseen recording's region of origin in 40% of the cases. High classification accuracy for regional predictions confirms that the extracted harmonic interval features encode meaningful musical and cultural information, validating our computational approach.

Embedding	Accuracy	Precision	Recall
PCA2D	0.17	0.1	0.1
PCA25D	0.39	0.19	0.2
UMAP2D	0.25	0.15	0.14
UMAP25D	0.4	0.41	0.4

Table 2: Results of recording region classification based on 2-dimensional and 25-dimensional PCA and UMAP embeddings

Discussion

Quantitative summaries from the cluster-level synoptic scales reinforce prior accounts of vertical coordination in Georgian multipart singing (Nadel 1933; Arakishvili 2010/1950; Chokhonelidze 2010/1988; Aslanishvili 2010/1954). Across the 105 HDBSCAN clusters obtained from the UMAP2D embedding, 103 clusters include at least one prominent mode in the "third region" (~300–400 cents), 100 include a mode near the perfect fifth (~700 cents), 76 include a mode near the perfect fourth (~500 cents), and 93 include an octave (~1200 cents). These rates indicate that thirds and fifths are ubiquitous supports in the vertical texture, with fourths and octaves also common but somewhat less universal. The cluster with the most members (n = 107, modal region Guria) exhibits a synoptic scale with peaks near ~188, ~297, ~353, ~464, ~524, ~694, ~903, and ~1181 cents, combining dense third-region structure with strong fifth and octave components—patterns consistent with well-documented descriptions of preferred vertical relations (Mzhavanadze and Scherbaum 2020; Scherbaum and Müller 2023; Scherbaum et al. 2022).

The distribution of modal regions over clusters suggests meaningful regional organization alongside repertoire and session effects. Kakheti accounts for 31 of 105 clusters (432 recordings), Guria for 14 (240), Svaneti for 11 (139), and Samegrelo for 11 (138). Fifths appear in nearly every Kakheti cluster and all Guria clusters, while third-region peaks are widespread across regions. A lower-second feature near 188 cents. conspicuous in the largest Guria cluster, occurs in roughly half of Guria clusters but is much rarer in Kakheti.

UMAP2D and HDBSCAN yields a long-tailed partition with many small but coherent groups (median cluster size 10; 75th percentile 16; maximum 107) and a substantial noise set (648 items in the "-1" cluster). The high clustering coverage indicates that interval-distribution vectors reliably form dense neighborhoods, but the sizeable noise fraction likely reflects a mixture of fac-

tors: acoustic variability across expedition contexts, repertoire heterogeneity within region labels, and the conservatism of density-based clustering in low dimensions. The average of nine synoptic peaks per cluster (range 4-14) suggests that our KDE to peak-count to GMM procedure captures a limited but interpretable set of salient vertical intervals; nevertheless, closely spaced modes can be under- or over-split depending on local density. Together, these observations support our earlier claims: interval statistics alone encode musically meaningful structure aligned with regional metadata, while potentially remaining sensitive to session- and repertoire-level confounds that future work should model explicitly.

Conclusions and future work

Distributional representations of harmonic intervals, estimated directly from archival polyphonic recordings, encode musically meaningful information. The combination of salience-based multi-F0 estimation, GMM interval models, and modern manifold learning reveals structure aligned with regional metadata and supports predictive probes at non-trivial accuracy across 18 regions. Future directions include (i) per-recording uncertainty quantification for intervals; (ii) joint modeling of vertical and horizontal (melodic) structure; (iii) cross-corpus comparisons and time-series analyses of tuning change; and (iv) richer musicological interpretation in dialogue with regional experts, expanding upon earlier Svan-focused work to a nation-scale synthesis (Shugliashvili et al. 2024; Scherbaum, Müller and Rosenzweig 2017; Scherbaum and Müller 2023).

Acknowledgments

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG FR-21-2066). We thank our collaborators and the TSC Folklore Laboratory for their invaluable contributions.

References

Akhobadze, Vladimer. 1957. *Collection of Georgian (Svan) Folk Songs.* Tbilisi: Shroma da Teknika. ახობაძე, ვლადიმერ. 1957. *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერები.* თბილისი: შრომა და ტექნიკა.

Аракишвили, Дмитрий. 1905. *Краткий очерк развития грузинской карталино-кахетинской народной песни с приложением нотных примеров и 27 песен в народной гармонизации.* Москва: тип. К.Л. Меньшова.

Arakishvili, Dimitri. 2010 (originally published in 1950 in Georgian). "Svan Folk Song." In Tsurtsumia and Jordania 2010, 35-57.

Aslanishvili, Shalva. 2010 (originally published in 1954 in Georgian). "Forms of Multipart Singing in Georgian Folk Songs." In Tsurtsumia and Jordania 2010, 57-81.

Bittner, Rachel M., Brian McFee, Justin Salamon, Peter Li and Juan P. Bello. 2017. "Deep Salience Representations for F0 Estimation in Polyphonic Music." In *Proceedings of the International Society for Music Information Retrieval Conference.*

Chkhikvadze, Grigol. 2010 (originally published in 1964 in Russian). "Main Types of Georgian Folk Polyphony." In Tsurtsumia and Jordania 2010, 97-110.

Chokhonelidze, Evsevi. 2010 (originally published in 1988 in Georgian). "Some Characteristic Features of Voice Coordination and Harmony in Georgian Multipart Singing." In Tsurtsumia and Jordania 2010, 135-145.

Cuesta, Helena, Brian McFee and Emilia Gómez. 2020. "Multiple F0 Estimation in Vocal Ensembles Using Convolutional Neural Networks." In Proceedings of the 21st International Society for Music Information Retrieval Conference, 302-309. Montréal.

Erkvanidze, Malkhaz. 1992. "The Sound Structure of Georgian Music." *Khelovneba* (Art) 1992, nos. 7-8: 66-80. Tbilisi. ერქვანიძე, მალხაზ. 1992. *„ქართული მუსიკის წყობა."* *ხელოვნება* 7-8: 66-80.

McInnes, Leland, John Healy, Nathaniel Saul and Lukas Großberger. 2018. "UMAP: Uniform Manifold Approximation and Projection." *Journal of Open Source Software* 3 (29): 861.

McInnes, Leland, John Healy and Steve Astels. 2017. "hdbscan: Hierarchical Density Based Clustering." *Journal of Open Source Software* 2 (11): 205.

Mauch, Matthias and Simon Dixon. 2014. "pYIN: A Fundamental Frequency Estimator Using Probabilistic Threshold Distributions." In *2014 IEEE International Conference on Acoustics, Speech and Signal Processing (ICASSP),* 659-663. Florence, Italy.

Mzhavanadze, Nana and Frank Scherbaum. 2020. "Svan Funeral Dirges (Zär): Musicological Analysis." *Musicologist* 4 (2): 168-197.

Nadel, Siegfried F. 1933. *Georgische Gesänge.* Leipzig: Harrassowitz.

Ronneberger, Olaf, Philipp Fischer and Thomas Brox. 2015. "U-Net: Convolutional Networks for Biomedical Image Segmentation." arXiv:1505.04597.

Rosenzweig, Sebastian, Frank Scherbaum and Meinard Müller. 2019. "Detecting Stable Regions in Frequency Trajectories for Tonal Analysis of Traditional Georgian Vocal Music." In *Proceedings of the International Society for Music Information Retrieval Conference.*

Scheibler, Robin, Eric Bezzam and Ivan Dokmanić. 2018. "Pyroomacoustics: A Python Package for Audio Room Simulations and Array Processing Algorithms." In *Proceedings of IEEE ICASSP.* Calgary.

Scherbaum, Frank. 2016. "On the Benefit of Larynx-Microphone Field Recordings for the Documentation and Analysis of Polyphonic Vocal Music." In *Proceedings of the 6th International Workshop on Folk Music Analysis*. Dublin.

Scherbaum, Frank, Nana Mzhavanadze, Sebastian Rosenzweig and Meinard Müller. 2022. "Tuning Systems of Traditional Georgian Singing Determined from a New Corpus of Field Recordings." *Musicologist* 6 (2): 142-168.

Scherbaum, Frank and Meinard Müller. 2023. "From Intonation Adjustments to Synchronization of Heart Rate Variability: Singer Interaction in Traditional Georgian Vocal Music." *Musicologist* 7 (2): 155-177.

Scherbaum, Frank, Meinard Müller and Sebastian Rosenzweig. 2017. "Analysis of the Tbilisi State Conservatory Recordings of Artem Erkomaishvili in 1966." In *Proceedings of the 7th International Workshop on Folk Music Analysis.* Málaga.

Shugliashvili, Levan, Nana Mzhavanadze, David Shugliashvili and Frank Scherbaum. 2024. "Tracking Changes in Harmonic Interval Structures of Svan Songs Based on Computational Analysis of Field Recordings from 1959-1971." *History, Archaeology, Ethnology* XI: 654-670.

Tsurtsumia, Rusudan and Joseph Jordania. 2010. Echoes from Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony. New York: Nova Science.

Veshapidze, Levan and Zaal Tsereteli. 2014. "About the Georgian traditional sound system." *Seventh International Symposium on Traditional Polyphony,* September 22-26, Tbilisi, Georgia. ვეშაპიძე, ლევან და ზაალ წერეთელი. 2014. „ქართული ბგერათაწყობის შესახებ." *ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი.* სექტემბერი 22-26, თბილისი.

ანა ზარანდია
დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო
anazarandia23@gmail.com

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართვეოლო
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/*kadmos*/17/*33-60*

მოთხრობითი ბრუნვა ბავშვთა მეტყველებაში

საკვანძო სიტყვები: *ბრუნვათა ათვისება, ბრუნვათა ფუნქციები, მოთხრობითი ბრუნვა, ნაწილობრივ ერგატიული სისტემა, არგუმენტის გამოტოვება*

შესავალი

ქართული ენა ენათმეცნიერებისთვის განსაკუთრებულად საინტერესოა ნაწილობრივი ერგატიული სისტემის გამო, რომელიც აერთიანებს ერგატიული და აკუზატიურ-ნომინატიური სისტემისთვის დამახასიათებელი თვისებებს (Ura 2006, 111). ქართულში გვაქვს დროით/ასპექტით და მოაზროვნე სუბიექტის აქტივობით განპირობებული ნაწილობრივი ერგატიულობა (მახარობლიძე 2009). იგივე თვისებით ხასიათდება რიგი ენები როგორებიცაა ჰინდი, ბურუშასკი, ტიბეტური, ნეპალი, სამოური და სხვა (Ura 2006; მახარობლიძე 2009).

ქართულად მოსაუბრე ბავშვებმა უნდა აითვისონ პარადიგმა, რომელშიც გარდამავალი ზმნების სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია მეორე სერიაში[1] (პირველ სერიაში იგი სახელობით ბრუნვაშია, მესამეში

1 ქართულ ენაში გვაქვს ზმნის უღლების სამი სერია და თერთმეტი მწკრივი. თითოეული მწკრივი ყალიბდება ზმნის ფუძეზე პრეფიქსის თუ სუფიქსის დართვით. აფიქსის ზოგიერთი კატეგორია შეზღუდულია გარკვეული მწკრივით. ამ დროს ყველა შესაძლო მარკერი სავალდებულო არ არის (მახარობლიძე 2024). ქართული ზმნის მწკრივები დაჯგუფებულია სერიებად, რომელშიც ერთიანდება ერთი ფუძის მქონე ზმნებისგან (Aronson 1990, 41).

კი – მიცემითში), ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი სამივე სერიაში სახელობით ბრუნვაშია (მახარობლიძე 2022, 6). გარდა ამისა, ასათვისებელია პირდაპირი და ირიბი ობიექტის ბრუნვები (Makharoblidze et al. 2022). თუმცაღა, არგუმენტებიდან მოთხრობით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ გარდამავალი ზმნის ან მედიოქატივების სუბიექტი (მახარობლიძე 2009). ასევე, ფონოლოგიურ საფუძველზე გვაქვს მოთხრობითი ბრუნვის ორი მარკერი *-მ* და *-მა*. ბავშვებმა უნდა გაარჩიონ, თუ რომელ სახელთან რომელი ფორმის გამოყენებაა საჭირო თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან.

სწორად ზემოხსენებული სირთულეების გამო განსაკუთრებულად საინტერესოა ქართულენოვან ბავშვებში ერგატიული ბრუნვის ათვისება. ზოგადად, ბავშვების მიერ ქართული ენის ათვისების თაობაზე არსებული მეცნიერული პუბლიკაციების რაოდენობა მწირია. აღსანიშნავია იმედაძის და ტუიტის (1992) პუბლიკაცია, რომელშიც აღწერილია ქართული ენის ათვისების არაერთი საკითხი. ავტორების მიერ გაკეთებული დასკვნები ეყრდნობა სამი სხვა მკვლევრის მიერ დღიურებში შეგროვებულ ნატურალისტურ მონაცემებს (რიგ შემთხვევაში ეს იყო მკვლევართა შვილების მეტყველების ამსახველი ჩანაწერები). ავალიშვილმა (1961) ჩაწერა მისი შვილის, თამაზის მეტყველება 8-36 თვის ასაკში; კახაძემ (1969) ჩაიწერა შვიდი ბავშვის მეტყველება 24-60 თვის ასაკში, ხოლო იმედაძემ (1957; 1960; 1967) ჩაწერა ორენოვანი შვილის მეტყველება. აღნიშნული კვლევის ძირითადი შეზღუდვა ბავშვების განსხვავებული ასაკებია. მეტი სიზუსტისთვის საჭიროა კორპუსის შექმნა, ერთნაირ პირობებში შეგროვებული მონაცემებით. ასევე, აღნიშნული კვლევა საკმაოდ მოძველებულია. მნიშვნელოვანია მახარობლიძის, დამენიას, დობორჯგინიძის, ცინცაძის, ჭინჭარაულის და კალხიტაშვილის პუბლიკაცია (2022), რომელშიც გაანალიზებულია 4 (ორი 24-36 თვის და ორი 36-42 თვის) ბავშვის ნატურალისტური მეტყველების მონაცემები. პუბლიკაციის მთავარი შესასწავლი საკითხია არგუმენტთა მარკირება და ზმნური შეთანხმება. აღნიშნულ კვლევაში განხილულია ვიწრო ასაკობრივი დიაპაზონი და მცირეა მონაწილეთა რიცხვი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შევძლებთ, წვლილი შევიტანოთ ქართული ენის ათვისების შესწავლასა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ნეიროტიპური ბავშვისთვის დამახასიათებელი მეტყველების განვითარების სტადიების აღწერაში.

ჩვენი კვლევის მიზანია, აღვწეროთ, თუ როგორ ეუფლებიან ქართულად მოსაუბრე ბავშვები მოთხრობით ბრუნვას. ყურადღებას ვამახვილებთ ფუნქციურად სწორ გამოყენებაზე, შეცდომების ტიპე-

ბსა და განვითარების ეტაპებზე. მთავარი საკვლევი კითხვაა: როგორ ეუფლებიან ქართულად მოსაუბრე ბავშვები მოთხრობით ბრუნვას? როგორია ფუნქციური გამოყენების ჩარჩოები და რა სახის შეცდომებს უშვებენ ბავშვები?

არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და მოთხრობითი ბრუნვის ათვისებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ ბავშვები გვიან ეუფლებიან მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციას – დაახლოებით 48 თვის ასაკში. ათვისების პროცესი კი 84 თვის ასაკშიც გრძელდება, რადგან აღნიშნულ ასაკში მოველით მოთხრობითი ბრუნვის წარმოქმნასთან დაკავშირებულ შეცდომებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართველი ბავშვები ბრუნვების ათვისებას, მათი მნიშვნელობის და ფუნქციის აღქმით იწყებენ ორი წლის ასაკიდან (იმედაძე, ტუიტი 1992, 78). მოთხრობითი ბრუნვა არის რიგით მეოთხე ბრუნვა, რომელსაც ბავშვები ითვისებენ (სახელობითის, ნათესაობითის და მიცემითი ბრუნვების შემდგომ) (იმედაძე, ტუიტი 1992, 82). იმედაძე და ტუიტი ასევე აღნიშნავენ, რომ მოთხრობითი ბრუნვის ორი ვარიაციიდან პირველად თავს იჩენს *-მ* მარკერი, სავარაუდოდ, რადგან ამას მოითხოვს აღნიშნულ ასაკში (2; 0-2; 9) ბავშვების მეტყველებაში შემავალი სიტყვების უმეტესი წილი. აქედან გამომდინარე, შეინიშნება შეცდომებიც (მაგალითად: *ძაღლ-ი-მ*). ასევე, ნათესაობითის მსგავსად, გვხვდება ორმაგი ბრუნვის მაგალითები: *ქალ-მა-მ*.

მახარობლიძის და სხვ. (2022) პუბლიკაცია აღწერს მეტყველების განვითარების პროცესს (კერძოდ, ზმნის მორფო-სინტაქსის შეძენისა და არგუმენტების მარკირების პროცესს) 24-42 თვის ასაკის ქართულად მოსაუბრე ბავშვებში. ნაშრომი დაფუძნებულია ლონგიტუდურ კვლევაზე, რომლის ფარგლებშიც შესწავლილია ოთხი ბავშვის მეტყველება. ავტორების მიერ გაანალიზებულმა მონაცემებმა გამოავლინა ბავშვების მიერ სუბიექტის და ობიექტის მარკირებისას დაშვებული შეცდომები. ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ შესწავლილ ასაკში ბავშვები სუბიექტისთვის და ობიექტისთვის უპირატესობას ანიჭებენ სახელობითი ბრუნვის გამოყენებას (Makharoblidze et al. 2022, 15).

ავტორები აღნიშნავენ, რომ გამოკვლეულ ასაკში მოთხრობითი ბრუნვა ნელ-ნელა იჩენს თავს. ხანდახან სახელები სწორად არის ჩასმული მოთხრობითში, მაგრამ მისი მსაზღვრელი ზედსართავი სახელი ან ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაშია. ამასთან, ავტორები აღნიშნავენ, რომ გამოკვლეულ ასაკში ბავშვები ვერ იყენებენ მოთხრობით ბრუნვას იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნის არგუმენტი გადმოცემულია ნაცვალსახელით (Makharoblidze et al. 2022, 14).

კვლევის მეთოდი

ამა თუ იმ ბრუნვის ათვისების ასაკის დასადგენად, საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების დადგენა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვის მიერ ბრუნვაში სწორად ჩასმული ფორმები არ წარმოადგენს უბრალოდ „გაყინულ ფორმებს". არსებობს რამდენიმე აუცილებელი პირობა, რათა მივიჩნიოთ, რომ ბავშვმა ნამდვილად აითვისა ბრუნვა (Eisenbeiss, Narasimhan and Voeikova 2012, 370):

1. ბრუნვის ფორმები სწორად გამოიყენება შესაბამის კონტექსტში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვს ესმის ამ ფორმის მნიშვნელობა და ფუნქცია;
2. ბავშვი იყენებს დამატებით ერთ სხვა ბრუნვას მაინც იგივე ფუძესთან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვს ესმის განსხვავება ორ სხვადასხვა ბრუნვის ფორმას შორის.
3. ბრუნვა გამოიყენება მინიმუმ სამ განსხვავებულ ფუძესთან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვი აღიქვამს მორფოლოგიურ წესს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები საინტერესოა თეორიული თავლსაზრისით, თუმცა ჩვენს კვლევაში მათზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია, კვლევის ექსპერიმენტული დიზაინიდან გამომდინარე.

კვლევისთვის გამოვიყენეთ წინადადებების გამეორების დავალება. წინადადებების გამეორების დავალებები ძალიან ეფექტურია მეტყველების ტიპური განვითარებიდან გადახრის გამოსავლენად, განსაკუთრებულად ერთ ენაზე მოსაუბრე ბავშვებში (Marinis and Armon-Lotem). კვლევისთვის გამოყენებული იყო ლიტმუსის წინადადებების გამეორების დავალების მეთოდოლოგია, რომელიც შექმნილია COST Action IS0804 – „ენობრივი დარღვევები მრავალენოვან საზოგადოებაში: ლინგვისტური ჩარჩოები (პატერნები) და შეფარების გზები" – პროექტის ფარგლებში. კვლევისთვის შევიმუშავეთ აღნიშნული ექსპერიმენტის ქართული ვარიანტი.

წინადადების გამეორების დავალების შემცველი ექსპერიმენტი ადვილი ჩასატარებელია და გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას ბავშვის ლექსიკური და მორფო-სინტაქსური უნარ-ჩვევების შესახებ, თუმცაღა აღსანიშნავია მნიშვნელოვანი შეზღუდვები. ერთი ასეთი შეზღუდვაა კავშირი წინადადების სიგრძესა და ბავშვის განვითარების სტადიას შორის, რომელიც მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. თუ წინადადება ზედმეტად მოკლეა (მარტივია) ბავშვმა შეიძლება პასიურად გაიმეოროს იგი (Marinis and Armon-Lotem). ასევე, აღნიშნულ დავალებაში არ არის გამიჯნული წარმოქმნა და აღქმა (Marinis and Armon-Lotem).

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვების მიერ არგუმენტის ბრუნვების გამოყენება მათ ყველა ფუნქციაში. სრულ ექსპერიმენტში იყო 24 წინადადება და 2 დამატებითი, სატესტო წინადადება (ჯამში 26 წინადადება). სახელობით ბრუნვას აქვს 2 ფუნქცია, შესაბამისად, მივიღეთ 8 წინადადება: 4 წინადადება სუბიექტით სახელობით ბრუნვაში და 4 წინადადება პირდაპირი ობიექტით სახელობით ბრუნვაში. მოთხრობით ბრუნვას აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია, შესაბამისად, მივიღეთ 4 წინადადება სუბიექტით სახელობით ბრუნვაში. მიცემით ბრუნვას კი გააჩნია 3 ფუნქცია, რის საფუძველზეც შევადგინეთ 12 წინადადება: 4 წინადადება სუბიექტით მიცემით ბრუნვაში, 4 – პირდაპირი ობიექტით მიცემით ბრუნვაში და 4 – ირიბი ობიექტით მიცემით ბრუნვაში. თუმცაღა, აღნიშნულ სტატიაში მხოლოდ მოთხრობით ბრუნვას შევეხებით.

იმისათვის, რომ მიღებული წინადადებები ყოფილიყო სხვადასხვა სირთულის, ნახევარი წინადადებები შეიცავდა 8-9 მარცვალს, ხოლო ნახევარი – 14-15 მარცვალს. მარცვლების რაოდენობა არ არის პირდაპირ კავშირში მონაწილეთა ასაკთან. ჩვენ გავაანალიზეთ სურათები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო LeibnizDream პროექტის ფარგლებში და მოსალოდნელ მარცვალთა რაოდენობები დავადგინეთ. საჭიროებისამებრ მარცვალთა რაოდენობების გასაზრდელად წინადადებაში ვამატებდით ზედსართავ სახელებს. აღნიშნული მიდგომით მოსალოდნელია განსხვავებული შედეგების მიღება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რაც ლინგვისტური ანალიზის საფუძველია. ასევე, არგუმენტების ნახევარი იყო ხმოვანფუძიანი, ნახევარი კი – თანხმოვანფუძიანი, ბრუნვის მარკირებაში განსხვავებების გასათვალისწინებლად.

რადგან მოთხრობითი ბრუნვა ერთვის მხოლოდ სუბიექტს, გვაქვს ამ ბრუნვის ერთი ფუნქცია. მოთხრობითი ბრუნვის შემცვლელი 4 წინადადება მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1: ექსპერიმენტში გამოყენებული წინადადებები [2]

	წინადადება	**ხმოვანფუ-ძიანი**	**თანხმოვან-ფუძიანი**	**მარცვლების რაოდენობა**
1	*გოგო-მ გადა-ა-გდ-ო წიგნ-ი.* *gogo-m gada-a-gd-o c'ign-i.* *girl-ERG PREV-VER-throw-3SBJSG book-NOM.* *The girl threw away the book.*	✓		9
2	*ცელქ-მა მელა-მ გრძელ-ი თოკ-ით და-ა-ბ-ა ქათამ-ი.* *celk-ma mela-m grdzel-i tok'-it da-a-b-a katam-i.* mischievous-ERG fox-ERG long-NOM rope-INSTR PREV-VER-tie down-3SBJSG hen-NOM. A mischievous fox tied down the hen with a rope.	✓		14
3	*ბიჭ-მა ა-ა-შენ-ა სასახლ-ე.* *bich'-ma a-a-shen-a sasaxle.* boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle. A boy built a castle.		✓	9
4	*ამ თაგვ-მა ფენ-ით გა-ა-შრ-ო სველ-ი მაისურ-ი.* *am tagv-ma pen-it ga-a-shr-o svel-i maisur-i.* this/ERG mouse-ERG hair dryer-INSTR PREV-VER-dry-3SBJSG wet-NOM t-shirt-NOM. This mouse dried a wet t-shit with a hair dryer.		✓	14

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო თოთხმეტმა ბავშვმა, რომელთა ასაკი იყო 48 თვიდან 84 თვემდე. გამოიყო სამი ასაკობრივი ჯგუფი:

2 ექსპერიმენტი შედგებოდა 24 წინადადებისგან და 2 სატესტო წინადადებისგან. 24 წინადადებიდან 4 წინადადება შეიცავდა სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში. აღსანიშნავია, რომ მოთხრობითი ბრუნვა იყო ასევე რამდენიმე სხვა წინადადებაში. სრულ ექსპერიმენტში მოთხრობითი ბრუნვა ჯამში შეგხვდა 8-ჯერ.

ცხრილი 2: *მონაწილეთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფის* მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	**მონაწილეთა რაოდენობა**
48-60 თვე	4
61-72 თვე	5
73-84 თვე	5

იმის გამო, რომ მოთხრობითი ბრუნვის ათვისებაზე გვაქვს მწირი მასალა, ნებისმიერ ასაკობრივი ჯგუფის შესწავლა თავისებურად საინტერესო იქნებოდა. აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებზე შევჩერდით არსებული ლიტერატურის დასკვნების გასაფართოებლად.

უპირატესობა მივანიჭეთ სტრუქტურირებულ ექსპერიმენტს, ვინაიდან ექსპერიმენტის ჩასატარებლად გვქონდა შეზღუდული დრო (ექსპერიმენტი ჩატარდა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში). აღნიშნული მიდგომის უპირატესობაა სხვადასხვა ცვლადების კონტროლი და საკვლევ საკითხზე ფოკუსი. სამომავლოდ საინტერესო იქნებოდა სტრუქტურირებული ექსპერიმენტის ნატურალისტურ მონაცემებთან შერწყმა. გარდა ამისა, დროითი შეზღუდვის გამო ექსპერიმენტი ჩატარდა მონაწილეთა მცირერიცხოვან ჯგუფში. აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომი საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა მოთხრობითი ბრუნვის ათვისების თაობაზე.

ექსპერიმენტის მონაწილეები იყვნენ თბილისიდან და რუსთავიდან. მონაცემები გროვდებოდა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში. ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების მშობლებმა ხელი მოაწერეს თანხმობის ფურცელს, რომელიც დაამტკიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტმა.

გამოყენებულ წინადადებებზე დაყრდნობით შევაგროვეთ შემდგომი მონაცემები:

1) მოსალოდნელი რაოდენობა – ბრუნვების გამეორების რიცხვი წინადადებების ზუსტად გამეორების შემთხვევაში;

2) გამოყენებული ბრუნვა – ბავშვების მიერ რეალურად გამოყენებულ ბრუნვათა რაოდენობა;

3) ფუნქციურად სწორი გამოყენება – ბრუნვა ფუნქციურად სწორად არის გამოყენებული, როდესაც შესაბამისი არგუმენტი კონტექსტის შესაბამისად სწორ ბრუნვაში დგას;

4) ფუნქციურად სწორი გამოყენების (პროცენტული) მაჩვენებელი – სტატისტიკა აითვლება გამოყენებული ფორმებიდან და არა

მოსალოდნელი ფორმებიდან, რადგან შესაძლებელია მოსალოდნელი არგუმენტი იყოს გამოტოვებული, რაც დასაშვებია ქართული მორფოლოგიისთვის;

5) გამოტოვებული არგუმენტი – გამოტოვებული არგუმენტის რაოდენობა;

6) გამოტოვებული არგუმენტის (პროცენტული) წილი – გამოტოვებული არგუმენტის სტატისტიკა თითოეული მოსალოდნელი ფორმებიდან;

7) შეცვლილი ბრუნვა – შემთხვევები, როდესაც ბავშვებმა შეცვალეს ლექსიკური ერთეული, მაგრამ ბრუნვა მაინც სწორად გამოიყენეს. მაგალითად: გასამეორებელ წინადადებაში მოცემული იყო ‘*გოგო*’ მოთხრობით ბრუნვაში, ბავშვმა კი წინადადების გამეორებისას გამოიყენა ‘*ბიჭი*’ მოთხრობით ბრუნვაში;

8) მოთხრობითი ბრუნვის გამოყენება სახელობითი ბრუნვის მაგივრად;

9) მოთხრობითი ბრუნვის გამოყენება მიცემითი ბრუნვის მაგივრად;

10) სახელობითი ბრუნვის გამოყენება მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად;

11) მიცემითი ბრუნვის გამოყენება მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად;

12) მოთხრობითი ბრუნვის არასწორი მარკერის გამოყენების შემთხვევები.

შედეგები და დისკუსია

ქართულ ენაში მოთხრობითი ბრუნვა ერთვის მხოლოდ წინადადების სუბიექტს (მახარობლიძე 2009). მონაცემებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ, შეუძლიათ თუ არა ბავშვებს მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციურად სწორი გამოყენება (წინადადების სუბიექტთან, სწორ კონტექსტში).

ცხრილი 3: *მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციურად სწორი გამოყენება*[3]

ასაკობრივი ჯგუფი	**მონაწილის საიდენტიფიკაციო** კოდი[4]	მოსალოდნელი მოთხრობითი ბრუნვა	**გამოყენებული მოთხრობითი ბრუნვა**	**ფუნქციურად სწორი გამოყენება**	**ფუნქციურად სწორი გამოყენება (%)**	**ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით**
48-60 თვე	14051433	8.0	7.0	7.0	100.0	100.0
	17051616	8.0	7.0	7.0	100.0	
	15051956	8.0	7.0	7.0	100.0	
61-72 თვე	06061813	8.0	5.0	5.0	100.0	97.8
	11051645	8.0	5.0	5.0	100.0	
	11051827	8.0	2.0	2.0	100.0	
	12051419	8.0	8.0	8.0	100.0	
	19051645	8.0	8.0	8.0	100.0	
73-84 თვე	17051700	8.0	9.0	8.0	88.9	97.8
	13051151	8.0	8.0	8.0	100.0	
	17051035	8.0	6.0	6.0	100.0	
	17051149	8.0	9.0	8.0	88.9	
	15051800	8.0	9.0	9.0	100.0	
	15051950	8.0	7.0	7.0	100.0	

არასწორი მარკერის გამოყენება. თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს მოთხრობითი ბრუნვის მარკერის ორი შესაძლო ვარიანტი: *-მ* ხმოვანფუძიან სახელებთან და *-მან* თანხმოვანფუძიან სახელებთან. ზოგიერთი ბავშვი არასწორ მარკერს იყენებდა, თუმცა ერთმა მონაწილემ უმალვე შეასწორა შეცდომა:

(1) ცელქ-მა მელ-მა... მალა-მ და-ა-ბ-ა გრძელ-ი თოკ-ით ქათამ-ი.
celk-ma mel-ma... mela-m da-a-b-a grdzel-i tok'-it katam-i.
mischivous-ERG fox-ERG... fox-ERG PREV-VER-tie down-3SBJSG long-NOM rope-INSTR chicken-NOM.
The mischivous fox tired the chicken with a long roap.

3 თუკი ბავშვები წინადადებებს ზუსტად გაიმეორებდნენ, ისინი მოთხრობით ბრუნვას გამოიყენებდნენ 8-ჯერ. ჩვენ დავთვალეთ, თუ რამდენჯერ გამოიყენა თითოეულმა ბავშვმა მოთხრობითი ბრუნვა. ხანდახან ბავშვები არასწორად აწარმოებდნენ მოთხრობით ბრუნვას (ურთავდნენ მას არასწორ არგუმენტს). შესაბამისად, დავთვალეთ ფუნქციურად სწორი გამოყენება, რაც გულისხმობს, რომ მოთხრობითი ბრუნვა ერთვოდა სწორ არგუმენტს. ფუნქციურად სწორი გამოყენების (%) მიღებულია გამოყენებული მოთხრობითი ბრუნვის სტატისტიკიდან.

4 მონაწილეებს საიდენტიფიკაციო კოდები მიენიჭათ ანონიმურობის დასაცავად.

შეგვხვდა არასწორი მარკერის გამოყენების კიდევ ორი შემთხვევა:

(2) მოხუც-მა ახალგაზრდ-მა ბებია-ს მი-სც-ა…
moxuc-ma axalgazrd-ma bebia-s mi-sc-a…
old-EGR young-ERG grandmother-DAT PREV-give-3SBJSG…
The old youngster gave grandmother a...
(3) გოგონა-მ წაა… წიგნ-ი.
gogona-ma c'aa... c'ign-i
girl-ERG (verb)... book-NOM.
The girl (verb) book.

გარდა ამისა, ორ შემთხვევაში ბავშვებმა გამოიყენეს მოთხრობითი ბრუნვის მარკერის ძველებური ფორმა -მან:

(4) ბიჭ-მან ა-ა-შენ-ა სა-სახლე.
bich'-man a-a-shen-a sasaxle.
boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built the castle.
(5) ბიჭ-მან ა-ა-შენ-ა სა-სახლე.
bich'-man a-a-shen-a sasaxle.
boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built the castle.

ბავშვებმა სახელობითი ბრუნვა მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად გამოიყენეს 8-ჯერ. მიცემითი ბრუნვა მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად არ გამოუყენებიათ. მაგალითად:

(6) ბიჭ-ი ა-ა-შენ-ა სა-სახლე.
bich'-i a-a-shen-a sasaxle.
boy-NOM PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built a castle.

(7) ბიჭ-ი ბურთ-ი მდინარე-ში ი-სროლ-ა.
bich'-i burt-i mdinare-shi i-srol-a.
boy-NOM ball-NOM river-IN VER-threw-3SBJSG.
The boy threw the ball in the river.
(8) ბიჭ-ი ბურთ-ი მდინარე-ში ი-სროლ-ა.
bich'-i burt-i mdinare-shi i-srol-a.
boy-NOM ball-NOM river-IN VER-threw-3SBJSG.
The boy threw the ball in the river.

(9) პრინცესა ჯარისკაც-ი მის-ი საბან-ი და-ა-ფარ-ა.
p'rincesa jariskac-i mis-i saban-i da-a-par-a.
princess soldier-NOM her-NOM blanket-NOM PREV-VER-cover-3SBJSG.
The princess covered the soldier with her blanket.

(10) გოგონა ყვავილ-ი და-ყნოს-ა.
gogona q'vavil-i da-q'nos-a.
girl flower-NOM PREV-smell-3SBJSG.
The girl smelled the flower.
(11) პრინცესა ჯარისკაც-ს... და-ა-ფარ-ა.
p'rincesa jarisk'ac-s... da-a-par-a.
princess soldier-DAT... PREV-VER-cover-3SBJSG.
The princess covered the soldier.

(12) გოგონა გადა-ა-გდ-ო წიგნ-ი.
gogona gada-a-gd-o c'ign-i.
girl PREV-VER-throw-3SBJSG book-NOM.
The girl threw away the book.
(13) ბიჭ-ი მწვანე ბურთ-ი ი-სროლ-ა მდინარე-ში.
bich'-i mc'vane burt-i i-srol-a mdinare-shi.
boy-NOM green ball-NOM PREV-throw-3SBJSG river-IN.
The boy threw the green ball into the river.

მიცემითი ბრუნვა მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად გამოყენებული იყო მხოლოდ ორჯერ, ორენოვანი ბავშვების მიერ.

(14) მოხუც-მა ახალგაზრდ-მა ბებია-ს მი-სც-ა...
moxuc-ma axalgazrd-ma bebia-s mi-sc-a...
old-ERG young-ERG grandma-DAT PREV-give-3SBJSG…
The old youngster gave grandma… [5]

(15) თურმე პრინცესა-ს ჯარისკაც-მა და-უ-ჭირ-ა...
turme princesa-s jarisk'ac-ma da-u-ch'ir-a...
Apparently princess-DAT soldier-ERG PREV-VER-hold-3SBJSG…
Apparently the soldier held for the princess… [6]

5 ექსპერიმენტში მოცემული იყო წინადადება: მოხუცმა ახალგაზრდას გიტარა მისცა.

6 მოცემულ წინადადებაში მონაწილემ შეცვალა ზმნა, და, შესაბამისად, შეცვალა არგუმენტის ბრუნვები (სწორად).

არგუმენტის გამოტოვება

ქვემოთ მოცემულია მოთხრობით ბრუნვაში ჩასმული არგუმენტის გამოტოვების შემთხვევები:

ცხრილი 4: *გამოტოვებული მოთხრობითი ბრუნვა*[7]

ასაკობრივი ჯგუფი	მონაწილის საიდენტიფიკაციო კოდი	მოსალოდნელი მოთხრობითი ბრუნვა	გამოტოვებული მოთხრობითი ბრუნვა	გამოტოვებული მოთხრობითი ბრუნვა %	ასაკობრივ ჭრილში
48-60 თვე	14051433	8	1	12.5	6.25
	17051616	8	1	12.5	
	15051956	8		0	
	06061813	8		0	
61-72 თვე	11051645	8	1	12.5	15
	11051827	8	5	62.5	
	12051419	8		0	
	19051645	8		0	
	17051700	8		0	
73-84 თვე	13051151	8		0	0
	17051035	8		0	
	17051149	8		0	
	15051800	8		0	
	15051950	8		0	

შედეგებზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლეულ ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვები ავლენენ მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციურად სწორი გამოყენების მაღალ მაჩვენებელს, შეცდომები მაინც გვხვდება (მაგალითად, არგუმენტისთვის არასწორი ბრუნვის მინიჭება). ეს მიგვანიშნებს მოთხრობითი ბრუნვის ეტაპობრივ ათვისებაზე. 61-84 თვის ბავშვები უშვებენ ნაკლებ შეცდომას და არ ტოვებენ არგუმენტს, როდესაც მოეთხოვებათ სრული წინადადების გამეორება.

7 დავთვალეთ ბავშვების მიერ მოთხრობით ბრუნვაში მდგომი არგუმენტის გამოტოვების რაოდენობა. გამოტოვებული მოთხრობითი ბრუნვა (%) მივიღეთ გამოყენებული მოთხრობითი ბრუნვის სტატისტიკიდან.

დასკვნა

წინადადების გამეორების ექსპერიმენტი შედარებით ადვილია ჩასატარებლად და მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს ბავშვის ლექსიკურ და მორფო-სინტაქსურ უნარებზე, თუმცა ამ მეთოდს აქვს რიგი შეზღუდვები. ერთ-ერთი შეზღუდვაა, რომ შეუძლებელია წინადადების საჭირო სირთულისა (სიგრძის) და მონაწილის განვითარების ეტაპს შორის უკუკავშირის წინასწარ განსაზღვრა და ექსპერიმენტში გათვალისწინება. თუ წინადადება ზედმეტად მოკლეა, მონაწილემ შეიძლება იგი პასიურად გაიმეოროს (Marinis and Armon-Lotem, 27). ასევე, აღნიშნულ მეთოდში რთული შესაფასებელია წარმოქმნა და აღქმა (Marinis and Armon-Lotem, 28).

მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციურად სწორი გამოყენების მაჩვენებელი მაღალი იყო სამივე ასაკობრივ ჯგუფში (48-60 თვე, 61-72 თვე და 73-84 თვე) – 100% მაჩვენებელი ყველაზე პატარა ასაკობრივ ჯგუფში და 97.8% დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფში. ეს მიგვანიშნებს, რომ 48 თვის ასაკისთვის ბავშვებს კარგად ესმით მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია. თუმცაღა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 84 თვის ასაკშიც კი მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციის ათვისება გრძელდება, ვინაიდან ისევ გვხდება შეცდომები უფროს ბავშვებთან, რომლებიც შესაძლოა, ეუფლებიან კომპლექსურ გრამატიკულ სტრუქტურებს. ასევე აღსანიშნია, რომ კვლევის მონაწილეთა მცირე რაოდენობის გამო კვლევის შედეგების განზოგადება მიზანშეწონილი არ არის.

ქართულ ენაში დაშვებულია არგუმენტის (სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტის) გამოტოვება. არგუმენტის გამოტოვების მაჩვენებელი – 6.25% 48-60 თვის ასაკში, 15% 61-72 თვის ასაკში, 0% 73-84 თვის ასაკში. შესაძლებელია, რომ უმცროსი ბავშვებისთვის მოთხრობითი ბრუნვის გამოტოვება წინადადების გამარტივების ერთ-ერთი სტრატეგია იყო. ეს განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან ბავშვებს ევალებოდათ წინადადების ზუსტი გამეორება. შესაძლებელია, რომ უფროსი ბავშვებისთვის მეტად მარტივია ერგატიული კონსტრუქციის შემცვლელი წინადადებების გამეორება, ხოლო უმცროსი ბავშვები წინადადებებს ამოკლებენ საკუთარი განვითარების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, უცნაურია, რომ 61-72 თვის ასაკობრივ ჯგუფში წინადადების გამოტოვების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო, ვიდრე 48-60 თვის ასაკობრივ ჯგუფში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების განვითარების პროცესი ყოველთვის მზარდი არ არის და ხანდახან მოლოდინები არ მართლდება. შესაძლებელია, სრულიად განსხვავებული შედეგი მიგვეღო უფრო დიდი საკვლევი ჯგუფის შემთხვევაში, ამიტომ საჭიროა დამატებითი კვლევები.

ასევე, ექსპერიმენტის მსვლელობისას მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად სახელობითი გამოყენებული იყო 8-ჯერ, ხოლო მიცემითი სახელობითის მაგივრად 2-ჯერ. საინტერესოა, რომ მოთხრობითი ბრუნვა ბავშვებს არცერთხელ არ გამოუყენებიათ სახელობითი ბრუნვის ნაცვლად. მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად სახელობითის გამოყენება შეიძლება აიხსნას თავდაპირველი ნომინატიური კონსტრუქციით აწმყოში და ხლეჩილი ერგატიული სისტემით.

საინტერესო აღმოჩენა იყო ზოგიერთი ბავშვის მიერ მოთხრობითი ბრუნვის ძველებური „მან“ მარკერის გამოყენება. ეს შესაძლებელია, გამოწვეული იყოს ფონოლოგიური ფაქტორებით. საჭიროა აღნიშნულ ფენომენზე დაკვირვება ექსპერიმენტის მონაწილეთა რიცხვის გაზრდით.

მომავალ კვლევებში სასურველია, ნატურალისტური და ექსპერიმენტული მონაცემების შერწყმა, მოთხრობითი ბრუნვის ათვისებაზე სრული სურათის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგები საინტერესოა მომავალი კვლევების დასაგეგმად.

კვლევის საფუძველზე ვიძენთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართულად მოსაუბრე ბავშვების მიერ მოთხრობითი ბრუნვის ათვისების თაობაზე. ფუნქციურად სწორი გამოყენების, არგუმენტის გამოტოვების და ბრუნვის ჩანაცვლების განხილვით ვიწყებთ იმის გაგებას, თუ როგორ ითვისებენ ბავშვები რთულ გრამატიკულ სტრუქტურებს. თუმცაღა მნიშვნელოვანია ექსპერიმენტის შეზღუდვებზე ხაზგასმა და მომავალი კვლევების ჩატარება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მონაწილეთა რიცხვის გაზრდა იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს შედეგების განზოგადება. შეძლებისდაგვარად, მომავალ კვლევებში უნდა გაიმიჯნოს წარმოქმნა და აღქმა. უკეთესი შედეგის მისაღებად სასურველია, ექსპერიმენტული და ნატურალისტური მონაცემების ერთდროულად განხილვა. ერთ და ორ ენაზე მოსაუბრე ბავშვებისთვის უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე კვლევები მონაცემების შესადარებლად. ასევე, საინტერესო იქნებოდა დიალექტური ფორმების გაანალიზებაც.

დამოწმებანი

მახარობლიძე, თამარ. 2009. *ლინგვისტური წერილები*. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი: ნეკერი.

Aronson, Howard I. 1990. *Georgian: A Reading Grammar.* Bloomington: Slavica Publishers. Retrieved from https://archive.org/details/stand_alone_georgian (15 May 2024).

Eisenbeiss, Sonja, Bhuvana Narasimhan and Maria Voeikova. 2012. "The Acquisition of case." In *The Oxford Handbook of Case*, eds Andrej Malchukov and Andrew Spencer, 369-383. Oxford: Oxford University Press. Online ed., Oxford Academic, 18 Sept. 2012. DOI: https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199206476.013.0025 (30 May 2024).

Imedadze, Natela and Kevin Tuite. 1992. "The Acquisition of Georgian." In *The Crosslinguistic Study of Language Acquisition,* vol. 3, ed. Dan Isaac Slobin, 39-109. Hillsdale: Lawrence Erlbaum Associates. http://www.mapageweb.umontreal.ca/tuitekj/publications/Imedadze-Tuite-Acquisition-Georgian-1992.pdf (30 April 2024).

Marinis, Theodoros and Sharon Armon-Lotem (in press). "Sentence Repetition." In *Methods for Assessing Multilingual Children: Disentangling Bilingualism from Language Impairment*, eds Sharon Armon-Lotem, Jan de Jong and Natalia Meir. Bristol: Multilingual Matters.

Makharoblidze Tamar, Teona Damenia, Nino Doborjginidze, Nino Tsintsadze, Tinatin Tchintcharauli and Tamar Kalkhitashvili. 2022. "Argument Marking and Verbal Agreement in the Speech of Georgian Children." *Languages* 7(4): 314. DOI: https://doi.org/10.3390/languages7040314 (2 April 2024)

Makharoblidze, Tamar. 2024. *A Short Grammar of Georgian,* 2nd ed. LINCOM Studies in Caucasian Languages. München: Lincom.

Ura, Hiroyuki. 2006. "A Parametric Syntax of Aspectually Conditioned Split-Ergativity." In *Ergativity.* Studies in Natural Language and Linguistic Theory (SNLT), Vol. 65, eds Alana Johns, Diane Massam and Juvenal Ndayiragije, 111-140. Dordrecht: Springer. DOI: https://doi.org/10.1007/1-4020-4188-8_5 (25 March 2024).

Ana Zarandia
Independent researcher, Georgia
anazarandia23@gmail.com

Tamar Makharoblidze
Ilia State University, Georgia
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/*kadmos*/17/*33-60*

Ergative Case Acquisition in Georgian Children

Keywords: *case acquisition, case functions, ergative case, split ergativity system, argument omission*

Introduction

The Georgian language is particularly interesting to linguists because of its split-ergative system, which combines characteristics of both ergative and accusative-nominative systems (Ura 2006, 111). In Georgian, this split-ergative system is conditioned by tense/aspect and the activity of the animate (thinking) subject (Makharoblidze 2009). Several languages, including Hindi, Burushaski, Tibetan, Nepali, and Samoan, are characterized by the same feature (Ura 2006; Makharoblidze 2009).

In Georgian, children must master a paradigm in which the subject of a transitive verb is assigned the ergative case in the second series[1] (in the first series, it is assigned the nominative case, and in the third series, the dative case), while the subject of an intransitive verb is always assigned the dative case across all three series (Makharoblidze 2009). In addition, children must acquire cases for direct and indirect objects. However, out of all arguments, only

1 The Georgian verb has three series and 11 so called *mtskrivebi* '*screeves*' (rows) of conjugations. Each verbal screeve is formed by adding a number of prefixes and suffixes to the verbal stem. Certain affix categories are limited to certain screeves, and not all possible markers are required at the same time (Makharoblidze 2024).The screeves of the Georgian verb are divided into a number of series: groups of screeves built upon the same stem (Aronson 1990, 41).

the subject of transitive verbs (and medio-actives) can appear in the ergative case (Makharoblidze 2009). Additionally, due to phonological conditioning, Georgian has two ergative case markers: *-m* and *-ma*. Children must learn to distinguish which form to use with consonant- or vowel-ending nouns.

Due to these complexities, it is especially interesting to explore the acquisition of the ergative case in Georgian-speaking children. Given the small number of participants, this study is designed as a pilot study to provide preliminary insights into this topic. In general, the number of scientific publications on the acquisition of the Georgian language by children is limited. A notable publication is that of Imededze and Tuite (1992), which goes beyond focusing on a single grammatical phenomenon, and describes numerous topics in Georgian language acquisition. The authors base their conclusions on the diaries of three researchers, who collected naturalistic data, in some cases recording the speech of their own children: Avalishvili (1961), who recorded the speech of his son Tamaz from 8-36 months; Kakhadze (1969), who recorded the speech of seven children of ages ranging from 24-60 months; and Imedadze (1957; 1960; 1967), who recorded the speech of his bilingual child. Although analysis of naturalistic data gives significant insight into the study of language acquisition, the main limitation of this analysis is the different ages. For accuracy, it would be better to create a corpora of data recording in similar conditions. Furthermore, the abovementioned study is quite outdated. The publication by Makharoblidze et al. (2022) is based on the naturalistic speech of four children (two 24-36-month-old children and two 36-42-month-old children). The paper focuses on argument marking and verbal agreement. The experimental sample in this case is also small, and focuses on a narrow age range.

We hope our research will contribute to the description of the speech development stages characteristic of a neurotypical child speaking Georgian. In contrast to pre-existing studies, we focus on a specific linguistic phenomenon (ergative case acquisition), based on the experimental method.

The objective of this study is to investigate how Georgian speaking children acquire the ergative case, focusing on functional accuracy, error patterns, and developmental stages. The main research question is: how do Georgian children acquire the ergative case, and what patterns of functional use and errors emerge during development?

Based on previous research, and considering the complexities associated with the ergative case in Georgian, we hypothesize that children begin to understand the function of the ergative case relatively late — around 48 months, and that this process continues into the age of 84 months, when we can still expect some errors in production.

State of Art

Georgian children begin to acquire case forms from the age of two by perceiving their meaning and function (Imedadze and Tuite 1992, 78). The ergative case is the fourth case that children learn after the nominative, genitive and dative cases (Imedadze and Tuite 1992, 82). Imedadze and Tuite also note that the first of the two variations of the ergative case to appear is the *-m* marker, most likely because it is required by the majority of words included in the speech of children at the mentioned age (2; 0-2; 9). Therefore, mistakes are also observed (for example: *dzagl-i-m*). Also, there are examples of double case marking: *qal-ma-m.*

The publication of Makharoblidze, Damenia, Doborjginidze, Tsintsadze, Chincharauli and Kalkhitashvili (2022) describes the process of speech development. In particular, it concerns the process of acquiring verb morpho-syntax and marking arguments in Georgian-speaking children aged 24-42 months. The work is based on a longitudinal study, within the framework of which the speech of four children was studied. The data analyzed by the authors revealed the errors made by the children when assigning case markers to subjects and objects of sentences. The authors also note that, at the examined age, children prefer the use of the nominal case for the subject and object (Makharoblidze et al. 2022, 15).

The authors note that the ergative case appears gradually at the examined age. Sometimes, nouns are correctly put into the ergative, but their modifier adjectives or pronouns are assigned the nominative case. In addition, the authors point out that children at the examined age cannot use the ergative case when verbal argument is conveyed by personal pronouns (Makharoblidze et al. 2022, 14).

Research method

In order to determine the age at which a particular case is mastered, certain criteria need to be established to ensure that children are not simply using "frozen forms." Several necessary criteria must be met to conclude that a child has fully acquired a case (Eisenbeis et al. 2012, 370):

1. Case forms are used correctly in the appropriate context, which shows that the child understands the meaning and function of this form;

2. The child uses at least one additional case with the same stem, indicating that the child understands the difference between the two different case forms;

3. The specific case form is used with at least three different stems, which shows that the child understands the morphological rule.

Please note that the abovementioned criteria for productivity are interesting from a theoretical standpoint, however, they are not related to the current publication, as it uses an experimental design.

We used a sentence repetition task for this study. Sentence repetition tasks are effective for detecting deviations from typical speech development, especially for monolingual children (Marinis and Armon-Lotem). The methodology of the Litmus Sentence Repetition Task was used, which was developed within the framework of the COST Action IS0804 project, *Language Impairment in a Multilingual Society: Linguistic Patterns and the Road to Assessment*. For the present study, we developed a Georgian version of this experiment.

The aim of the experiment was to have children use argument cases in all their functions. 24 sentences were included in the experiment, along with two additional test sentences (26 sentences in total). The nominative case has two functions, so a total of eight sentences were created: four sentences with a subject in the nominative case and four sentences with a direct object in the nominative case. The ergative case has only one function; therefore, four sentences were created with the subject in the ergative case. The dative case has three functions, so 12 sentences were created: four sentences with the subject in the dative case, four sentences with the direct object in the dative case, and four sentences with the indirect object in the dative case. However, in this article, we will focus only on the ergative case.

To ensure that the generated sentences varied in complexity, half of the sentences contained 8-9 syllables, and the other half contained 14-15 syllables. These syllable counts are not specifically related to the age of the participants. Rather, pictures available for testing through the LeibnizDream project were analyzed and the syllable counts were naturally derived. To increase the number of syllables in certain sentences, modifiers were added. With this approach, different results are expected across age groups, providing a foundation for future linguistic analysis and discussion. Additionally, we ensured that half of the arguments had vowel-ending stems, while the other half had consonant-final stems, as different case markers are applicable.

Since the ergative case is used only with the subject, the ergative case has only one function. Therefore, four sentences were created:

Table 1: *Sentences used for the experiment* [2]

	Sentence	**Vowel-ending Stem**	**Consonant-ending Stem**	**Number of Syllables**
1	gogona-m gada-a-gd-o c'ign-i. girl-ERG PREV-VER-throw-3SBJSG book-NOM. The girl threw away the book.	✓		9
2	celk-ma mela-m grdzel-i tok'-it da-a-b-a katam-i. mischievous-ERG fox-ERG long-NOM rope-INSTR PREV-VER-tie down-3SBJSG hen-NOM. A mischievous fox tied down the hen with a rope.	✓		14
3	bich'-ma a-a-shen-a sasaxle. boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle. A boy built a castle.		✓	9
4	am tagv-ma pen-it ga-a-shr-o svel-i maisur-i. this/ERG mouse-ERG hair dryer-INSTR PREV-VER-dry-3SBJSG wet-NOM t-shirt-NOM. This mouse dried a wet t-shit with a hair dryer.		✓	14

Fourteen children between the ages of 48-84 months took part in the experiment. Three age groups were established:

Table 2: P*articipant distribution by age group*

Age group	**Number of participants**
48-60 months	4
61-72 months	5
73-84 months	5

Investigating the acquisition of the ergative case in Georgian children of any age group would have been valuable, simply due to the scarcity of prior research. However, in selecting the specific age group for this experiment, we aim to build upon existing literature.

In this study, a structured experimental design was chosen over naturalistic data collection due to temporal constraints (the experiment was conducted as part of a Master's thesis). This approach allowed us to address the specific research question directly and control the relevant variables.

2 The experiment consisted of 24 sentences and two test sentences. Of the 24 sentences, the four sentences above were created to focus on the subject in the ergative case. However, a few other sentences in the experiment also contained an ergative case. There was a total of eight arguments in the ergative case in the full experiment.

Children participating in the study were from Tbilisi and Rustavi. The data was collected in full compliance with international ethical standards. An informed consent form, approved by the ethics committee of Ilia State University, was signed by the children's parents prior to their participation in the experiment.

We collected the following data:

1. Expected number – the number of repetitions of a particular case if the sentences were repeated exactly as presented by the narrator.

2. Used ergative case – the number of cases actually used by the children.

3. Functionally correct use – a case is used functionally correctly when the corresponding argument is in the correct case according to the context.

4. Functionally correct use rate – this statistic is calculated from the actually used forms, not the expected forms, because the expected argument can be omitted, which is allowed in Georgian morphology.

5. Missing argument – the number of arguments that were omitted by the children.

6. Missing argument rate – statistics on omitted arguments from each of the expected forms.

7. Changed cases – instances when children changed the lexical item but still used the case correctly. For example, in the sentence to be repeated, "girl" was assigned the ergative case; however, the child used "boy" in the ergative case.

8. Ergative case used instead of nominative case.

9. Ergative case used instead of dative case.

10. Nominative case used instead of ergative case.

11. Dative case used instead of ergative case.

12. Instances of incorrect ergative marker use.

Results and Discussion

In Georgian, the ergative case is exclusively assigned to the subject of a sentence (Makharoblidze 2009). This analysis examines whether children can accurately and functionally use the ergative case by assigning it to the subject in appropriate contexts.

Table 3: *Functionally correct usage of the ergative case* [34]

Age group	Participant ID[5]	Expected Ergative Case	Used Ergative Case	Functionally Correct Usage	Functionally Correct Usage (%)	By Age Group
48-60 months	14051433	8.0	7.0	7.0	100.0	100.0
	17051616	8.0	7.0	7.0	100.0	
	15051956	8.0	7.0	7.0	100.0	
	06061813	8.0	5.0	5.0	100.0	
61-72 months	11051645	8.0	5.0	5.0	100.0	97.8
	11051827	8.0	2.0	2.0	100.0	
	12051419	8.0	8.0	8.0	100.0	
	19051645	8.0	8.0	8.0	100.0	
	17051700	8.0	9.0	8.0	88.9	
73-84 months	13051151	8.0	8.0	8.0	100.0	97.8
	17051035	8.0	6.0	6.0	100.0	
	17051149	8.0	9.0	8.0	88.9	
	15051800	8.0	9.0	9.0	100.0	
	15051950	8.0	7.0	7.0	100.0	

Incorrect Marker Usage

In modern Georgian, the ergative case marker has two variations: ***-m*** with vowel-stemmed nouns and ***-ma*** with consonant-stemmed nouns. Some chil-

3 It should be noted that the small sample size limits the generalizability of 100% accuracy rates described in the table.

4 If the children had repeated all 24 sentences from the experiment exactly as narrated, they would have used the ergative case eight times. We recorded the number of times each child actually used the ergative case. Occasionally, children assigned the ergative case incorrectly, applying it to the wrong argument. Therefore, we calculated each child's functionally correct usage of the ergative case by counting only instances where the ergative case was assigned to the appropriate argument. Functionally correct usage (%) was determined based on the total instances in which the ergative case was actually used.

5 Participant IDs were assigned to ensure anonymity.

dren used an incorrect marker, although one participant self-corrected after making this error:

(1) celk-ma mel-ma... mela-m da-a-b-a grdzel-i tok'-it katam-i.
mischivous-ERG fox-ERG... fox-ERG PREV-VER-tie down-3SBJSG long-NOM rope-INSTR chicken-NOM.
The mischivous fox tied the chicken with a long rope.

Two additional examples show incorrect marker usage:

(2) moxuc-ma axalgazrd-ma bebia-s mi-sc-a…
old-EGR young-ERG grandmother-DAT PREV-give-3SBJSG…
The old youngster gave grandmother a...

(3) gogona-ma c'aa... c'ign-i
girl-ERG (verb)... book-NOM.
The girl (verb) book.

In two cases, children used the archaic ergative marker **-man**:

(4) bich'-man a-a-shen-a sa-saxle.
boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built a castle.

(5) bich'-man aashena sasaxle
boy-ERG PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built a castle.

The nominative case was used instead of the ergative case eight times. No instances were observed of the dative case replacing the ergative case. Examples include:

(6) bich'-i a-a-shen-a sa-saxle.
boy-NOM PREV-VER-build-3SBJSG castle.
The boy built a castle.

(7) bich'-i burt-i mdinare-shi i-srol-a.
boy-NOM ball-NOM river-IN VER-threw-3SBJSG.
The boy threw the ball into the river.

(8) Bich'-i burt-i mdinare-shi i-srol-a.
boy-NOM ball-NOM river-IN VER-threw-3SBJSG.
The boy threw the ball in the river.

(9) p'rincesa jariskac-i mis-i saban-i da-a-par-a.
princess soldier-NOM her-NOM blanket-NOM PREV-VER-cover-3SBJSG.
The princess covered the soldier with her blanket.

(10) gogona q'vavil-i da-q'nos-a.
girl flower-NOM PREV-smell-3SBJSG.
The girl smelled the flower.

(11) p'rincesa jarisk'ac-s... da-a-par-a.
Princess-NOM soldier-DAT... PREV-VER-cover-3SBJSG.
The princess covered the soldier.

(12) gogona gada-a-gd-o c'ign-i.
girl PREV-VER-throw-3SBJSG book-NOM.
The girl threw away the book.

(13) bich'-i mc'vane burt-i i-srol-a mdinare-shi.
boy-NOM Green ball-NOM PREV-throw-3SBJSG river-IN.
The boy threw the green ball into the river.

Instances of ergative case use instead of the dative case occurred only twice and were made exclusively by bilingual children.

(14) moxuc-ma axalgazrd-ma bebia-s mi-sc-a...
old-ERG young-ERG grandma-DAT PREV-give-3SBJSG…
The old youngster gave grandma… [6]

(15) turme princesa-s jarisk'ac-ma da-u-ch'ir-a...
Apparently princess-DAT soldier-ERG PREV-VER-hold-3SBJSG…
Apparently, the soldier held for the princess… [7]

6 The sentence in the experiment was "moxuc-ma axalgazrda-s git'ara misca" – an older person gave the youngster a guitar.

7 In this example, participant changes the verb of the original sentence, and therefore adjusts the case of the subject (correctly).

Missing Argument

The following table presents data on the omission of the ergative case subject:

Table 4: *Missing ergative case* [8]

Age Group	Participant ID	Expected Ergative Case	Missing Ergative Case	Missing Ergative Case %	By Age Group
48-60 months	14051433	8	1	12.5	6.25
	17051616	8	1	12.5	
	15051956	8		0	
	06061813	8		0	
61-72 months	11051645	8	1	12.5	15
	11051827	8	5	62.5	
	12051419	8		0	
	19051645	8		0	
73-84 months	17051700	8		0	0
	13051151	8		0	
	17051035	8		0	
	17051149	8		0	
	15051800	8		0	
	15051950	8		0	

Overall, the results suggest that while Georgian children across all age groups may demonstrate high levels of functionally correct usage of the ergative case, occasional errors (such as, for example marker misassignment) persist. These findings suggest a gradual development trajectory in mastering the ergative case, with 61-84-month-old children showing greater accuracy, fewer errors and fewer instances of subject omission.

Conclusion

It should be noted that, while sentence repetition tasks are easy to administer, and provide important information about children's lexical and

8 We counted the number of times each child omitted the argument which was supposed to be in the ergative case. Missing the ergative case (%) was calculated out of the number of expected ergative case usages (eight times).

morpho-syntactic skills, they do have significant limitations. One example of such a limitation is that the relationship between sentence length and the participant's developmental stage must be taken into account. If the sentence is too short, children may repeat it passively (Marinis and Armon-Lotem, 27). Additionally, this task does not separate production and comprehension (Marinis and Armon-Lotem, 28).

The findings of this study indicate that the rate of functionally correct use of the ergative case in Georgian is high across all three age groups (48-60 months, 61-72 months, 73-84 months), with 100% accuracy in the youngest group and 97.8% accuracy in the two older groups. This high rate suggests that, by age 48 months, children generally understand the functional application of the ergative case in Georgian. However, the persistence of some errors in the older age groups, who may be experimenting with increasingly complex grammatical structures, suggests that complete acquisition of the ergative case function may not yet be achieved at this stage. It should be noted that small sample size limits the generalizability of these results.

Georgian allows for the omission of arguments (subjects, direct and indirect objects), which adds another dimension to the data. The omission rate, recorded as 6.25% in the 48-60 months group, 15% in the 61-72 months group, and 0% in the 73-84 months group, implies that younger children may use omission as a strategy to simplify sentences when the ergative case is involved. The fact that children were instructed to repeat sentences exactly as narrated makes this finding particularly noteworthy, suggesting that older children find it easier to reproduce ergative constructions accurately, while younger children sometimes adapt sentences to ease their cognitive load. In such cases, it is peculiar that the 61-72-month-old group displayed a higher percentage of missing arguments compared to the 48-60-month-old group. However, the language development process is not always an increasing paradigm, and does not always meet expectations. A larger sample size may change the picture altogether. The differences between the age groups can also result from sample variation; therefore, additional research involving a larger sample size is needed.

Additionally, the study recorded eight instances of nominative case substitution for the ergative, and two instances of ergative use instead of dative. Interestingly, the ergative was never used in place of the nominative. The use of nominative case instead of ergative can be explained by the initial nominative construction in the present, and the split ergativity system of the language. [9]

9 The split ergative system allows nominative construction for the subject of transitive verbs in the first series (Makharoblidze 2009).

An unexpected observation was the use of the old ergative marker '-man' by some children, which may reflect exposure to older or regional linguistic forms. Phonological factors may also play a role. This intriguing occurrence warrants further investigation, with a larger sample size to determine the extent of this phenomenon and its implications for understanding language acquisition in Georgian.

Future studies could benefit from combining naturalistic data with structured experiments to achieve a more comprehensive understanding of ergative case acquisition. Additionally, given the aforementioned time limitations, the experiment was conducted with a small sample size and has not undergone reliability testing. Despite these limitations, we believe that the findings related to the acquisition of argument cases in Georgian contribute valuable insights for future research.

The study provides valuable insights into the acquisition of the ergative case in Georgian-speaking children. By examining functional accuracy, argument omission, and case substitution patterns, this research contributes to our understanding of how children internalize complex grammatical structures. In concluding, it is important to recognize several limitations in this experiment that suggest the need for further research and better understanding of argument structure in Georgian. First, the experiment would benefit from a larger sample size to increase the generalization of the findings. Additionally, a reliability test on the experimental data is necessary to validate the results more thoroughly. Future studies should also distinguish between comprehension and production abilities to gain a fuller picture of case acquisition in children. Incorporating both naturalistic data and structured experimental data would provide a more balanced view of language use in different contexts. Monolingual and bilingual children should be separated into different groups to compare language patterns. Finally, it would be valuable to analyse speech from children in various regions of Georgia, accounting for dialectical differences, which could further reveal how regional linguistic variations influence case acquisition.

References

Makharoblidze, Tamar. 2009. *Linguistic Papers* I. The Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. Tbilisi: Nekeri. მახარობლიძე, თამარ. 2009. *ლინგვისტური წერილები*. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი: ნეკერი.

Aronson, Howard I. 1990. *Georgian: A Reading Grammar*. Bloomington: Slavica Publishers. Retrieved from https://archive.org/details/stand_alone_georgian (15 May 2024).

Eisenbeiss, Sonja, Bhuvana Narasimhan and Maria Voeikova. 2012. "The Acquisition of case." In *The Oxford Handbook of Case*, eds Andrej Malchukov and Andrew Spencer, 369-383. Oxford: Oxford University Press. Online ed., Oxford Academic, 18 Sept. 2012. DOI: https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199206476.013.0025 (30 May 2024).

Imedadze, Natela and Kevin Tuite. 1992. "The Acquisition of Georgian." In *The Crosslinguistic Study of Language Acquisition*, vol. 3, ed. Dan Isaac Slobin, 39-109. Hillsdale: Lawrence Erlbaum Associates. http://www.mapageweb.umontreal.ca/tuitekj/publications/Imedadze-Tuite-Acquisition-Georgian-1992.pdf (30 April 2024).

Marinis, Theodoros and Sharon Armon-Lotem (in press). "Sentence Repetition." In *Methods for Assessing Multilingual Children: Disentangling Bilingualism from Language Impairment*, eds Sharon Armon-Lotem, Jan de Jong and Natalia Meir. Bristol: Multilingual Matters.

Makharoblidze Tamar, Teona Damenia, Nino Doborjginidze, Nino Tsintsadze, Tinatin Tchintcharauli and Tamar Kalkhitashvili. 2022. "Argument Marking and Verbal Agreement in the Speech of Georgian Children." *Languages* 7(4): 314. DOI: https://doi.org/10.3390/languages7040314 (2 April 2024)

Makharoblidze, Tamar. 2024. *A Short Grammar of Georgian*, 2nd ed. LINCOM Studies in Caucasian Languages. München: Lincom.

Ura, Hiroyuki. 2006. "A Parametric Syntax of Aspectually Conditioned Split-Ergativity." In *Ergativity.* Studies in Natural Language and Linguistic Theory (SNLT), Vol. 65, eds Alana Johns, Diane Massam and Juvenal Ndayiragije, 111-140. Dordrecht: Springer. DOI: https://doi.org/10.1007/1-4020-4188-8_5 (25 March 2024).

ომარ ბეგოიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
omar.begoidze.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/17/61-87

ქართველური საკულტო ტოპონიმები ამჟამინდელ ჩრდილოეთ ოსეთში

საკვანძო სიტყვები: *ქართველური, ოსური, კულტი, ტოპონიმია, ეტიმოლოგია*

შესავალი

ოსი ერის ეთნოკულტურულ სივრცეში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და სიმდიდრით გამოირჩევა სარწმუნოებრივი სისტემა და მითოლოგია. რელიგიური კულტი, რომელიც გავრცელდა ოს მოსახლეობაში, არის უძველესი ტრადიციული რწმენის მსოფლიო რელიგიებთან, კერძოდ კი ქრისტიანობასთან შერწყმის მაგალითი, რამაც შემდგომში გამოიწვია რელიგიური სინკრეტიზმის განვითარება (Цагаева 1971, 202). აღნიშნული გარემოება უკავშირდება ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში განვითარებულ ისტორიულ და ეთნოკულტურულ პროცესებს. ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში ნეოლითის, ბრინჯაოსა და რკინის კულტურების განუყოფელ ნაწილს. ეთნოკულტურული სიახლოვე კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე მცხოვრებ მოსახლეობის შორის შენარჩუნდა ამ რეგიონში მომთაბარე ირანულ და თურქულენოვანი ტომების მიგრაციის შემდგომ პერიოდშიც. ამრიგად, ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ძველად მცხოვრები მოსახლეობის წარმართული კულტი და მითოლოგია ყალიბდებოდა აბორიგენი კავკასიური და ირანულენოვანი ტომების სარწმუნოებრივი და მითოლოგიური სისტემების სიმბიოზით.

მნიშვნელოვანი ეტაპი ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რელიგიურ ცხოვრებაში დაიწყო IX-XII საუკუნეებში, როდესაც ძლიერდებოდა საქართველოს სამეფოს და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში. ქართველების მიერ რეგიონში აქტიურად შენდებოდა ეკლესიები და მონასტრები. ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანული ძეგლები ძირითადად ფიქსირდება ისტორიულ დვალეთსა და ალაგირის ხეობაში (ეკლესიები ხოზითა მაირამ, თლი, ნარძუარ, ხუცაუძუარ, ზლესიძუარ, ნუზალის სალოცავი და სხვ). ქრისტიანობის დამკვიდრება ოსებში მიმდინარეობდა საქართველოს მთიანეთის მსგავსად, სადაც ქრისტიანული სალოცავები ხშირად იკავებდნენ წარმართული ხატების ადგილს ან ერწყმოდნენ მათ. ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული სახელმწიფოს და ეკლესიის გავლენის დასუსტება, განსაკუთრებით მონღოლთა შემოსევების შემდეგ (XIII-XIV სს), იწვევდა რეგიონში ქრისტიანული რელიგიის პოზიციების თანდათანობით დათმობას. ამ ფონზე, ძლიერდებოდა ოსურ მოსახლეობაში ქრისტიანობასთან პარალელურად შენარჩუნებული ტრადიციული კულტები, რაც აგრეთვე საქართველოს მთიანეთში განვითარებული პროცესების იდენტური იყო.

ოსთა რელიგიური ტრადიცია ყალიბდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში და შეიცავს რამდენიმე შრეს, კერძოდ, ტრადიციულ (კავკასიური, ირანული), ქრისტიანულ და ისლამურ ელემენტებს, თუმცა ყველაზე მრავალფეროვნად მიჩნეულია ის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ოსებს ჩამოუყალიბდათ კავკასიურ ნიადაგზე და გამოირჩევა დიდი მსგავსებით მეზობელი კავკასიელი ეთნოსების კულტებთან (Калоев 2004, 344). ოსური და კავკასიური, მათ შორის სვანური, მეგრული, რაჭული, მოხეური, მთიულური, ხევსურული, რწმენა-წარმოდგენების და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების და დღესასწაულების მსგავსება იყო როგორც ტიპოლოგიური, ისე მატერიალური, ანუ ემთხვეოდა ღვთაებების, რიტუალების და დღესასწაულების სახელებიც (Абаев 1990, 111).

ოსების რელიგიურ ტრადიციაში ქართული ელემენტის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, ადვილად ასახსნელია ქართველური წარმოშობის საკულტო ლექსიკის ფართო გავრცელება ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში. რელიგიურ-რიტუალური შინაარსის ტოპონიმების კონცენტრაცია გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რომელი ჯვარ-ხატი იყო უფრო ძლიერი ამა თუ იმ მხარეში. ტოპონიმიის მეშვეობით ვიგებთ, რომელი სალოცავები მიივიწყა ადგილობრივმა მოსახლეობამ და რომელი პერსონაჟები არსებობდა მის მითოლოგიაში. რელიგიური შინაარსის სიტყვები გვხვდება როგორც სალოცავი

ადგილების, ისე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებებში. სალოცავის სახელი ჰიდრონიმში მიუთითებს მდინარის ან წყაროს წყლის გამოყენებაზე ამ სალოცავისთვის მიძღვნილ რელიგიურ რიტუალებში. სასოფლო-სამეურნეო მიწების სახელწოდებებში სალოცავის ხსენება გვამცნობს, რომ აღნიშნული მიწები ჯვარ-ხატების მამულებად ითვლებოდნენ ან მათზე ოდესღაც განთავსებული იყო სალოცავის ნიში (Цагаева 1971, 202-217).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ქართველური საკულტო ტოპონიმიის მნიშვნელობა ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობის ძველი რწმენა-წარმოდგენების გასააზრებლად. მიუხედავად იმისა, რომ ოსმა და ქართველმა მეცნიერებმა მიმოიხილეს დვალეთის ზოგიერთი ქართველური საკულტო ტოპონიმი, წინამდებარე სტატია არის იმის მცდელობა, რომ დამატებით გამოავლინოს ქართველური წარმოშობის ტოპონიმები ამ რეგიონში. გარდა ამისა, ქართველური საკულტო ტერმინები დვალეთის მიღმაც გვხვდება და ვრცელდება ალაგირისა და დიგორის ხეობებში. ამ ქართველური ტოპონიმების მრავალფეროვნება და კონცენტრაცია თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის გარკვეულ რეგიონებში იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა მეზობელ ქართველურ ეთნოსებთან საზიარო რწმენა-წარმოდგენები.

ლიტერატურის მიმოხილვა

XX და XXI საუკუნეებში მოღვაწე ოსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმებს სწავლობდნენ, რათა დაედგინათ მათი ეტიმოლოგია, თუმცა ფუნდამენტური კვლევა ამ სფეროში ეკუთვნის ოს მკვლევარს ა. ცაგაევას (Цагаева 1971; 1975). მკვლევარი აღწერს ტოპონიმების სტრუქტურასა და მორფოლოგიას, სიღრმისეულად სწავლობს ეტიმოლოგიას ტოპონიმებისა, რომლებიც დაჯგუფებულია ოსეთის რეგიონების მიხედვით. მეცნიერი ასევე აღნიშნავს ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში ქართული რელიგიური ტერმინების სიმრავლეს. მისი მონოგრაფია ღირებული წყაროა ამ სფეროში ყველა შემდგომი კვლევისთვის, თუმცა, ცაგაევას მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი არაზუსტია და საჭიროებს შემდგომ კვლევას. გარდა ამისა, ცაგაევას მიერ „აუხსნელად“ გამოცხადებულ ტოპონიმებში ხშირად ვლინდება ქართველური ეტიმოლოგია (Цагаева 1971; 1975).

ქართველი მეცნიერები მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან სულ უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას დვალეთის ტოპონიმიაზე, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთს ეკუთვნის. ამ მიმართულებით პიონერებს

შორის იყო ქართველი მეცნიერი დ. გვრიტიშვილი, რომელიც სხვადასხვა მასალის, მათ შორის დვალეთის ტოპონიმიის, შესწავლის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ დვალები ირანელენოვანი მომთაბარეების მიერ ასიმილირებული ქართველური ტომია (გვრიტიშვილი 1949). ქართველი მეცნიერი, ვ. გამრეკელი, აღნიშნავდა, რომ ისტორიულ დვალეთში ჩატარებული ტოპონიმიკური კვლევები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძველი დვალების იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ჰიპოთეზის გამყარებაში. გამრეკელმა ჩაატარა მრავალწლიანი კვლევა დვალების ისტორიის, გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ (გამრეკელი 1958). მეცნიერმა პირველად გამოთქვა ვარაუდი, რომ დვალთა განსახლების არეალი, ისტორიული დვალეთის გარდა, მოიცავდა ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის სხვა ტერიტორიებსაც. დვალეთის ტოპონიმიის შესწავლისას, ვ. გამრეკელმა თავდაპირველად ივარაუდა მისი ნახური წარმომავლობა, მაგრამ არ გამორიცხა დვალეთის გეოგრაფიულ სახელებს შორის ქართველური ფენის არსებობა. ვ. გამრეკელის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა დვალური ტოპონიმიის შემდგომ შესწავლას ქართულ აკადემიურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. გამრეკელის ადრეულ ნაშრომებში შეიმჩნევა მიკერძოება, რაც გამოიხატება ფაქტობრივი მასალის (ტოპონიმების) გამოყენებაში დვალების ნახური წარმოშობის დასამტკიცებლად. შესაბამისად, მეცნიერი უგულებელყოფს რიგი ტოპონიმების მკაფიო ქართველურ ეტიმოლოგიას (გამრეკელი 1958; Гамрекели 1961). აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით გამრეკელმა უარყო დვალების ნახური წარმომავლობის ჰიპოთეზა და ისინი ზანურ (ქართველურ) ტომად მიიჩნია. მეცნიერი ასევე მკაფიო ქართულ კვალს ამჩნევდა დვალების სინკრეტულ (ქრისტიანულ და წარმართულ) სარწმუნოებაში, და მასთან დაკავშირებულ ტოპონიმებში (გამრეკელი 1963).

თანამედროვე ქართველი მეცნიერი რ. თოფჩიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული ექსპერტია დვალეთის ისტორიის საკითხებში. მის კვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დვალეთის ონომასტიკას, კერძოდ ტოპონიმებს და ანთროპონიმებს. მეცნიერი განიხილავს დვალური ტოპონიმების ქართველური წარმომავლობის ვერსიებს. თოფჩიშვილის მიერ წარმოებული ტოპონიმური კვლევების დასკვნები მხარს უჭერს მის ჰიპოთეზას, რომ ისტორიული დვალები იყვნენ ზანურ-სვანურ ენაზე მოლაპარაკე ქართველური ტომი (თოფჩიშვილი 2021).

დ. გვრიტიშვილის, ვ. გამრეკელისა და რ. თოფჩიშვილის მიერ ჩატარებული კვლევები წარმოადგენს დვალეთის ტოპონიმიის ყო-

ვლისმომცველი შესწავლის მცდელობას და ტოპონიმიკურ მასალას იყენებს ოსების ეთნოგენეზში „კავკასიური სუბსტრატის“ თეორიის მხარდასაჭერად.

ჩრდილოეთ ოსეთში ქართული ტოპონიმების ფენა უფრო მდიდარია, ვიდრე ეს წარმოდგენილია ოსი და ქართველი მეცნიერების ნაშრომებში, თუმცა, დღემდე ჩატარებული კვლევა არ იძლევა ტოპონიმიის სრულ სურათს და საკითხის შემდგომი შესწავლა აუცილებელია. ყველა ხსენებულმა და სხვა ქართველმა მკვლევარმა დვალეთში მკაფიოდ დააფიქსირა ქართველური ტოპონიმია, მათ შორის რელიგიური ტერმინები, თუმცა, მათი კვლევითი ინტერესი ნაკლებად იყო გამოხატული დვალეთის მიღმა ქართველური ტოპონიმების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ძალიან მწირია ამ თემაზე უცხოელი მეცნიერების პუბლიკაციების რაოდენობა.

მეთოდოლოგია

სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. კვლევა დაეფუძნა შინაარსობრივ ანალიზს, რომელიც მოიცავს საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვას. ჩრდილოეთ ოსეთში საველე კვლევის ჩატარების შეზღუდვების გამო, ჩვენ შევაგროვეთ და გავაანალიზეთ მონაცემები, ძირითადად, სამაგიდე კვლევის საშუალებით. სტატიისთვის ოსური ტოპონიმიკური მონაცემების იდენტიფიკაცია და შეგროვება ეყრდნობოდა ქართველი და ოსი მკვლევრების, უპირველესად კი ა. ცაგაევას, მიერ აღწერილ ტოპონიმებს. სტატიაში გამოყენებულია ა. ცაგაევას ნაშრომი, რომელიც მოიცავს ტოპონიმების გეოგრაფიულ ლოკალიზებას ჩრდილოეთ ოსეთის რეგიონების მიხედვით (Цагаева 1971; 1975).

ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმებისა და ქართველური ენების ლექსიკასა და ტოპონიმებს შორის მსგავსების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ენათმეცნიერების ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. რელიგიური ტერმინების და მათთან დაკავშირებული ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმების ოსური გამოთქმის ფორმები ზოგ შემთხვევაში ქართველურ ენებში მიღებული ფორმების იდენტურია, თუმცა ხშირად ისინი ფონეტიკურად დამახინჯებულ სახეს იღებს. ამრიგად, ეტიმოლოგიურ კვლევებში არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართულ-ოსურ ფონეტიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც შესწავლილი და განმარტებულია ოსი და ქართველი მეცნიერების ნაშრომებში (Абаев 1949, 291-308; ანდრონიკაშვილი 1984, 30-41).

რელიგიურ-საკულტო მნიშვნელობის ტოპონიმები დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში

როგორც აღინიშნა, ძველი წარმართული კულტების და ქრისტიანობის სიმბიოზის შედეგად ოსებში გავრცელდა სინკრეტული რწმენა, რომელიც დღემდე შემორჩენილია ოსურ ტრადიციაში. შესაბამისად, ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში ვხედავთ როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ ლექსიკას. ტოპონიმები ქართველური საკულტო ლექსიკით განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება დვალეთში, თუმცა ასევე წარმოდგენილია მასთან მომიჯნავე ალაგირსა და დიგორში.

ქურთათის და ალაგირის ხეობაში რამდენიმე ტოპონიმია ***ათქნაგ*** (Цагаева 1975, 65, 490)**.** ვ. აბაევის ცნობით, ოსურ ხალხურ ტრადიციაში დღესასწაული ***ათქნაგ*** აღინიშნება თიბვის დაწყებამდე და წარმოადგენს ძველი წარმართული კულტის გამოძახილს, თუმცა მისი სახელწოდება უკავშირდება ქრისტიანული წმინდანის, ***მღვდელმოწამე ათინოგენეს*** სახელს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ***ათქნაგ***-ს განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ ხევის სოფ. კობში მცხოვრები ოსები და მათი მეზობელი ქართველი მთიელები (Абаев 1958, 81-82). ოსური დღესასწაულის სახელი ***ათქნაგ*** მიღებული უნდა იყოს ერთ-ერთი ქართული ვერსიისგან – ***ათანაგი*** (შდრ. დღესასწაულის სახელწოდება ***ათანაგ-ობა***). ***ათენგენობა/ათნიგენობა/ათანაგობა***-ს დღესასწაულს დღემდე აღნიშნავენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები**.** სალოცავს რაჭაშიც ეთაყვანებოდნენ, რაზეც მეტყველებს სოფელ გლოლასთან შემორჩენილი ძველი სალოცავი ***ათანიგენას ხატი. ათენგენობამ*** საქართველოს კუთხეების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ტრადიციაში დაიკავა ძველი ქართული ხალხური დღესასწაულის, ***ვარდობის,*** ადგილი. ***ათენგენობა/ვარდობა*** აღმოსავლეთ საქართველოს მთაში აღინიშნებოდა თიბვა-მკის დაწყებამდე (ღამბაშიძე, ალავერდაშვილი 2018, 212-219). დვალეთელ ოსებში დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, რომ ***ათენგიანობა*** დვალებში გავრცელებული დღესასწაული იყო და მის აღსანიშნავად მიდიოდნენ სოფელ თლისთან მდებარე სალოცავთან ***სამთხოსქ ძუარ*** (Цагаева 1975, 284)**.** ***ათქნაგ***-ის ოსური კულტი ძლიერ მსგავსებას ავლენს ***ათენგენობისა*** და ***ვარდობის*** ქართულ კულტებთან. ეს მსგავსება იმაზე მეტყველებს, რომ ოსებმა შესაძლოა შეითვისეს კულტი დვალური სუბსტრატიდან და შემდგომში გაავრცელეს ოსეთის სხვა რეგიონებში.

დვალეთში წარმოდგენილია ორი ტოპონიმი ფუძით ***გონჩ-:*** ნასახლარი სოფ. თიბთან ***გონჩაიქ ფაზ*** „გონჩას ვაკე“ და საძოვარი სოფ.

სატათთან ***გონჩითᾔ*** „გონჩები“ (***გონჩი*** ოსური ენის მრავლობით რიცხვში) (Цагаева 1975, 229, 280). ფუძე ***გონჩ-*** შეესატყვისება ქართულ ***გონჯ***-ს, რომელიც ქართულ წარმართულ ტრადიციაში გვხვდება. ***გონჯა*** ერქვა თოჯინას, რომელიც სარიტუალო მსვლელობების დროს დაჰქონდათ კარდაკარ და ღმერთს ავდრის გამოგზავნას სთხოვდნენ. ამ წარმართულ რიტუალს ***გონჯაობა*** ეწოდებოდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შედეგად ***ლაზარობა*** დაერქვა (კოშორიძე 2014, 116-117). თანამედროვე ოსურ ეთნოგრაფიულ ტრადიციაში არ იკვეთება რიტუალები, რომლებშიც წვიმის გამოსაწვევად იყენებენ თოჯინას, თუმცა, დვალეთის ტოპონიმები შეიძლება მიუთითებდეს წარსულში ასეთი კულტის არსებობაზე როგორც ამ მხარეში, ისე საქართველოს მეზობელ მთიან რეგიონებში. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს შორის წვიმის გამოწვევის რიტუალებში თოჯინა ***გონჯა*** არ შეინიშნება, თუმცა მისი კვალი მოხევეების ლექსიკაში რჩება, სადაც ტერმინი ***გონჯი*** „უფერულის, ცუდის, უშნოს, ავკაცის“ მნიშვნელობით გვხვდება (შანიძე 1984, 305).

დვალეთის ბუბას ხეობაში საძოვარია სახელწოდებით ***დედაბერი*** (Цагаева 1975, 232). მოხუცი ქალები ***დედაბერები*** ავი ან კეთილი სულების სახით ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში გვევლინებიან. გარდა ამისა, ქართულ დიალექტებში ***დედაბერა*** სოკოა ერთგვარი (დათვის სოკო) და ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს მეტაფორასთან, ანუ მცენარის მიმსგავსებასთან მითოლოგიის პერსონაჟთან. სიტყვები ***დედაბერი/დედაბერა/დედაბერაი/დედბერაი*** გვხვდება გურიის, იმერეთის, სვანეთისა და რაჭის ტოპონიმიკაში (ძნელაძე 2011, 19; ჭკადუა 2011, 82).

ნაყოფიერების ღვთაება ***თარანჯელოზი*** შევიდა ოსების ღვთაებათა პანთეონში დვალეთიდან. ***თარანჯელოზის*** სალოცავები და მასთან დაკავშირებული ტოპონიმები გვხვდება ისტორიული დვალეთის რამდენიმე სოფელთან და მეზობელ თრუსოს ხეობაში (Цагаева 1975, 285). ***თარანგელოზი,*** ისევე როგორც სხვა სალოცავები ოსურ რელიგიურ სისტემაში, წარმოადგენს წარმართობისა და ქრისტიანობის სიმბიოზს. ეს გამოიხატება, მათ შორის, მის სახელში, რომელიც ქრისტიანულ ტერმინს წარმოადგენს: ***თარანჯელოზ*** არის დამახინჯებული ქართული სიტყვა ***მთავარანგელოზი*** (Абаев 1979, 231). ოსური ტრადიციის მიხედვით, განსაკუთრებით ძლიერად ითვლებოდა ***თარანჯელოზის*** სალოცავი დვალეთის სოფელ თიბში. საწყისი ***მ***-ის დაკარგვა სიტყვა ***მთავარანჯელოზ***-ში არ მომხდარა ოსური ენის ნიადაგზე, არამედ ოსებმა ამ ფორმით სიტყვა შეითვისეს ქართველური ენებიდან. მეგრულ ენაში გვხვდება ორი სიტყვა „მთავარის“ მნიშვნელო-

ბით: ***თავარ-*** და ***თარ-***. ელემენტი ***თარ-*** წარმოდგენილია ქართული „მთავარანგელოზის“ მეგრულ და სვანურ ვერსიებში: ***თარ-ანგილოზ/ თარ-ანგიოზ/თარ-ანგზელ***. იდენტური სახელწოდებით სალოცავი წარმოდგენილია აჭარაშიც, რასაც ტოპონიმიკაც ადასტურებს: ***თარანგელო*** ადგილის სახელია ზემო აჭარაში (ბედოშვილი 2002, 168). სალოცავის სახელწოდება ***თარ-*** ელემენტით გავრცელდა ხევშიც, სადაც ***თარანგელოზი*** ერთ-ერთი მთავარი სალოცავია.

ქართული ***მთავარანგელოზი***-ს კიდევ ერთი ვერსია წარმოდგენილია ალაგირის ხეობის სოფელ ჯიმის მახლობლად მდებარე სალოცავში, სახელად ***ჯიმისთვარ*** (Цагаева 1975, 184). სალოცავის სახელწოდება ორი კომპოზიტისგან შედგება: ***ჯიმის*** (სოფლის სახელწოდება ***ჯიმი*** ქართულ ნათესაობით ბრუნვაში) და ***თვარ***, რომელიც ქართული ***მთავარანჯელოზი***-ს შეკვეცილ ფორმას წარმოადგენს ***(მთავარ > თვარ)***. კომპონენტი ***თვარ*** გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაშიც: ***თვარანგელო.*** ამრიგად, ისტორიული დვალეთის ტოპონიმიაში და ოსების რელიგიურ ტრადიციაში დაფიქსირებული ***მთავარანგელოზის*** ვარიანტები ***თარ-/თვარ-*** ელემენტებით, გვაფიქრებინებს მათ ქართველურ წარმომავლობაზე.

დიგორში, სოფელ ზადალესქთან სახნავი მიწებია სახელწოდებით ***კოპალეთჳ*** (Цагаева 1975, 345)***.*** ტოპონიმის ფუძეა ***კოპალე,*** რომელიც გაფორმებულია ოსური ენის მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ნიშნით ***-თჳ.*** ოსი მეცნიერი ა. ცაგაევა აღნიშნავდა ტოპონიმის ქართულ წარმოშობას, თუმცა მის ეტიმოლოგიას შეცდომით უკავშირებდა ქართულ სიტყვებს ***კოპანო*** „ნავი“ ან ***კოპი*** „ტყავის წვრილი ნაჭერი“ (Цагаева 1975, 345). ტოპონიმის ფუძეში სხვა არაფერია, თუ არა ქართული წარმართული ღვთაების, ***კოპალა/კოპალე***-ს, სახელი. ***კოპალე*** ან ***კოპალა,*** აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ფშავლები, ხევსურები, მოხევეები და სხვ.) წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ღვთისშვილია, თუმცა მას ასევე ეთაყვანებოდნენ რაჭაშიც. დიგორის ხეობის სახნავები ***კოპალეთჳ*** სავარაუდოდ სალოცავის მამულს წარმოადგენდნენ. ამრიგად, ტოპონიმის საწყისი ფორმა უნდა ყოფილიყო ***კოპალები,*** რომელიც მოგვიანებით ითარგმნა ოსურად როგორც ***კოპალეთჳ*** (შდრ. ხევის ტოპონიმი ***ვაჩილები***, სათიბები ვაჩილას ხატის სახელზე).

სალოცავები ***სამთხოს*** ან ***სამთხოსქ ქუვანდონ*** მდებარეობენ დვალეთის სოფლებთან თლი, კალაქა და ლისრი. სახელი ***სამთხოს*** არის ქართულ ნათესაობით ბრუნვაში: ***სამთხო + ს***. ფუძე ***სამთხო*** არის ქართული ***სამღთო/სამღვთო-ს*** (***საღვთო***) ფონეტიკური ვარიანტი, რაც ნიშნავს „საღმრთოს, შესაწირავ ზვარაკს“. აღმოსავლეთ საქართველოს

მთიანეთში ამ ტერმინის ადგილობრივი ვერსიებია ***სამხთო*** ან ***სახთო***. ეს სიტყვა გვხვდება ქართველ მთიელთა (მთიულების, ხევსურების, ფშავების და სხვათა) სინკრეტულ სარწმუნოებაში სათემო თუ საგვარეულო სალოცავების სახელწოდებად. ქართველმა მკვლევრებმა აღნიშნეს სრული დამთხვევა, როგორც ფუნქციური, ასევე ტერმინოლოგიური, ქართულ ***სამხთო/სახთო***-სა და ოსურ ***სამთხოს***-ის შორის. ამრიგად, ოსური სალოცავისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (გამრეკელი 1963, 91-103). აღსანიშნავია, რომ დვალეთელი ოსები ***ათინაგის*** დღესასწაულზე ***სამთხოსის*** სალოცავზე ლოცულობდნენ.

დვალეთში, ალაგირის ხეობასა და თაგაურში (ოსეთის ისტორიული რეგიონი) ძლიერი სალოცავი იყო ***სანიბა,*** რომელმაც შემდგომში გაავრცელა თავისი გავლენა დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის სხვა ტერიტორიებზე. სანიბასადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სალოცავი მდებარეობს დვალეთის სოფელ სატატთან. ეს არის უძველესი და გავლენიანი დვალური გვარის, თვაურების, საგვარეულო სალოცავი. სოფელი სახელად ***სანიბა*** არის ისტორიული თაგაურის სანიბას ხეობაში (Цагаева 1975, 56, 189, 284). ბრიტანელი მკვლევარი ჯონ ბადდელი, რომელიც კავკასიაში მე-19 საუკუნის ბოლოს იმოგზაურა, აღნიშნავს, რომ „***სანიბა*** (ქართულ სამება) ნიშნავს სამებას“ (აბაევი, 1979, 30). ოსი მეცნიერი ვ. აბაევი ვარაუდობს, რომ თანხმოვნების ***-მ- -> -ნ-*** ჩანაცვლება შესაძლოა მომხდარიყო ოსურ ენაში (ქართული ***სამება*** > ოსური ***სანება***), თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ფორმა ***სანება*** გვხვდება ქართული ენის ხევსურულ დიალექტში (იქვე). დავამატებთ, რომ ფონეტიკური ფორმა ***სანება*** დადასტურებულია სვანებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ლოცვებში და სალოცავების სახელებში, როგორიცაა ***ბერი სანება*** და ***სანებას წმინდა გიორგი***, რაც ადასტურებს ***-მ- > -ნ-*** თანხმოვანთა ჩანაცვლების პროცესის ქართულ წარმომავლობას. შესაბამისად, კულტი და ტერმინი ***სანება*** ქართველ მთიელებში, მათ შორის ძველ დვალებში, იყო გავრცელებული და ოსების სარწმუნოებრივ სისტემაში დვალურ სუბსტრატს უნდა წარმოადგენდეს.

ხეობას სოფელ წაისთან (ალაგირი) ეწოდება ***საჭერპაიკ ქომ*** „საჭერპას ხეობა“ (Цагаева 1975, 123)**.** ტოპონიმის პირველი კომპონენტის ფუძე ***საჭერპაიკ*** ოსური ენის ნათესაობით ბრუნვაშია. ფუძეში ***საჭერპა-*** შეგვიძლია გამოვყოთ ქართული პრეფიქსი ***სა-*** და ***ჭერპა.*** ფონეტიკური პროცესების შესაბამისად, ოსური ***ჭერპ-*** შეესატყვისება ქართულ ***კერპ -*** ს. ამრიგად, ოსური ***საჭერპა*** ფონეტიკურად სახეცვლილი ქართული ***საკერპეა,*** რაც სამსხვერპლო ადგილს ნიშნავს (სა-

ნაყოთი 1987, 156). რადგან ალაგირის სოფელი წაი, რომელთან ახლოსაც მდებარეობს ***საჭერპას*** ხეობა, დვალების განსახლების არეალს წარმოადგენდა, შესაძლოა ტოპონიმი დვალთა მემკვიდრეობას მივაკუთვნოთ.

დვალეთის სოფელ ზახასთან გვხვდება მდელო და საძოვარი სახელწოდებით ***ტეხსა*** (Цагаева 1975, 262). რ. თოფჩიშვილის აზრით, ფუძე ***ტეხ*** ტოპონიმში ქართულია და წარმოდგენილია სიტყვაში ***ტეხა***, რომელიც „მტვრევის“ მნიშვნელობით გამოიყენება (თოფჩიშვილი 2021, 170). საქართველოში მრავლად გვხვდება ტოპონიმები ***ტეხ-*** ფუძით: სოფელი ***ტეხი*** აფხაზეთში, მდინარეები ***ტეხური*** სამეგრელოში და ***ტეხიანი***. კახეთში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტოპონიმი ***ტეხსა*** დვალური წარმოშობისაა და მისი ეტიმოლოგია ქართულ წარმართობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იმერეთის სოფელ პერევისის და მასთან ახლოს მდებარე სოფლების მთავარ სალოცავს წარმოადგენდა ***ტეხისა***. იმერეთსა და რაჭაში აღინიშნებოდა დღესასწაული ***ტეხისობა***, რომელიც წინაქრისტიანული ხანიდან მოდის. რაჭის სოფელ ზემო თლუღში შემორჩენილია ***ტეხის წმინდა გიორგის*** ძველი ეკლესია, ხოლო ქართლის სოფელ ციხისძირში ძველი სალოცავია ***ტეხის ჯვარი.*** აღნიშნული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ***ტეხის*** სალოცავი ძველად გავრცელებული იყო დვალეთშიც. ამრიგად, დვალეთის ტოპონიმში ***ტეხსა*** უნდა ვივარაუდოთ ***ტეხისა***. დვალთა სასოფლო-სამეურნეო მიწები სახელწოდებით ***ტეხისა,*** სავარაუდოდ, ხატის მამულებს წარმოადგენდა, ან ამ ტერიტორიაზე სალოცავის ნიში იყო განთავსებული, რომელიც შემდგომ მიივიწყა ოსურმა მოსახლეობამ.

ა. ცაგაევამ დააფიქსირა რამდენიმე ტოპონიმი, რომელიც უკავშირდება ოსთა ტრადიციული რწმენის ერთ-ერთი ღვთაების სახელს – ***ქასუთ̈***-ს. ტოპონიმები ლოკალიზებულია ძირითადად ალაგირის სოფელ ჯიმისთან და მასთან ახლოს მდებარე ქურტატის ხეობების სოფელ ხიდიყუსთან (Цагаева 1975, 115, 154, 185). ტოპონიმები ***ქასუთ̈*** აგრეთვე გვხვდება ოსების დასახლებებთან თრუსოს ხეობაში. ვ. აბაევის ცნობით, დღესასწაულის სახელი ***ქასუთ̈*** წარმოიშვა თბილისში მდებარე ქრისტიანული სალოცავის ქართული სახელწოდებიდან ***ქაშვეთი/ქვაშვეთი***. ქართულ ხალხურ ტრადიციაში ადგილი, სადაც მდებარეობს ქაშვეთის ეკლესია, უკავშირდება ასურელ მამა დავითს, რომელიც იქ ქადაგებდა VI საუკუნეში. ლეგენდის თანახმად, მამა დავითი ცოდვილმა ქალმა ტყუილად დაადანაშაულა სიძვაში. ღვთისგან სასჯელად მან შვილის ნაცვლად ქვა გააჩინა (ქვა შვა). შესაბამისად ადგილს, სადაც ეს მოხდა, ეწოდა ქვაშვეთი. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ქართული სალოცავის ეტიმოლოგია უკავშირდებოდეს

კეთრის აღმნიშვნელ ძველ ქართულ სიტყვას ***ქაშოეთი***. ამრიგად, კეთრით დაავადებულთა თავშესაფარი თბილისში, სავარაუდოდ, მდებარეობდა იმ ადგილზე სადაც შემდეგ ქაშვეთის ქრისტიანული სალოცავი ააგეს. ოსური დღესასწაული ***ქასუთჲ*** აღინიშნება გაზაფხულზე, რომლის დროსაც ოჯახებს ახლად დაქორწინებული ქალები მიჰყავთ მდინარეზე და ღვთაებას მათთვის მრავალრიცხოვან შთამომავლობას შესთხოვენ (Абаев 1958, 573; Thordarson 2008, 48,51). ოსური ***ქასუთჲ*** მსგავსია საქართველოს მთიელებში გავრცელებული ***ქაშვეთის*** კულტისა. ***ქაშვეთის წმინდა გიორგისადმი*** მიძღვნილი ეკლესიები და სალოცავები გვხვდება სვანეთსა და მთიულეთში. ხევში სიტყვა ***ქაშვეთის*** დამახინჯებულ ფორმებს წარმოადგენს ორი ტოპონიმი: ***ქაშეთა*** და ***ქაშეთია***. ხევის მოსახლეობა ***ქაშეთას*** დღესასწაულს გაზაფხულზე აღნიშნავს (ითონიშვილი 1971, 15-17; 2015, 176). ხევში მცხოვრებთა თქმით, ***ქაშეთია*** ბავშვთა („ბალღების“) სალოცავად არის მიჩნეული. შესაბამისად, ***ქაშვეთის*** კულტის არსი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ემთხვევა ოსურ ***ქასუთჲს***, სადაც ქალები მრავალშვილიანობისთვის ლოცულობენ. ოსურ სალოცავს დვალური წარმომავლობა უნდა ჰქონდეს, რაც დასტურდება მისი ლოკალიზაციით ძველი დვალების განსახლების არეალში, ალაგირისა და თრუსოს ხეობებში. ფონეტიკურად ოსური სიტყვა ***ქასუთჲ*** ახლოს დგას სალოცავის სახელთან ***ქაშეთა***, რომელიც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში.

დვალეთის ჯინათის ხეობაში საძოვრებია სახელწოდებით ***ძინკჷ დარჲნთჲ*** „ძინკას წყემსების სადგომი“ (Цагаева 1975, 235). ტოპონიმის პირველი კომპონენტის ფუძეა ***ძინკ***, გაფორმებული ოსური ენის ნათესაობითი ბრუნვის ბოლოსართით ***-ჷ***. ოსური ენის ფონეტიკური სისტემისთვის კანონზომიერია ***-ჭ- > -ძ-*** ბგერების ტრანსფორმაცია (შდრ. ოსური ***ძალა*** < ქართული ***ჭალა***). შესაბამისად, ***ძინკ-*** იგივე ქართული ***ჭინკ(ა)*** უნდა იყოს, რომელიც ქართულ და ლაზურ მითოლოგიაში მიწის ავსულია, ტყის კაცი, ქაჯი. სიტყვა ***ჭინკა*** მრავლად გვხვდება საქართველოს ტოპონიმიკაში (***ჭინკაის ღელე, ჭინკას ხიდი, საჭინკიე***, ***ჭინკების ქვა*** და სხვა) (ძნელაძე 2005, 5,10).

დვალეთის სოფელ აბაითიყაუსთან მდებარე ერთ-ერთ საძოვარს ეწოდება ***ძაბრაიჷ ძჷყჷთჲ*** „ძაბრას ველ-დაბლობი“ (Цагаева 1975, 234). ტოპონიმის პირველი კომპონენტის ფუძეა ***ძაბრა*** ოსური ენის ნათესაობით ბრუნვაში. ***ძაბრა/ძვაბრა*** მეგრული მითოლოგიის პერსონაჟია, ტყის ავი სული, რომელიც იხსენიება ფოლკლორულ სიმღერებსა და ლექსებში. ერთ-ერთი მეგრული საფერხულო ცეკვის მისამღერი მოგვითხრობს ალქაჯის სახით ტყიდან მოვარდნილი ***ძაბრა***-ს (ბოროტი სულის) თავდასხმაზე. სიტყვა ***ძ(ვ)აბრა*** მეგრულად „მუხანათს, გაიძვერას“ ნიშნავს.

განხილული ტოპონიმები იმ დიდი ქართველური რელიგიური და მითოლოგიური ლექსიკის ნაწილია, რომელიც იდენტიფიცირებულია ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის გეოგრაფიულ სახელებში. ტოპონიმების ეს კატეგორია ჩრდილოეთ ოსეთში, განსაკუთრებით დვალეთის, ალაგირისა და დიგორიის რეგიონებში, ქართველური წარმოშობის ტოპონიმიის მნიშვნელოვანი ფენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ქრისტიანული ტერმინები ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმებში უფრო გვიანდელ შრეს წარმოადგენს და მკვიდრდებოდა ქართული სახელმწიფოს და ეკლესიის მიერ ქრისტიანული რწმენის გავრცელებასთან ერთად, სავარაუდოდ, X საუკუნიდან. რაც შეეხება ქართველურ წარმართულ ლექსიკას ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში, ის გაცილებით უფრო ძველი ხანის, ადრეული შუასაუკუნეების, მემკვიდრეობა უნდა იყოს, ხოლო ოსურ მოსახლეობას დღეს მისი მნიშვნელობა უმეტესად დავიწყებული აქვს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკულტო და მითოლოგიური ლექსიკა საკვლევი ტერიტორიის ქართველურ ტოპონიმებში მიეკუთვნება ზანურ, სვანურ და ქართულ ენებს. ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში ქართული ფენა მოიცავს როგორც წარმართულ საკულტო ტერმინოლოგიას, ასევე ქრისტიანულ ლექსიკას.

დასკვნა

თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ლანდშაფტში მრავალფეროვანი ქართველური ტოპონიმია ავლენს ღრმა ურთიერთკავშირს ძველ ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებსა და გეოგრაფიულ ნომენკლატურას შორის. ადგილის სახელებისა და მათი ეტიმოლოგიური ფესვების ანალიზით ცხადი ხდება, რომ სამხრეთ კავკასიის რელიგიურმა და კულტურულმა გავლენამ წარუშლელი კვალი დატოვა ამ მხარის ტოპონიმიაში. ეს კვლევა ნათელს ჰფენს მნიშვნელოვან ქართველურ წვლილს ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმურ ლანდშაფტში და ხაზს უსვამს იმ კულტურულ სიმბიოზს, რომელიც ახასიათებს რეგიონს ათასწლეულების მანძილზე.

ცალკეული ლექსიკური ელემენტები ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმიაში შეიძლება წარმოადგენდეს ენობრივ ნასესხობებს, თუმცა ქართველური რელიგიური ლექსიკის კონცენტრაცია და მრავალფეროვნება ტოპონიმებში მიგვანიშნებს საერთო სარწმუნოებრივ სისტემაზე, რომელიც სავარაუდოდ მიუთითებს ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეზე ცენტრალური კავკასიის საკვლევ მონაკვეთზე. კვლევა ცხადყოფს, რომ ოსების რელიგიურ ტრადიციაზე, რომელიც ხასიათდება სინკრეტიზმით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართველურმა რელიგიურმა პრაქტიკამ და ტერმინოლოგიამ.

ქართველური საკულტო ტოპონიმების კონცენტრაცია დვალეთის ტრადიციულ საზღვრებს მიღმა, ალაგირისა და დიგორის მხარეებში, შეიძლება კიდევ უფრო ამყარებდეს ცენტრალურ კავკასიაში დვალთა ფართო განსახლების თეორიას.

ჩრდილოეთ ოსეთში ქართველური ტოპონიმები წარმოჩენილია როგორც ეთნოკულტურული პროცესების შემადგენელი ელემენტები, რომლებიც ქმნიან წარმოდგენას რეგიონში უძველესი საერთო რწმენებისა და კულტურული ურთიერთკავშირების შესახებ.

ჩრდილოეთ ოსეთში ქართველური ტოპონიმების სიღრმისეული შესწავლა იძლევა ახალ შესაძლებლობებს კავკასიის ეთნოკულტურული და ლინგვისტური კავშირების შემდგომი კვლევისთვის.

დამოწმებანი

ანდრონიკაშვილი, მზია. 1984. „შენიშვნები ქართველურ ენებიდან ოსურში შესული ლექსიკის ფონეტიკური ადაპტაციის შესახებ". *საენათმეცნიერო კრებული* 1: 30-41.

ბედოშვილი, გურამ. 2002. *„ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი".* ტ. I. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გამრეკელი, ვახტანგ. 1958. „დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის". *ივ.ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის შრომები* IV, ნაკ. 1: 45-67.

გამრეკელი, ვახტანგ. 1963. „ისტორიული მასალები დვალეთიდან". *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXIV-B: 91-103.

გვრიტიშვილი, დავით. 1949. „დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის". *მიმომხილველი* I (აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი): 109-121.

თოფჩიშვილი, როლანდ. 2021. *დვალეთი და დვალები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ითონიშვილი, ვალერიან. 1971. *ხევის ტოპონიმიკა.* თბილისი: მეცნიერება.

ითონიშვილი, ვალერიან. 2015. *მოხევეების ყოფა-ცხოვრება.* თბილისი: ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი.

კოშორიძე, თამილა. 2014. „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში". სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. https://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/tkoshoridze.pdf.

სანაყოთი, მანანა. 1987. „ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ“. *კრებულში ონომასტიკა* I, საერთო რედ. შოთა ძიძიგური; ტომის რედ-ები: პაატა ცხადაია, ბესარიონ ჯორბენაძე, 154-156. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა.

ღამბაშიძე, ნინო და ქეთევან ალავერდაშვილი. 2018. *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (გუდამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები)*. თბილისი: მერიდიანი.

ძნელაძე, რევაზ. 2005. *გურული დიალექტის ტოპონიმური ლექსიკა.* თბილისი: უნივერსალი.

ჭკადუა, ამბაკო. 2011. „სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონი“. წიგნში *სვანეთის ტოპონიმიკა.* რედ. ამბაკო ჭკადუა, 9-677. თბილისი: უნივერსალი.

შანიძე, აკაკი. 1984. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. I. თბილისი: მეცნიერება.

Thordarson, Fridrik. 2008. “Chapter 3 – Language Contacts.” In *Ossetic Grammatical Studies. Veröffentlichungen zur Iranistik* 48, ed. Sonja Fritz, 21-85. Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften.

Абаев, Василий. 1949. *Осетинский язык и фольклор (ОЯФ),* т. I. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР.

Абаев, Василий. 1958. *Историко-этимологический словарь осетинского языка,* т. I. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР.

Абаев, Василий. 1979. *Историко-этимологический словарь осетинского языка,* т. III. Ленинград: Наука.

Абаев, Василий. 1990. *Избранные труды. Религия, фольклор, литература.* Владикавказ: Ир.

Гамрекели, Вахтанг. 1961. *Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э.* Тбилиси: Издательство Академии Наук Грузиской ССР.

Калоев, Борис. 2004. *Осетины.* Москва: Наука.

Цагаева, Анастасия. 1971. *Топонимия Северной Осетии.* т. I. Орджоникидзе: Ир.

Цагаева, Анастасия. 1975. *Топонимия Северной Осетии.* т. II. Орджоникидзе: Ир.

Omar Begoidze
Ilia State University, Georgia
omar.begoidze.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/17/61-87

Kartvelian Cultic Toponyms in Present-Day North Ossetia

Keywords: *Kartvelian, Ossetic, cult, toponymy, etymology*

Introduction

The diversity and richness of the Ossetian religious system and mythology distinguish the ethno-cultural space of the Ossetian nation. The religious cult that spread among the Ossetian population is an example of the fusion of ancient traditional beliefs with world religions such as Christianity, resulting in the development of religious syncretism (Цагаева 1971, 202). This circumstance is related to historical and ethno-cultural processes that developed over the centuries in present-day North Ossetia. The population inhabiting the Central Caucasus was an integral part of the South Caucasus Neolithic, Bronze, and Iron cultures. The ethno-cultural proximity of the populations living on the northern and southern slopes of the Caucasus was preserved even after the migration of nomadic Iranian and Turkic-speaking tribes to the region. Thus, the pagan cults and mythology of the ancient inhabitants of modern North Ossetia have been shaped by the symbiosis of the religious and mythological systems of both the indigenous Caucasian tribes and the migrating Iranian-speaking tribes.

An important stage in the religious life of the territory of present-day North Ossetia developed in the 10th-12th centuries, when the influence of the Georgian kingdom and the Georgian Orthodox Church in the North Caucasus grew stronger, seeing Georgians beginning to actively build churches and monasteries in the region. In North Ossetia, Georgian Christian monuments are concentrated mainly in historical Dvaleti and in the Alagir Valley

(the churches of Khozita Mairam, Tli, Nardzuar, Khutsaudzuar, Zlesidzuar, the Nuzal shrine, etc.). The spread of Christianity in Ossetia was similar to that occurring in the mountainous regions of Georgia, where Christian shrines often took the place of pagan sanctuaries, or merged with them. The weakening of the Georgian state and Church's influence in the North Caucasus, especially after the Mongol invasions of the 13-14th centuries, led to the gradual decline of the Christian religion in the region. Simultaneously, the traditional cults which had been maintained in parallel with Christianity gained influence among the population, a change also seen in the mountain communities of Georgia.

The religious traditions of the Ossetes were formed over many centuries, and contain several layers, including traditional (Caucasian, Iranian), Christian, and Islamic elements. However, the most diverse beliefs are of Caucasian origin, which exhibit significant similarities with the cults of neighboring Caucasian ethnic groups (Калоев 2004. 344). The similarities between Ossetian and various Caucasian (including Svan, Megrelian, Mokhevian, Mtiulian, and Khevsurian Georgian) beliefs and customs are both typological and material, with notable correspondences in the names of deities, rituals and holidays (Абаев 1990, 111).

Considering the role of Georgian elements in the spiritual tradition of the Ossetes, it becomes clear why the cult vocabulary of Kartvelian origin is prevalent in the toponymy of North Ossetia. The abundance of toponyms with religious connotations aids in identifying the dominant shrines in the region. Through toponymy, we can gain valuable insights into the historical prominence of shrines in specific regions, the extent to which they have been forgotten by the local population, and the religious or mythological figures that were once venerated there. On the territory of North Ossetia, religious elements are present in the names of sites of worship, as well as in various geographical features: The names of shrines in hydronyms signify the use of river or spring water in religious rituals dedicated to those sacred sites, while references to shrines in the names of agricultural lands suggest that these lands were once considered the "estates" of the shrine, or that the shrine itself may have been located on them (Цагаева 1971, 215).

This research aims to investigate the significance of Kartvelian cult toponymy so as to better understand the ancient beliefs of the population in contemporary North Ossetia. While Ossetian and Georgian scholars have studied some Kartvelian cultic toponyms of Dvaleti, this article focuses on identifying additional toponyms of Kartvelian origin from the Dvaleti region. Furthermore, Kartvelian cultic terms are seemingly found beyond Dvaleti, extending into the Alagir and Digoria regions. The diversity and concentration of these

Kartvelian toponyms in specific areas of North Ossetia suggest that the local population may have shared a belief system with neighboring Kartvelian populations.

Literature Review

გრამატიკული აღწერის შემდეგი თავი მიმღეობას ეთმობა. მისიონერი აღნიშნავს, რომ ყველა ზმნა მიმღეობისა და გერუნდივის საკუთარ ფორმას აწარმოებს, ამდენად, მიმღეობათა წარმოების წესი ქართულში არ არსებობს და მათი შესწავლა მხოლოდ მაგალითებით არის შესაძლებელი. ემანუელე აქაც უცნობი მისიონერის „გორულ გრამატიკას“ ეყრდნობა.

მიმღეობათა განხილვას მოსდევს ზმნიზედათა წარმოების რამდენიმე წესი:

> 1. ზოგიერთი ზმნიზედა ზედსართავი სახელისგან იწარმოება -ათ დაბოლოების დართვით, ხოლო ზედსართავი სახელის ბოლო ასო იკვეცება...; 2. წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელებიდან ნაწარმოებ ზმნიზედებს -ულათ დაბოლოება დაერთვის...; 3. მტკიცებითი ზმნიზედები იწარმოება სახელებზე -თ ასოს დართვით...; 4. უარყოფითი ზმნიზედების წარმოებისას მტკიცებით ფორმას უ- წინსართი დაერთვის, ხოლო ბოლო ხმოვანს -ოთ კომპლექსი ენაცვლება...

ზმნიზედათა წარმოების წესების აღწერის შემდეგ მისიონერი გრამატიკულ შეთანხმებებს განიხილავს:

1. როცა არსებით სახელს ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი რომელიმე მეტყველების ნაწილი, ზედსართავი სახელი მხოლობით რიცხვში, არსებითი სახელი კი მრავლობით რიცხვში დგას...; 2. სალაპარაკო ენაში ზედსართავი და არსებითი სახელების შეთანხმებისას, ზედსართავი ყოველთვის წრფელობით ბრუნვაში დგას, არსებითი სახელი კი ზმნას პირში და არა რიცხვში უთანხმდება, რადგან არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში გადადის...

ავტორი ვრცლად მსჯელობს ზმნათა აგებულების შესახებ:

1. ზმნა, როგორც წესი, სახელს შემასმენლობით ბრუნვაში შეიწყობს...; 2. „ყოფნა“ ზმნა ... ორ სახელს წრფელობით ბრუნვაში ითანხმებს...; 3. უქონლობის გამომხატველი ზმნა სახელს, ში- თანდებულის დართვითა და ბოლოკიდური ხმოვნის კვეცით, წრფელობით ბრუნვაში შეიწყობს...; 4. შიშის გამომხატველი ზმნები სახელს, გან- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში ითანხმებს...; 5. ადგილის აღმნიშვნელი ზმნები წრფელობით ბრუნვაში შეიწყობს სახელს, რომელსაც ში- თანდებული დაერთვის, ხოლო ში-თანდებულიანი სახელი გამოღებით ბრუნვაში დგება .... „ოთახში ვარ. სახდარში მილოცნია“; 6. გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები სახელს, დამ- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში შეიწყობს ... „გორიდამ მოვალ“; 7. გადაადგილებისა და მიმართულების გამომხატველი ზმნები სახელს მიცემით ბრუნვაში ითანხმებენ ... „გორს მივალ“; 8. ზმნები, რომლებიც განსაზღვრულ, დახურულ სივრცეში გადაადგილებას გამოხატავენ, სახელს, ში- თანდებულის დართვით, გამოღებით ბრუნვაში შეიწყობენ ... „ბაზარში, ოთახში, სახლში, ბაღში მივალ.“

ზმნათა აგებულების შესახებ მსჯელობას ცალკე თავად მოსდევს მისიონერის დაკვირვებები ქართულ გრამატიკაზე:

1. სალაპარაკო ქართულში სახელი წინ უსწრებს ზმნას, ხოლო ზმნიზედა – სახელს. მაგალითად, „მალე ღვინო მამიტანე“; 2. თანდებულები თითქმის ყოველთვის თან ერთვის სახელს. მაგალითად, „კაცისაგან“; 3. უსულო საგნები, რიცხვის მიუხედავად, ზმნას არა მრავლობით, არამედ მხოლობით რიცხვში შეიწყობს. მაგალითად, „ქალაქში ბევრი ციხები არის.“ მრავლობითი რიცხვის სულიერი სახელები კი ზმნას მრავლობით რიცხვში შეიწყობს. მაგალითად, „აქ გორში მრავალი კაცები არიან[...].“ მისიონერი დასძენს: „ზმნის აგებულებასთან დაკავშირებული წესების გადმოცემა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, მეტი სიცხადისთვის, გადავწყვიტე წესების მარტივად, მაგალითებით ახსნა ... პრეზენსისა და იმპერფექტუმის თხრობით კილოში მოქმედი პირი ...

> მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობით ბრუნვაში ... „კაცს ღმერთი უყვარს. კაცს ღმერთი უყვარდა". ... პერფექტუმის პირველ დროში მოქმედი პირი – წრფელობით ბრუნვაში, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი შემასმენლობით ბრუნვაში დგას ... „მე ღმერთი შევიყვარე". ამავე დროში მესამე სუბიექტურ პირს წრფელობით ბრუნვაში -მა ბოლოსართი დაერთვის ... „კაცმა ღმერთი შეიყვარა. პეტრემა მითხრა"; ... პერფექტუმის მეორე დროში მოქმედი პირი მიცემით ბრუნვაშია, ხოლო სამოქმედო – შემასმენლობითში ... „კაცსა ღმერთი შეუყვარებია"; პლუსკვამპერფექტუმში მოქმედი პირი მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობითში ... „კაცს ღმერთი შეეყვარა"; ... ფუტურუმში მოქმედი პირი წრფელობითშია, ხოლო სამოქმედო – მიცემითში ... „კაცი ღმერთს შეიყვარებს"; „... ბრძანებით კილოში მოქმედი პირი წოდებითში დგას, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი – შემასმენლობითში ... „კაცო, ღმერთი შეიყვარე" ... ბრძანებითის მესამე პირი, წოდებითის ნაცვლად, წრფელობით ბრუნვაში დგება და დაირთავს -მან, -მ და სხვა ბოლოსართებს ... „კაცმან ღმერთი შეიყვაროს. პეტრემ მასწავლოს. პავლემა წაიკითხოს"; ... ნატვრითსა და კავშირებით კილოებში მოქმედი პირი წრფელობით ბრუნვაში დგას და დაირთავს ზემოხსენებულ ბოლოსართებს, ხოლო სამოქმედო პირი ან საგანი შემასმენლობით ბრუნვაში დგას ... „კაცმან ღმერთი შეიყვაროს".

საინტერესოა ემანუელე და იგლესიასის რჩევები, რომლებსაც ის ახალბედა მისიონერებს უზიარებს:

> ახალბედა მისიონერს ვურჩევ, ქართული ენის შესწავლისას ნება გამოიჩინოს და გულისყურით შეისწავლოს და შეითვისოს ყველა ზემომოყვანილი წესი ზმნების აგებულების შესახებ, თუკი სურს, მარტივად დაეუფლოს გამართულ მეტყველებას და შეძლოს ქადაგებების შედგენა...

ემანუელეს რჩევებს მოსდევს თანდებულების ვრცელი განხილვა, რა დროსაც მისიონერი მაგალითებით ხსნის მათ ფუნქციასა და გამოყენების წესს წრფელობით, ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებთან.

„ზმნების აგებულება აქტანტების მიხედვით" – ასე ასათაურებს მისიონერი შემდეგ თავს, რომელშიც სხვადასხვა დროში პირის ნიშნების ხმარების წესს აღწერს. ზმნისა და სამოქმედო პირის შეთანხმებაზე საუბრობს მომდევნო თავში და გრამატიკულ ნაწილს უღლებათა პარადიგმებით ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, მისიონერი ზმნის უღლების აღწერისას არ ეყრდნობა ანტონის „ქართულ ღრამმატიკას", რომელიც, თავის მხრივ,

იტალიელი მისიონერების მიერ შემოთავაზებულ ზმნურ პარადიგმებს ეფუძნება. ანტონი, სამწერლობოსთან ერთად, სამეტყველო ენის ფორმების გამოყენებასაც ცდილობდა. მართალია, ემანუელემ საკუთარი გრამატიკის მოზრდილი ნაწილი „ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით აღწერა, ანტონის წიგნურ ფორმებს ყოველთვის სამეტყველო ფორმებით ანაცვლებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ მიზეზით აღარ დაეყრდნო ემანუელე „ქართული ღრამმატიკის“ ზმნურ ნაწილს და უღლების პარადიგმები, სასაუბრო ქართული ენის წესებით, არა ანტონის გრამატიკის, არამედ „გორული გრამატიკის“ მსგავსად შეადგინა.

რამდენადაც, ემანუელე და იგლესიასის ნაშრომზე მუშაობა გრძელდება და მზადდება სრული ხელნაწერის აკადემიური გამოცემა. მრავალფეროვანი გრამატიკული მასალა, რომელსაც იტალიელი მისიონერი წარმოგვიდგენს, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი და ქართული ენის გრამატიკა საფუძველს დაუდებს არაერთ მრავალმხრივ სამეცნიერო კვლევას, რითაც გაამდიდრებს არა მხოლოდ ქართული, არამედ ევროპული მისიონერული გრამატიკის ისტორიასა და ტრადიციებს.

დამოწმებანი

დობორჯგინიძე, ნინო, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი. 2023. *უცნობი ავტორი. „ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკონი.“ Anonymi* “*Grammatica* & *Vocabularium Linguae Georgianae.*” *ემანუელე და იგლესიასი. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი.“ Emmanuele da Iglesias. “Dizionario Georgiano-Italiano.”* საქართველოს კათოლიკური მისიების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ცაგარელი, ალექსანდრე, რედ. 1881. *მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა,* გამოცემული ალ. ცაგარელისაგან სახსოვრად V არხეოლოგიურის კრებისა თბილისს (= *Краткая Грузинская Грамматика, составленная Зурабомъ Шаншовани въ 1737 г.*, изданная А. Ц. въ память V археологическаго съезда въ Тифлисе. С-Петербургъ: Типографія Императорской Академіи Наукъ).

უთურგაიძე, თედო. 1999. *ქართული ენის შესწავლის ისტორია.* თბილისი: ქართული ენა.

ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. 1885. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

ჭკუასელი, ანა. 2021. „ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან: კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები". სადოქტორო დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Viareggio, Damien J. 1845. "Letter from the Reverend Father Damian de Viareggio, Capuchin and Prefect-Apostolic of Georgia, to the President of the Central Council of Lyons. Trebizond, February 1-13th, 1845." In *Annals of Propaganda Fide.* Vol. VIII.; No. XLIII: 258-273. Dublin: W. Powell.

Nino Doborjginidze
Ilia State University, Georgia
nino_doborjginidze@iliauni.edu.ge

Maia Damenia
Ilia State University, Georgia
maia.damenia.1@iliauni.edu.ge

Tamar Cheishvili
Ilia State University, Georgia
tamar.cheishvili@iliauni.edu.ge

Ana Chkuaseli
Ilia State University, Georgia
ana.chkuaseli@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/17/88-101

For the Analysis of the Grammatical Section of the Georgian-Italian and Italian-Georgian Dictionary of Emmanuele da Iglesias

The manuscript of the *Georgian-Italian and Italian-Georgian Dictionary*, accompanied by a *Grammatical Overview of the Georgian Language,* compiled by the Catholic missionary Emmanuele da Iglesias, who was active in Georgia and the Black Sea region during the first half of the 19th century, was discovered in 2011-2012 by a Georgian research expedition in the General Archives of the Capuchin Order.

This lexicographical work constitutes one of the earliest Western attestations of a Georgian dictionary produced within the intellectual framework of early modern missionary linguistics. In the Georgian-Italian section, da Iglesias draws directly on Sulkhan-Saba Orbeliani's celebrated dictionary, while simultaneously adapting it to the conventions of European lexicography. In accordance with long-established missionary practice, the dictionary is complemented by a grammatical overview, in which the dependence on, and creative adaptation of, the indigenous Georgian grammatical tradition is clearly discernible.

Supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, an edition of the extant Georgian-Italian part has already been published, while the printed and digital editions of the Italian-Georgian section and the grammatical overview are currently in preparation. The lexicographical and grammatical data preserved in the manuscript offer a rich corpus for future research, and promise to illuminate not only the history of Georgian linguistic description, but also raise broader questions within the historiography and traditions of European missionary grammar.

ანა ჭკუასელი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ana.chkuaseli@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/17/102-120

სამედიცინო საქმე მე-18-19 სს საქართველოში*

1. Cura Mediana ევროპელ მისიონერთა ლექსიკოგრაფიულ მასალებში

მე-16 საუკუნიდან ევროპაში თანდათან იზრდება სხვა სამყაროს მიმართ ინტერესი. ამ პერიოდიდან ინტენსიური ხდება ევროპელთა კულტურული კავშირები დანარჩენ სამყაროსთან. ეს კავშირები კიდევ უფრო ფართოვდება მას შემდეგ, რაც ევროპელი მისიონერები სხვადასხვა კონტინენტზე ევანგელიზაციურ საქმიანობას იწყებენ. მართალია, კათოლიკეთა საქმიანობა (რელიგიური, სამკურნალო და ა. შ.) ხშირ შემთხვევაში დასავლეთის კულტურულ ექსპანსიად განიხილებოდა, თუმცა თანამედროვე კვლევებში უკვე აღიარებულია მისიონერების უდავო წვლილი ბევრი ადგილობრივი ცოდნისა და პრაქტიკის ევროპაში გატანის საქმეში.[1] პერიფერიული ცოდნის ცენტრისკენ (ევროპისკენ) მოძრაობას და ზოგადად ხალხთა შორის ცოდნის ორმხრივი მიმოცვლის საკითხებს გლობალური ისტორია იკვლევს (Conrad 2016).

ჩვენც სწორედ ცოდნის ურთიერთგაცვლის ჭრილში გვაინტერესებს მე-17 საუკუნიდან საქართველოში მისიონერული ჯგუფების მო-

* სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის (YS-23-1201) ფარგლებში.

1 კვლევებში საგანგებოდაა შესწავლილი ევროპელი მისიონერების როლი ბევრი ხალხური მეთოდისა თუ სამკურნალო წამლის ევროპაში გატანის საქმეშიც. "The same intellectual proclivities that led missionaries to study indigenous languages and customs – strategic knowledge for winning conversions – led them to gather detailed information about native healing arts: traditional remedies and their natural ingredients" (Walker 2013, 403-431).

ბილობა და მათი საქმიანობა. ისტორიოგრაფიული მასალებიდან ვიცით, რომ მე-17 საუკუნიდან ეს კავშირები უფრო ინტენსიური გახდა.[2]

ბიბლიური სწავლების მიხედვით, სამისიონერო საქმიანობის დაარსების წინაპირობად მოიაზრება იესო ქრისტეს ცნობილი მოწოდება: „და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა უქადაგეთ სახარებაი, ესე ყოველსა დაბადებულსა, ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდეს, ენათა ახალთა იტყოდენ ... სნეულთა ზედა ხელთა დასდებდნენ და განცოცხლდებოდენ“ (მარ. 16:15-18). ამ გზავნილში მკაფიოდ იკითხება ევანგელიზაციური პროცესის წამყვანი ფაქტორი – კურნება. სნეულთა მკურნალობა, რომელიც მისიონერული საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა, ხშირად აღიქმებოდა არაიმდენად სეკულარულ, რამდენადაც რელიგიურ მიზნებს დაქვემდებარებულ პრაქტიკად. ვფიქრობ, ეს ასპექტი საკმაოდ დიდხანს იყო მნიშვნელოვანი კათოლიკე მისიონერების სამკურნალო საქმიანობის შეფასებისას. ამიტომაც თითქმის შეუსწავლელია, როგორ ხდებოდა ადგილობრივ ქართველებსა და ევროპელ მისიონერებს შორის სამკურნალო ცოდნის გაზიარება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

ქართულ მეცნიერებაში კათოლიკე მისიონერების მიერ შემოტანილ დასავლურ სამედიცინო ცოდნასა და გამოცდილებაზე მხოლოდ ერთეულ ანალიზს ვპოულობთ.[3] რაც შეეხება პირიქით პროცესებს, კვლევები თითქმის არ გვხვდება. თუ არ ჩავთვლით მისიონერების ჩანაწერების მიხედვით შესრულებულ იმ იშვიათ შემთხვევას, რომელშიც უფრო ქართული მკურნალობის მიმართ ევროპელი მისიონერების

2 ცოდნის ცირკულაციის სიძლიერე არის ის, რომ ის მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იმ პირს, რომელიც ცირკულაციის პროცესში მონაწილეობს (Östling et. al. 2018; Conrad 2017).

3 „ახლა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სწორედ XIII საუკუნიდან დაწყებული საქართველოში იწყება კათოლიკე მისიონერთა ჩამოსვლა, რომელთა შორის ბევრი განსწავლული ექიმიც იყო, გამორიცხული არ არის, რომ მათ სამკურნალო საქმის სხვა ტრადიციებთან ერთად, საქართველოში გვამების გაკვეთის წესიც ჩამოეტანათ, რასაც ქართულ ხელნაწერ სამედიცნო ძეგლებში შემონახული ზოგიერთი ცნობაც მოწმობს. ასე მაგალითად, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში“ იქ, სადაც ლაპარაკია ელენთის ავადმყოფობაზე, ნათქვამია: “... და თქუა ვინ ესე წამალი შექმნა. შევასვი სამსა დღესა წამალი ესეთელსა, და მაშინ გააპეს მუცელი მისი და არა პოვეს მის შიგან ტყირბი.“ ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ახალი სამკურნალო ნივთიერების მომწოდებელს ელენთის ავადმყოფობის სამკურნალოდ, ამ წამლის მიცემის სამი დღის შემდეგ უწარმოებია გარდაცვლილის გვამის გაკვეთა და ელენთის დაზიანება არ უნახავს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ისიც, რომ 1673 წელს კათოლიკ-მისიონერს შარდენს საქართველოს მეფე შაჰნავაზისთვის სხვა საჩუქართა შორის სადოსტაქრო იარაღებიც მიურთმევია, რომელთა შორის როგორც ჩანს ყოფილა, გვამების გასაკვეთი „საუცხოვო დანები“ (ჟღენტი, გელბახიანი, ტატიშვილი 1971, 92-93).

კრიტიკული დამოკიდებულებაა ნაჩვენები.[4] ხალხურ მკურნალობაზე მისიონერების ყველაზე უარყოფითი ჩანაწერებიც კი უაღრესად საინტერესოა და კოლხური მედიცინის პირველ ევროპულ რეპრეზენტაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ.[5] ვფიქრობთ, რომ უძველეს კოლხურ მკურნალობასთან მისიონერების დამოკიდებულების საანალიზოდ, შეუცვლელი წყაროებია კათოლიკეების მიერ შედგენილი თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონები. ადრეული მოდერნული პერიოდის საქართველოში მისიონერების წყალობით თანდათან ფეხს იკიდებს სალექსიკონო განმარტების ევროპული მოდელი. მართალია, ადრეული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ქართველი მთარგმნელები კარგად იცნობდნენ ბერძნულ სამყაროში აღიარებულ გლოსარებს და თვითონაც ადგენდნენ ლექსიკონის მსგავს კრებულებს, მაგრამ ისეთი ლექსიკონი, რომელიც „სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მიზნით ახსნა-განმარტებას აძლევდა მწიგნობრულსა და სამეტყველო ლექსიკას, ჩვენს სინამდვილეში სიახლე იყო. ამ ტიპის ლექსიკონები სათავეს იღებენ რენესანსის პერიოდში, ჯერ იტალიაში, შემდეგ იტალიელ მისიონერთა წყალობით ვრცელდებოდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (უთურგაიძე 1999, 82).

საგულისხმოა, რომ ევროპული ლექსიკოგრაფიული ტრადიციის შემოტანა საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ქართველმა ლექსიკოგრაფებმა დაუკავშირეს კათოლიკე მისიონერების საქმიანობას. რაფიელ ერისთავის თანახმად, ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში პირველი დარგობრივი ლექსიკონიც მისიონერმა ფილიპემ შეადგინა („ლექსიკონი მცენარეთა და პირუტყვთა“).[6]

4 ნინო მინდაძე ფიქრობს, რომ „მათ ნაწერებში აშკარად იგრძნობა გარკვეული ტენდენციურობა ქართული ტრადიციული მედიცინის არაეფექტურობის ხაზგასმა“. მისი თქმით, რადგან იტალიელი მისიონერების მთავარი ფუნქცია, რომლითაც ისინი პოპულარობას იხვეჭდნენ, მკურნალობა იყო და მკურნალობისა თუ დიაგნოსტიკის საქმეში „კონკურენტისადმი“ (ამ შემთხვევაში ქართველი მკურნალისადმი) ისინი მაინცადამაინც დადებითად არ იყვნენ განწყობილნი (მინდაძე 2018).

5 ვგულისხმობთ არქანჯელო ლამბერტისა და ჯუდიჩე მილანელის ჩანაწერებს ქართული მკურნალობის შესახებ, რომლებშიც მართლაც მკაფიოდ იკითხება ევროპელის სამედიცინო ცოდნის უპირატესობა: „სამეგრელოში არიან ქალები, რომელნიც სიამოვნებით ეტანებიან ავადმყოფთა მოვლას. როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მივა და მაშინვე დაუწყებს მოვლას: საჭმელის წესრიგს დაუნიშნავს ... წამლებად, როგორც დასალევად ისე გარედ დასადებად ხმარობენ ბალახებს ... თავის ტკივილის დროს ავადმყოფს შუბლს შეუხვევენ ნარეკალას (Cordiaca) ფოთლებით. ამის წვენს ასმევენ ყოველნაირი ავადმყოფობის დროს. როცა ავადმყოფს დიდი სიცხე აქვს, მას გაახვევენ ხოლმე ძეწნის ფოთლებში. საფაღარათოს ქალები არ აძლევენ ავადმყოფობის დროს, მაგრამ თუ ვინმემ საფაღარათოს დალევა მოისურვა იმისთვის, რომ ავად არ გავხდეო, იმას აძლევენ ხოლმე ერთ თასს რძიანას (Titimaglio) წვენს, რომელიც პირიდანაც და უკნიდანაც ისე ასაქმებს, რომ სიკვდილამდი მიაყენებს“ (ლამბერტი 1991, 98).

6 როგორც ირკვევა, პატრი ფილიპეს ნაშრომს მომდევნო პერიოდის ქართველი ლექსიკოგრაფებიც ეყრდნობოდნენ. „წარსულს საუკუნეში ყოფილა საქართვე-

თუ გადავხედავთ მისიონერების თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებს, ვნახავთ, რომ მათში ყველაზე უხვადაა შეკრებილი ქართული ბოტანიკური და სამედიცინო ლექსიკა. სალექსიკონო ლემები შედარებითი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ჭრილში ვიკვლიეთ.[7] კვლევამ აჩვენა, რომ კათოლიკეებმა ლექსიკონებში თარგმნეს ძირძველი ხალხური სამედიცინო ინსტრუმენტები და წამლობის აღმნიშვნელი სიტყვები.

> ჩირქის ამოსაღები – Cauterio – დუგუნი Cautella, vigilanza. Vedi Avertenza (047v) (ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი)
>
> სისხლის გამოსაშვები – Coppette – კოტოში Copetta allaccare: კოტოში – მოვკიდეს: Vedi Appiccare (052r); (ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი)
>
> სიცხიანისთვის დასადები მალამო (Emicrania: Empiastro საკიკი: ȯ, საკიკის = ქარი: ფაფა: ȯ, თლე: (058r); Unguento მალამი – Umero – მჯარი: (126r) (ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი)
>
> მაჯუნები, რომლებსაც ქართველები „ტკბილ წამალს“ უწოდებდნენ – Conserva ვარდის-მაჯვმი: ȯ გულყანი: (051r) , Cotogno: ata კომში: ȯ ბია: მაჯუმი: (052v); Manna: per Medicina: ზირხიშტი – შირხიშტი – მანანა – ტკბილი ნაჟური (080r) (ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი)

მე-18 საუკუნის გორულ იტალიურ-ქართულ (Q ფონდი N 500) და მე-19 საუკუნის ემანუელე და იგლესიასის იტალიურ-ქართულ ლექსიკონებში[8] იტალიურად თარგმნილია როგორც ქართული დაავდებები, ისე ამა თუ იმ სნეულებათა შესატყვისი სიმპტომებიც:

ლოში ერთი ფრანგების პატრი ფილპე, რომელსაც შეუდგენია ქართულ-იტალიანური მცენარეთა ლექსიკონი. იქიდგან დავით ჩუბინოვსაც მიუღია თავის ლექსიკონში 572 მცენარეთა სახელწოდება, მაგრამ თარგმანი ყველას არ უძს“ (ერისთავი [ერისთოვი] 1884, VII). საქართველოში მისიონერთა მიერ ინიცირებული ლექსიკოგრაფიული საქმიანობის შესახებ იხ. უთურგაიძე 1999, 82. აღორძინების ხანის ქართულ კულტურაზე ევროპული კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციის კვალის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2012, 109-114; 150-151.

7 ტერმინების დასადგენად გამოვიყენეთ შემდეგი ლექსიკონები: ალექსანდრე მაყაშვილი *ბოტანიკური ლექსიკონი* (თბილისი: მეცნიერება 1991); სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული* ტ. I-II (თბილისი: მერანი, 1991/3); დავით ჩუბინაშვილი *ქართულ-რუსული ლექსიკონი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო 1984); რაფ. დავ. ერისთავი [ერისთოვი], *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი,* 1884).

8 ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონი რომის კაპუცილენლთა გენერალურ არქივშია დაცული. 2011 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში ლექსიკონის ფოტოპირები საქართველოში ჩამოიტანეს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან“ – ფარგლებში მკვლევართა ჯგუფმა 2023 წელს გამოსცა ემანუელე და იგლესიასის ლექსიკონის ქართულ-იტალიური ნაწილი. იხ. დობორჯგინიძე და სხვ. 2023.

Vomito პირის. წანაღველებია (126v), Fremito – კბილების კრაჭუნი (063v), Ovvero = სეიირათ = გავალ = o მუცელში გავალ ყაბზი ვარ. Non cacare (045r), C astipato – შეყრული: ყაბზი (048r), Sconciarsi, o abortire მუცლის {წახდენა.} წავიხდენ: მუცელი წავიხდინე: წამიხდენია: (107v), Sporcizia del Corpo confata dal Sudore: ჩარქი:[9] ჩარქიანი: etc. V. Contaminare. (113r), Tossimento = tosse ხველა: ხველება: (120r), Catarro: oto – ნუზლა: ნუზლიანი: 0 სურდო: სურდოიანი (041v), Etirizia [sic] Itterizia – სიყვითლე: ò, ნაღველა: (058r), Amalato abituale – ჭირიანი (025r), Ernia ფუში (071v), Goccia დამლა (071v), Dropisia წყალმახი (071v), Tisico: ezza სილი: სილის ჭირი: (119 v), Varolo: fersa: Rosalla ყვავილი: წითელა. etc. Ucidere: V. Amazzare (123r), Lebbra კეთროვანობა o, ბოროტი (071v), Letargo წილი – სიკუდილისა (071v), Colica კოლინჯი (071v), Maldimadre საშვილო ჭირი (071v), Malcuduco ბნედა (071v), Maldipietra შრიდი (071v), Dipunta პრჭალი: ბრჭვალი (071v), Micrania. შაკიკი (071v), Podgra. ნიკრიზი. ქარი (071v), Morroidi სოკო (071v), Purulisia თრთოლა (071v), Infredam. სურდო (071v), Renella. შრიმი (071v). Dolor di ventre, originato da cosa fredda: თიაქარი V. Flato (057r), Flusso di ventre: მუცლის = გახსნა: Flusso di sangue disperato: ჯდომი: (061v), Petecchie: პარტახტი (092r), Rosipilo. წითელი ქარი (103v), Mietimento: uto: re ტ{ი}ყირპი: ტყირპი: ბარცმანუხი:[10] (082r), Contaggio გარდამდების – ჭირი: v. Attaccare: v. Male Epidemico. (051v), Scolazione male. სუხანაკი 11 (107v), Gonfiagione: ato: სიმსივნე: გასივებული: Gotta V. Podagra: Gotagomma: ფიური[12] (064r)

უხვადაა წარმოდგენილი ქართული ფლორის ამსახველი ლექსიკაც.[13] როგორც იტალიური, ისე ქართული ნომენკლატურის მიხედ-

9 [*sic*] ჩირქი – მწიკვლი.

10 [*sic*] ფარსმანდუკი.

11 [*sic*] სუსანატი – გონორეა.

12 [*sic*] ფუში – პოდაგრა.

13 ევროპელმა მეცნიერებმა (კურტ იოაჰიმ შპრენგელი და რობერტ კუპცისი) ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით გამოავლინეს და იკვლიეს მედეას ბაღის სამკურნალო მცენარეები. შპრენგელი ე.წ. „ორფიკული არგონავტიკის“ საფუძველზე ასახელებს 36 მცენარეს ლათინური თარგმანით, რომელიც „მედეას ბაღში“ ხარობდა. ხოლო რობერტ კუპცისი ამ მონაცემებს კიდევ ხუთ მცენარეს ამატებს. მიხეილ შენგელიამ შეისწავლა ევროპელ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ მცენარეთა ენდემები. აღმოჩნდა, რომ „მედეას ბაღის“ მცენარეთა უდიდესი ნაწილი კოლხურ-იბერიული წარმოშობისაა და უძველესი დროიდან იზრდებოდა კოლხეთში. მაგალითად, დაფნა, შინდი, ჭადარი, შროშანა, აჭრაჭუჭი, კლდის ქოჩორა, ბესენია, ცოცხობა, სალბი, წყლის პიტნა (ტენცო), სურო, წიწმატი, იორდასალამი, ზაფრანა, ურთხელი, ეკალღიჭი, ყანის ირაგა, გვირილა, ყაყაჩურა, მალვა-მალოქი, საკპინაჭი (ქალბანა), ძირთეთრა, კატაბალახა, ჭარელა, ძაღლყურძენა, უცუნა, მანდრაგორა, დევსურა და ა. შ. (შენგელია 1979, 128-150).

ვით, ბევრი ეთნობოტანიკური ტერმინი დავაზუსტეთ.[14] აღმოჩნდა, რომ ლექსიკონებში თარგმნილია ძირძველი ქართული მცენარეები, მათ შორის ბოტანიკურ ტერმინთა კუთხური (დიალექტური) სინონიმები და უძველესი ქართული ფიტონიმები (მაყაშვილი 1996).

Elera muriatica ფათალო (7r) – ფათალო არის მცენარე სუროს ქართლ-კახური სინონიმი (მაყაშვილი 65)

Dragante ქითირა (10v) – ქათირა არის მცენარე გლერძის ქიზიყური სინონიმი (მაყაშვილი 21)

datura ხოკი ბალახი (6r) – ხოკის ბალახი არის მცენარე ლემას იმერული სინონიმი (მაყაშვილი 43)

Consolida magiore შალარ დიდი (5r) – შალარი ლაშქარას ფშავ-ხევსურული სინონიმი (მაყაშვილი 43)

Alcecengi დუდღუბელა (1v) – მცენარე ონტკოფას კახური და ფშაური სინონიმი (მაყაშვილი 55)

Elio teopo მზისა ჭრეტა (7r) – არის მზესუმზირას ქართლური (მზეჭვრიტა) სინონიმი მაყაშვილი 49

Genciana დიდი ასისთავა (10r) – ასისთავა არის ნაღველას ჯავახური, მესხური და აჭარული სინონიმი (მაყაშვილი 54)

Timelea დევსურა (25r) – დევსურა არის კავკასიური ბელადონას ქართლური სინონიმი (მაყაშვილი 23)

Matricaria მყრალი ბალახი (14r) – მყრალა-ბალახი არის მცენარე მამულას გურული სინონიმი (მაყაშვილი 45)

ქართულ მცენარეთა ნომენკლატურაში გვხვდება ასევე ტერმინები, რომლებიც არც ძველ და არც ამჟამინდელ ქართულ ლექსიკოგრაფიულ მასალებში არ მოიძებნა. ასეთი სიტყვები კარაბადინებიდან[15] დავადასტურეთ და განვმარტეთ:

14 მისიონერთა სამედიცინო საქმიანობის ჭრილში ქართულ სამკურნალო და ეთნობოტანიკური ტერმინები მხოლოდ ერთი ლექსიკონის (S ფონდი N4742) საფუძველზე შესწავლილი მაქვს ჩემს დისერტაციაში, იხ. ჭკუასელი 2021; იხ. ასევე ჩემი პუბლიკაცია Chkuaseli 2022.

15 გამოვიყენეთ შემდეგი კარაბადინები: „წიგნი სააქიმოჲ“ მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე, *რედ. ლადო კოტეტიშვილი* (ტფილისი: სახელგამის სამეცნ. სექტორის გამოშვება, 1936); ქანანელი, *უსწორო კარაბადინი* (თბილისი: საქმედგამი 1940); დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985); რამაზ სურმანიძე, *მცირე კარაბადინი II ნაწილი* (ბათუმი: აჭარა, 1991); ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, *სამკურნალო წიგნი კარაბადინი* ტ. I, II (თბილისი: მეცნიერება, 1986, 1988).

Castoreo თაყვის ყვერი (3v) – თახუის პარკუჭები (უსწორო კარაბადინი 491); თაპუის ყუერი (ფანასკერტელი-ციციშვილი, ტ. II, 943)

Amaruco მარჯანგეში (1v) – მარზანგოში/მარზანგუში იგივე ქონდარი ანუ თავშავა (უსწორო კარაბადინი 353)

Balaustrai გულნარი (2v) – მცენარე გულნარი – ბროწეულის ყვავილი (უსწორო კარაბადინი 484); (იადიგარ დაუდი 699)

Pastinaca siriaca შეკაკული (20r) – შიყაყული/შაყაყული – გარეული სტაფილო (უსწორო კარაბადინი 528); (წიგნი სააქიმოი 364); (ფანასკერტელი-ციციშვილი,ტ. II, 884)

Epitimo ავთიმონი (7r) – აფთიმონი – აბრეშუმა ბალახი (იადიგარ დაუდი 694); (უსწორო კარაბადინი 476); (წიგნი სააქიმოი 302)

fior di tirin tori ფოია (9v) – ქარქვეტას ყვავილი (ფანასკერტელი-ციციშვილი,ტ. II, 973)

ლექსიკონების მისიონერი ავტორები ქართულ მცენარეთა ისეთ ფიტონიმებსაც იცნობენ და თარგმნიან, რომლებიც უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა კოლხურ მკურნალობაში. ეს სახელწოდებები გამოხატავს მცენარის წამყვან სამკურნალო თვისებებს.

Coniza – კრწყილის წამალი (4v) – წითელი გვირილა (მაყაშვილი 91)

Cancue falio – ხუთითა წამალი წითელი (4v) – მარწყვა-ბალახი (მაყაშვილი 47)

Gataria – კატის წამალი (10 v) – სამკურ. მცენ. კატაპიტნა (ჩუბინაშვილი 597)

Orobanhe – სანთელა წამალა (18 r)

Stagilagria – ტილის ბალახი (ჩუბინაშვილი 1220)

Cocoto di levante – თევზის წამალი (5r) – მცენარის თესლი შეიცავს შხამიან ალკალოიდებს, რომელიც კლავს ფრინველებს და თევზებს (ჩუბინაშვილი 556; ერისთავი [ერისთოვი] 20)

ქართული ხალხური მკურნალობა ზეპირი ტრადიცია უფრო იყო, ვიდრე წერილობითი, მაგრამ წერილობით ამ ტრადიციის შესახებ ცოდნა აღწერილია კარაბადინებში. კარაბადინებში ბუნებრივი საშუალებებით უფრო წამლების მომზადებაა გადმოცემული და აქ თითქმის არ ვხვდებით განმარტებებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპული

ტრადიციის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა საქართველოში კათოლიკე მისიონერებმა შემოიტანეს. შესაბამისად, უძველესი ხალხური წამლობაც პირველად სწორედ მისიონერებმა დაუკავშირეს სალექსიკონო განმარტების მოდელს. კოლხური მედიცინა, უფრო ზუსტად ამ მედიცინის სამედიცინო და ბოტანიკური ტერმინები ევროპულ (იტალიურ) ენაზე თარგმნეს და კარაბადინებიდან ლექსიკოგრაფიულ ტრადიციაში გადაიტანეს. როცა გლობალური ისტორიის თეორეტიკოსები ცოდნის ცირკულაციისას მისი ფორმის ან შინაარსის ცვლილებაზე საუბრობენ, სწორედ ამგვარ შემთხვევებს განიხილავენ.[16] კათოლიკე მისიონერებმა ფორმა შეუცვალეს ერთ-ერთ ყველაზე ძველ სამკურნალო ტრადიციას და ამ ცოდნის სალექსიკონო მოდელში აღწერით, მის ახლებურად გამოყენებას მისცეს ბიძგი. ძველი ტრადიციისა თუ ცოდნის ახლებურად გამოყენება და ინტერპრეტაცია კი კვლევებში ცოდნის მძლავრ ცირკულაციურ პროცესად განიხილება.[17]

2. რუსული მმართველობის მიერ უძველესი კოლხური მედიცინის აკრძალვა

მეფის რუსეთმა საქართველოში კოლონიური პოლიტიკის ფარული მიზნების განხორციელება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაიწყო. პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის ქართული მასალებიდან ირკვევა, რომ 1782 წლის 10 იანვარს კონსტანტინეპოლიდან ფორტუნატო დე ტრენტომ პროპაგანდა ფიდეში გაგზავნა წერილი, რომელშიც ერეკლე მეფეს ეჩმიაძინის ერეტიკოსი პატრიარქი სთავაზობდა კარგ ექიმებსა და წამლებს იმ შემთხვევაში, თუკი ის საქართველოდან გააძევებდა კაპუცინელ პადრეებს. არქივში ანდრეა დე პალერმოს წერილიც ინახება. წერილში მისიონერი იტყობინება, რომ „სომხეთის გარდა რუსეთიდანაც შემოსულან სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები და ექიმები ქართლ-კახეთსა და იმერეთის სამეფოში. რუსეთმა უკვე გამოგზავნა ლუთერანები და რუ-

16 კვლევების მიხედვით, ცოდნის ერთი სოციალური სფეროდან სხვა სოციალურ გარემოში გადატანა-გავრცელება ხელს უწყობს ცოდნის ფორმის ან შინაარსის ცვლილებას. ცირკულაცია ღირებულებით დატვირთული ტერმინია, რომელიც დამატებით ასპექტსაც გულისხმობს და არა უკვე არსებული იდეებისა და ცნებების მარტივ რეპროდუქციას (Östling et al. 2018, 21).

17 ადრეულ მოდერნულ პერიოდში ევროპაში ცოდნა ვრცელდებოდა და ცირკულირებდა თარგმანების გზით, რომელიც გამოწვეული იყო კლასიკური ტექსტების მიმართ ინტერესით. ეს ცოდნა არ ითვლებოდა, ცხადია, ახალ ცოდნად, ის ცნობილი იყო როგორც ძველი ოღონდ გადმოცემული ახალი ფორმით. იდეა, რომ ცოდნა ახალი არ იყო და მხოლოდ ძველი ცოდნის გაზიარება და ინტერპრეტაცია იყო შესაძლებელი, ქმნიდა ცირკულაციას, როგორც კონცეფციას, რაც ადრეულ მოდერნულობაში ცოდნის ხელახალ გამოყენებას გულისხმობდა. (იქვე, 163-165).

სები წმინდა ანდრიასა და წმინდა ალექსანდრეს ნიშნით იმერეთის მეფისა და საქართველოს მეფის უფროსი შვილისთვის."[18]

დაწყებული საქმე იმპერიალისტურმა რუსეთმა სისრულეში საქართველოს ანექსიის შემდეგ მოიყვანა. მანამდე კი, 1735 წელს, რუსეთში ძალაში შევიდა კანონი, რომლითაც მართლმადიდებლების მიერ კათოლიკური აღმსარებლობის მიღება იკრძალებოდა. მოგვიანებით კანონი ჩვენთანაც ამოქმედდა.[19] თუკი რუსეთი ჯერ კიდევ საქართველოს ანექსიამდე სომხეთის პატრიარქთან ერთად გეგმავდა კაპუცინელი ექიმების საქართველოდან გაძევებისა და ჩანაცვლების საკითხს, არ უნდა იყოს რთული მისახვედრი, რამდენად იოლად მოაგვარებდა ამ „პრობლემას" 1801 წლიდან.

1801 წლიდან კი, როგორც ქართული ისტორიოგრაფიული მასალებიდან ვიგებთ, რუსეთმა საქართველოში შემოიტანა რუსულენოვანი სამედიცინო სისტემა, რომლის სამართავად ე.წ. საექიმო სამმართველო შექმნა. ამ გადაწყვეტილებას მაშინვე მოაყოლა მეორე – ექიმობა აუკრძალეს „სწავლულ" ქართველ ექიმებს, მათ შორის იტალიაში განათლებამიღებულ ანდრია და იოანე ყარაშვილებს და თათული აქიმოვს (შენგელია 1968, 32). ცხადია, ამგვარ პირობებში არც კათოლიკური აღმსარებლობის მისიონერებს მიეცემოდათ საექიმო საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა.[20] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი საქართველოდან გაძევება გაცილებით ადრე დაიგეგმა.

დავუბრუნდეთ რუსულ საექიმო სამმართველოს. ქართული მედიცინის საისტორიო წყაროების მიხედვით, საექიმო სამმართველო ბიუროკრატიული ორგანო გახლდათ და ნაკლებად ზრუნავდა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ამ ორგანიზაციის მიერ მართული ექიმები „ძირითადად საკანცელარიო საქმეების წარმოებას უნდებოდნენ. მათ მოვალეობაში შედიოდა სასამართლო სამედიცინო დასკვნების გაცემა, საკანცელარიო მიმოწერის წარმოება, მაზრის ტოპოგრაფიული აღწერა და სხვ." (სააკაშვილი და სხვ. 1960, 52). ამას ემატებოდა ისიც, რომ მეფის მთავრობა ფინანსებს უფრთხილდებოდა და საქართველოში არ აგზავნიდა საკმარისი რაოდენობის რუს ექიმებს, ფერშლებს, ბებიაქალებს. „1817 წელს მაშინდელი საექიმო სამმართველოს ინსპექტორს ივანე პრიბილს თხოვნით მიუმართავს გუბერნატორისადმი საქართველოში ექიმთა უკმარისობის და საშუალო სამედიცინო

18 წერილები დამოწმებულია ნინო დობორჯგინიძის პუბლიკაციიდან: „ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია" (დობორჯგინიძე და სხვ. 2019, 166-219).

19 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ბენდიანიშვილი და სხვ. 2008, 52.

20 მედიცინის ისტორიის მასალებიდან ვიგებთ, რომ ქართველი ექიმები ხშირად იღებდნენ კათოლიკობას, რადგან „კათოლიკეთა საექიმო მოღვაწეობა მოდაში იყო და კათოლიკე ქართველი ექიმი მეტი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში" (შენგელია 1980, 264).

პერსონალის – ბებიაქალებისა და ექიმთა მოწაფეების, ანუ ფერშლების საქართველოში გამოგზავნის შესახებ. მეფის მთავრობა კი ამ საქმისათვის სახსრებს არ იმეტებდა, თავს არ იწუხებდა და არ აგზავნიდა საქართველოში საჭირო რაოდენობით სამედიცინო პერსონალს“ (იქვე, 49).

ამას გარდა, დიდი ხნის განმავლობაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ქართველების უნდობლობა ისედაც ცოტა რუსულენოვანი ექიმების მიმართ (გურული 2016, 152). მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის საქართელოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რუსული ენა არ იცოდა, აქედან გამომდინარე, რუს ექიმებსაც ეჭვის თვალით უყურებდნენ.[21] რუსული ხელისუფლება კი პრობლემების დასაძლევად ახალ-ახალ სამედიცინო-ბიუროკრატიულ დაწესებულებებს ხსნიდა. 1840 წელს საექიმო სამმართველო ჩაანაცვლეს საგუბერნიო სამმართველოსთან არსებული „ქართლ-იმერეთის საექიმო სამმართველოთი.“ ექვსი წლის შემდეგ კი, 1846 წელს, საგუბერნიო სამმართველოსთან არსებული თბილისის საექიმო მმართველობა გახსნეს. როგორც ირკვევა, არცერთ ამ ინსტიტუციას არ უზრუნია ქართველი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და არ გაუფართოებია სამედიცინო მომსახურების სფერო (სააკაშვილი და სხვ. 1960, 50).

ქართული მედიცინის ისტორიული მასალებიდან და რუსულენოვანი საარქივო დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ რუსულმა მმართველობამ მხოლოდ „ნასწავლი“ ექიმები არ ჩამოაცილა სამკურნალო საქმიანობას. ის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ტრადიციას, ხალხურ მედიცინას და მის მკურნალებსაც დაუპირისპირდა. საარქივო მასალების მიხედვით, ხალხური მკურნალები „შარლატანებად და ემპირიკებად“ გამოაცხადეს და პოლიციური თვალთვალი დაუწესეს.[22] საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია 32 დოკუმენტი, ყველა მათგანი წარმოადგენს პოლიცმეისტერების რაპორტს ხალხური მკურნალების

21 ქართული მედიცინის ისტორიის მასალებში აღნიშნულია, რომ ქართველი მოსახლეობა უნდობლად უყურებდა რუს ექიმებს. „ამას ადატურებს, რუსი ექიმებიც (პანტიუხოვი და სხვ.). ადგილობრივი, როგორც ნასწავლი, ისე ხალხური ექიმები იმდენად პოპულარული ყოფილან, რომ თვით რუსი ოფიცრობაც ხშირად მიმართავდა მათ სამკურნალოდ.“ მაგალითად, ლიტვინოვს კახელი თავადები უგზავნიან თხოვნის წერილს, რომ იოანე ყარაშვილი დანიშნონ თელავში ექიმად. ამ თხოვნაში აღწერილია ქართველი ექიმის მოთხოვნის ძირითადი მიზეზიც: „ავადმყოფობისასა უცოდინულობისა ჩვენისა რუსულსა ენისა გამო“ (შენგელია 1968, 33-35).

22 1837 წელს მთავრობის მიერ სპეციალური ზომები იქნა მიღებული „მისნების,“ შარლატანებისა და საერთოდ „ემპირიკების“ წინააღმდეგ. სამაზრო კომენდანტებთან და საპოლიციო უწყებებში დაგზავნილ მიმართვებში აღნიშნავენ, რომ „შარლატებისა“ და ემპირიკების“ რიცხვი თანდათან მატულობს არა მარტო სოფლებში, არამედ თვით ქალაქ თბილისშიც და მოუწოდებენ, აღრიცხონ ყველა ასეთი და სასტიკად აუკრძალონ „მოღვაწეობა“ (შენგელია, 1968, 179).

ძებნის, დევნისა და მათი საქმიანობის შეჩერების შესახებ (ფონდი 16, საქმე 5404, დოკუმენტი 13, 21, 26, 27).

> საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს „სტარცკი სოვეტნიკს და კავალერს“ თავად ნიკოლოზის ძე ფალავანდოვს
>
> დუშეთის საერობო აღმასრულებელი
>
> თქვენი ბრწყინვალების მოწერილობის საფუძველზე (26 ივნისი) პატივი მაქვს მოგახსენოთ ჩემდამი მონდობილი დუშეთის მაზრაში შარლატანების მოსაძებნად, რომლებიც ეწევიან მკურნალობას ჩემთვის უცნობი მეთოდით, წერილები და უწყებები გადავუგზავნე თავადებსა და აზნაურებს. მათი მიღების შემდეგ მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას. (ფოლ. 20)

1837 წლის 2 ივნისი

> თელავის ოლქის მმართველის პატაკი სამოქალაქო გუბერნატორს
>
> ჩემი ოლქის ყველა ნაცვალს, „ქევხს“ ვაცნობეთ, ისინი მკაცრად დააკვირდებიან შარლატანებს, რომლებიც ორივე სქესის ადამიანებს მკურნალობენ შხამიანი ნივთიერებებით. (ფოლ. 26)

ის, რომ რუსული მმართველობა არასოდეს ინტერესდებოდა ქართული ეთნოკულტურით და პირიქით, მისი მიზანი უძველესი ტრადიციების გაქრობა იყო, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზისაა დასაბუთებული.[23] თუმცა, ქართული მედიცინის ისტორიის ზოგიერთ ძირითად სახელმძღვანელოში ხალხური მედიცინის გაუქმების საკითხი „გამართლებულია“ იმ არგუმენტით, რომ მკურნალობა ყველა სახალხო მკურნალს კი არ აეკრძალა, არამედ ე.წ. „ექიმბაშს.“[24] ჩვენ არ ვიცით, რუსული საექიმო სამმართველო როგორ და რა ბერკეტებით მიჯნავდა ერთმანეთისგან ხალხურ მკურნალსა და ექიმბაშს.[25]

23 „რუსეთი სამი მიმართულებით ახორციელებდა საქართველოს დაპყრობას: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო. კულტურული-საგანმანათლებლო მიმართულება კი ძველთაძველი ქართული კულტურის ტრადიციების მოსპობითა და განათლების ახალი კერების რუსიფიკაციით იგეგმებოდა“ (ბენდიანიშვილი და სხვ. 2016, 301.

24 „XIX საუკუნის 30-იან წლებში განსაკუთრებით გავრცელდა „ემპირიკებისა“ და „შარლატანების“ რიცხვი, რომლებიც სპეკულაციურად იყენებდნენ ხალხური მედიცინის, როგორც მაგიურ-რელიგიურ, ისე რაციონალურ მეთოდებს, რის გამოც 1837 წ. ხელისუფლებამ აკრძალა მათი „მოღვაწეობა“ (შენგელია 1968, 244).

25 შენგელია საარქივო მასალების საფუძველზე აღნიშნავს, რომ საექიმო მმართველობასა და კავკასიის ადმინისტრაციას შორის გარკვეული პოლემიკა იყო ხალხურ მკურნალებთან დაკავშირებით. საექიმო მმართველობას სურდა, ქართველ ხალხურ მკურნალებს ემუშავათ სწავლული ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. მიუხედავად ამ მოთხოვნისა, კავკასიის ადმინისტრაცია მაინც არ კრძალავდა მათ საქმიანობას, უფრო სწორად, იძულებული იყო, არ მიეღო მათ წინააღმდეგ ზომები, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი, ექიმების სიმცირის გამო,

საქართველოს საექიმო სამმართველოს წერილში, რომელიც გუბერნატორ ფალავანდოვის სახელზეა გაგზავნილი, ვკითხულობთ:

> ავადმყოფთა დასახმარებლად ქალაქის ექიმისა და სამმართველოს წევრების მოწვევამ ნათლად დაგვანახა, რომ პროვინციებსა და საქართველოს მაზრებში შეუძლებელია მრავალრიცხოვანი შარლატანებისა და ემპირიკებისგან მომდინარე ბოროტების აღკვეთა. თვით თბილისშიც გაიზარდა მათი რიცხვი. რამდენიმე დღის წინ საექიმო სამმართველოს ინსპექტორი მიიწვიეს ერთი ქალბატონის დასახმარებლად, რომელიც იტანჯებოდა შარლატანის მკურნალობისგან, რომელმაც მას დიდი დოზით შხამიანი ნივთიერება მისცა.
> 1837 წლის 17 მაისი (ფოლ. 4)

ქართული მედიცინის ისტორიკოს მიხეილ შენგელიას მიაჩნდა, რომ რუსულმა ხელისუფლებამ ხალხური მკურნალები და მკურნალობა კი არ აკრძალა, არამედ ოფიციალური სტატუსის გარეშე დატოვა.

> ხელისუფლება ხალხურ მკურნალებს არ აძლევდა მკურნალობის ოფიციალურ უფლებას იმიტომ, რომ ამით არ უნდოდა შეექმნა რაღაც განსაკუთრებული „მკურნალთა კლასი," და ვერ კრძალავდა იმიტომ, რომ ისინი საექიმო კადრების სრული უკმარისობის გამო ჯერ კიდევ საჭირონი იყვნენ ... ამგვარად ხალხური მედიცინა იმ დროის საქართველოში ასე თუ ისე ნახევრად ოფიციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. (იქვე, 245)

თუ ხალხური მკურნალები მართლაც იყვნენ „ნახევრად ოფიციალურ" მდგომარეობაში, მაშინ, გაუგებარია, რატომ უგზავნიან გუბერნატორს ანგარიშებს პოლიცმეისტერები მკურნალების დევნის შესახებ? თანაც ამ ანგარიშებში ხალხურ მკურნალებს არა მხოლოდ საქმიანობას უზღუდავდნენ, არამედ ბრალად ედებოდათ „შხამიანი ნივთიერებების" გამოყენებით ადამიანების „მოწამვლა" (საქმე 16, 5404, 25-26). რაც იმას ნიშნავდა, რომ ხალხური მედიცინის მცოდნე ექიმები ბოროტმოქმედებად ცხადდებოდნენ და კანონით უნდა დასჯილიყვნენ.

როგორც ჩანს, არავითარი ცალკე ჯგუფი ე.წ. შარლატანი „ექიმბაშებისა" არ არსებობდა.[26] იმპერიალისტურმა მმართველობამ ამ

სამედიცინო მომსახურების გარეშე რჩებოდა და ამ ხალხური მკურნალების საქმიანობით კმაყოფილდებოდა (იქვე, 185-186).

26 შენგელია ცდილობს, დადებითი „გამოსავალი" მოუძებნოს ხალხური მედიცინის გაუქმების საქმეს. ამიტომაც ამ პროცესს ახალი კაპიტალისტური წყობილების დამყარებით ამართლებს, ხოლო მის ნაცვლად მეცნიერული მედიცინის ჩამოყალიბებას დროში გაწელილად წარმოაჩენს. ამით ის ამართლებს მე-19 საუკუნის საქართველოში საავადმყოფოებისა და ექიმების მრავალწლიან დეფიციტს (შენ-

მიმართულებითაც ძველის ახლით ჩანაცვლების კარგად ნაცნობი გეგმა აამუშავა. ხალხური მკურნალობის ტრადიცია უბრალოდ კი არ გააუქმა, ჯერ მისი ლეგიტიმურობა დააყენა ეჭვქვეშ და მხოლოდ მძიმე ბრალდებების (ბოროტმოქმედება, თაღლითობა და ა. შ.) ფონზე აკრძალა.

ქართული საბჭოთა მედიცინის ისტორიაში კიდევ ერთ საინტერესო შეფასებას ვპოულობთ – საქართველო რუსეთის წყალობით, „რუსულ-ევროპულ მეცნიერულ" მედიცინას ეზიარა. თუ გადავხედავთ, ისტორიოგრაფიულ წყაროებს, ვნახავთ, რომ რუსულ მედიცინას საქართველოში არავითარი მეცნიერული მიღწევები არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, პირველი 80 წლის განმავლობაში. როგორც გავარკვიეთ, გუბერნიებად დაყოფილ საქართველოში კვლავაც რჩებოდა მთავარ გამოწვევად ექიმების, საავადმყოფოებისა და მზრუნველობის სახლების არარსებობა.[27] ერთეულ შემთხვევებში მეფის მთავრობა საგუბერნიო ქალაქებში – თბილისსა და ქუთაისში სამოქალაქო ტიპის სტაციონარულ მომსახურებას სთავაზობდა ხალხს, თუმცა, ამ მომსახურებით სარგებლობა ვიწრო ელიტურ წრეს შეეძლო. წყაროებში ვკითხულობთ იმასაც, რომ რუსულმა მმართველობამ პირველი მუშათა კლასისთვის განკუთვნილი საავადმყოფოს გახსნა მხოლოდ 1891 წელს გადაწყვიტა, თუმცა, ეს საავადმყოფო არ გახსნილა.[28] ამ საკითხებს ეხება „დროებაში" გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ვრცელი წერილიც. ილია დაწვრილებით აღწერდა უექიმოდ დარჩენილი საშუალო ფენის მდგომარეობას და ქართულ საზოგადოებას სთავაზობდა „დასავლეთ ევროპის ქალაქებში" დამკვიდრებული სამედიცინო მომსახურების შემოღებას.

გელია 1968, 4-6).

27 მიხეილ შენგელია ასევე აკრიტიკებს იმ ქართველ მკვლევრებს, რომელთა სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ საქართველოში მე-19 საუკუნის განმავლობაში არასაკმარისი რაოდენობის საავადმყოფო არსებობდა. „ავტორების მიხედვით, XIX საუკუნის დამლევამდე საქართველოში თურმე ერთი სტაციონარული დაწესებულება – 12-საწოლიანი საავადმყოფო არსებობდა, რომელიც მხოლოდ 58 წლის შემდეგ გაფართოვდა 200 საწოლით. სინამდვილეში სულ სხვა სურათია. აღმოსავლეთ საქართველოში 1848 წლისათვის სტაციონარული მომსახურება, თბილისის საქალაქო საავადმყოფოს გარდა დაწესებულია კეთილშობილ ქალთა კავკასიის ინსტიტუტში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სასულიერო სემინარიაში, თბილისის ციხის საავადმყოფოში, სიღნაღისა და თელავის ე.წ. „ლაზარეთულ განყოფილებაში" (იქვე, 7-8).

28 „1891 წ. ქალაქის თვითმმართველობამ გადაწყვიტა გაეხსნა საავადმყოფო მუშებისათვის, მაგრამ მეფის მოხელეები და ბურჟუაზიული თვითმმართველობა მუშათა კლასის, მშრომელთა მასების ჯანმრთელობის დაცვაზე არ ზრუნავდნენ და საავადმყოფოს გახსნა არ განხორციელდა" (სააკაშვილი და სხვ. 1960, 55).

> თითქმის ყოველ დღეს ქუჩაში შეხვდებით ხოლმე რამდენიმე მკვდარსა ... რა არის ამის მიზეზი, რით აიღსნება ეს უცხო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში? ... ეს ძალიან ადვილად ასახსნელია, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით მცხოვრებთ სიღარიბეს და მეორე ექიმთა სიძვირეს, რომელნიც, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ავად-მყოფის თითო ნახვას ორ-სამს მანეთად აფასებენ ... ბევრი კაცი უბრალოდ და ექიმის საშუალობით ადვილად მოსარჩენი ავადმყოფი კვდება ისე, რომ ექიმი არ უნახავს ... სასარგებლო იქნებოდა შემოვიღოთ ჩვენში ის წესი, რომელიც დიდიხანია არსებობს ზოგიერთ დასავლეთ ევროპის ქალაქებში, მაგალ. მიუნხენში, ციურიხში და სხვ. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზედ, რომ ტფილისის მცხოვრებნი დაყოფილ იქმნენ რამდენიმე ნაწილებად ანუ უჩასტკებად და თითო ნაწილმა დაიქირავოს საერთო ხარჯით საკუთარი ექიმი. ამ აზრის განხორციელება და სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს ამრიგად: დანარჩენნი 80 000 მცხოვრები შეადგენენ 80 უჩას. თუ თითოში შევრაცხთ 1000 მცხოვრებთს, მაშა სადამე ჩვენ დაგვჭირდება მხოლოდ 80 ექიმი. თოთოეულ მცხოვრებმა რომ წელიწადში გარდაწყვეტილი ხარჯი იხადოს ამ საგნისათვის, საშუალო რიცხვი ვთქვათ ორ-ორი მან., მაშინ ექიმს შეუდგება წლიური ჯამაგირი 2000 მანეთი. ეს ჯამაგირი იმას კარგად აცხოვრებს ... ეს უკანასკნელლნი უფრო გულ-მხურვალედ და სვინდისიერად მოჰკიდებენ ხელს თავის საქმეეებს, რადგანაც იგინი იქმნებიან დამოკიდებულნი დამქირავებელი საზოგადოებისაგან. (ილია ჭავჭავაძე, „დროება“ 1883, N 19, 1-2)

1880 წლამდე არც ქართულ სოფლებს ჰქონდათ სამედიცინო სტაციონარები და ექიმთა მომსახურებასაც სრულიად იყო მოკლებული. „დროებასა“ და „ივერიაში“ აქტიურად ქვეყნდებოდა საქართველოს სოფლებიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ჩანს, რომ ზოგიერთ მაზრას ერთი ექიმიც არ ჰყავდა.

ოზურგეთის მაზრის სოფელ ლანჩხუთიდან იწერებოდნენ:

> ... აქაურებმა გაჭირვების დროს ექიმი უნდა გამოიწერონ ბათუმიდგან ან ქუთაისითგან და ან კიდევ ოზურგეთიდგანაც, რაც დაუჯდებათ არანაკლებ 20-25 მანეთისა. ასეთი ფული ჯერ ძნელი საშოვნელია და რომ იშოვოს და დაიბაროს კიდეც ექიმი, რა ჰქმნას ექიმმა ერთის ნახვით ... ექიმი დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო დაბა ლანჩხუთს, სხვა მახლობელ საოზგადოებასაც, მაგ., ნიგოითს, აცანას, აკეთს, ჩიბათს, ჩოჩხათს და სხვებს, რომელნიც ასეთსავე დღეში არიან, როგორშიაც ლანჩხუთი და თითქმის უარესშიც, რადგან ბევრ ალაგას ფერშლები არ ჰყავთ. (დროება 1883, N19, 3)

სვანეთიდან:

> უექიმობის გამო სვანი უბრალო ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება და ეთხოვება წუთი-სოფელს. თუ სვანეთში რომელიმე მოსამსახურე ავად გახდა, ერთობ ძვირად უჯდება ექიმის აქ უმყოფლობა. ერთი აქ მოსამსახურეთაგანი შარშან ზამთარში წამოიღეს ჯალავრით ექიმთან 150 ვერსის მანძილზე. ადვილი მისახვედრია რა ხარჯიც ექნებოდა ამგვარ და ამ სიშორეს ჯალავრით გასეირნებას. (ივერია 1899, N43, 3)

კახეთიდან:

> ამ ბოლო დროს საშინლად შეგვაწუხა სხვა-დასხვა სენმა მეტადრე ყვავილმა, რომელიც მოდებულია, როგორც თელავში, ეგრეთვე მთელს მაზრაშიც. მაზრის ექიმი დადის აქა-იქ, მაგრამ ერთი და ორი ექიმი ამოდენა ქალაქისა და მაზრის მცხოვრებთათვის ზღვაში დაცემული წვეთია. უბედურობა კიდევ ის არის, რომ მთელს მაზრაში არც ერთი ნასწავლი ბებია არ მოიპოვება, არის საშინლად გავრცელებული დედათა სნეულებანი, რომელიც ცოტა მსხვერპლს არ იწირავს. (ივერია 1890, N276, 2)

ამდენად, თუკი ერთი საუკუნით ადრე კათოლიკე პადრეებმა სამკურნალო წიგნების კარაბადინების მოდერნიზაციას დაუდეს საფუძველი და ლექსიკონებში თარგმნეს და გადაიტანეს უძველესი კოლხური მედიცინა, ერთმორწმუნე მოკავშირე რუსეთმა საქართველოში შემოსვლისთანავე ქართული მედიცინა რუსულით ჩაანაცვლა. ჯერ „ნასწავლი“ ექიმები ჩამოაცილა სამედიცინო საქმიანობას, ცოტა მოგვიანებით, სოციალურად ყველაზე ლეგიტიმური ჯგუფი ხალხური მკურნალებისა „შარლატანებად“ და „ბოროტმოქმედებად“ გამოაცხადა და აკრძალა. ქართული მედიცინის ნაცვლად შემოტანილ ე.წ. „რუსულ-ევროპულ მეცნიერულ“ მედიცინას კი არაფერი ჰქონდა საერთო არც ევროპულობასთან და არც მაინცდამაინც მეცნიერული კვლევებისთვის ეცალა. როგორც ვნახეთ, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში რუსულმა მმართველობამ ვერ მოახერხა ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სამსახურში ჩამდგარიყო.

დამოწმებანი

ბაგრატიონი, დავით. 1985. *იადიგარ დაუდი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ბენდიანიშვილი ალექსანდრე, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე. 2008. *რუსული კოლონიალიზმი საქართველოში.* თბილისი: უნივერსალი.

გურული, ვახტანგ. 2016. *საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)*, ნაწილი I-II. თბილისი.

და იგლესიასი, ემანუელე. XIX საუკუნე. *იტალიურ-ქართული ლექსიკონი.* რომი, კაპუცინელების არქივი Ordo FF. Min. Capuccinorum AC28.

დობორჯგინიძე, ნინო. 2012. *ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დობორჯგინიძე, ნინო, ლევან ცაგარელი, ოლივერ რაისნერი და გიორგი ქავთარაძე. 2019. *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დობორჯგინიძე, ნინო, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი. 2023. *უცნობი ავტორი. „ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკონი.“ Anonymi* "*Grammatica* & *Vocabularium Linguae Georgianae.*" *ემანუელე და იგლესიასი. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი.“ Emmanuele da Iglesias. "Dizionario Georgiano-Italiano."* საქართველოს კათოლიკური მისიების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

„დროება“ 1883, N19.

ერისთავი [ერისთოვი], რაფიელ. 1884. *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან.* тифлисъ: Типографія Канцеляріи Главноначальствующаго гражд. Частію на Кавказе.

„ივერია“ 1890, N276.

„ივერია“ 1899, N43.

იტალიურ-ქართული ლექსიკონი. XVIII საუკუნე. N4742. S ფონდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

იტალიურ-ქართული ლექსიკონი (გორული). XVIII საუკუნე. N500. Q ფონდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

კოტეტიშვილი ლადო, რედ. 1936. *„წიგნი სააქიმოჲ“. მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე.* ტფილისი: სახელგამის სამეცნ. სექტორის გამოშვება.

ლამბერტი, არქანჯელო. 1991. *სამეგრელოს აღწერა,* მთარგმნ. ალექსანდრე ჭყონია, რედ. ნუგზარ ანთელავა. თბილისი: აიეტი.

მაყაშვილი, ალექსანდრე. 1991. *ბოტანიკური ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება.

მაყაშვილი, ზურაბ. 1996. *მცენარეთა სახელდება.* თბილისი: მეცნიერება.

მინდაძე, ნინო. 2018. „ევროპელი მისიონერების ცნობები ქართული

ტრადიციული მედიცინის შესახებ". *საკონფერენციო მოხსენება კათოლიკური მემეკვიდრეობა საქართველოში* II.

ორბელიანი, სულხან-საბა. 1991. *ლექსიკონი ქართული.* ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. 1. თბილისი: მერანი.

ორბელიანი, სულხან-საბა. 1993. *ლექსიკონი ქართული.* ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. 2. თბილისი: მერანი.

ჟღენტი, ვლადიმერ, პეტრე გელბახიანი, ირაკლი ტატიშვილი. 1971. *მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები.* თბილისი: მეცნიერება.

სააკაშვილი მ., ა. გელაშვილი, ლ. ჭეიშვილი, ც. ჩხაიძე. 1960. *საქართველოს მედიცინის ისტორია, ტომი* IV, *წიგნი* 1, XIX საუკუნე. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სურმანიძე, რამაზ. 1991. *მცირე კარაბადინი,* II ნაწილი. ბათუმი: აჭარა.

უთურგაიძე, თედო. 1999. *ქართული ენის შესწავლის ისტორია.* თბილისი: ქართული ენა.

ფანასკერტელი-ციციშვილი, ზაზა. 1986. *სამკურნალო წიგნი კარაბადინი,* ტ. I. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ. თბილისი: მეცნიერება.

- - - - - . 1988. *სამკურნალო წიგნი კარაბადინი, ტ.* II. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ. თბილისი: მეცნიერება.

ქანანელი. 1940. *უსწორო კარაბადინი.* წინასიტყვაობის და გადამუშავების ავტორი ლადო კოტეტიშვილი. თბილისი: საქმედგამი.

შენგელია, მიხეილ. 1968. *გარდამავალი პერიოდის ქართული მედიცინა 1801-1860.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

- - - - - . 1980. *ქართული მედიცინის ისტორია.* თბილისი: განათლება.

- - - - - . 1979. *უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩუბინაშვილი, დავით. 1984. *ქართულ-რუსული ლექსიკონი,* მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჭკუასელი, ანა. 2021. „ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან: კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები." სადოქტორო დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://iliauni.edu.ge/uploads/other/60/60929.pdf.

Chkuaseli, Ana. 2022. "Social and Religious Inculturation of Health Care in the Roman Catholic Mission in Georgia," *International Bulletin of Mission Research* vol. 46 (3): 339-350. https://doi.org/10.1177/23969393211068181.

Conrad, Sebastian. 2017. *What is Global History?* Princeton University Press: Princeton and Oxford.

Frederiks, Martha and Dorottya Nagy. 1921. "Introduction". In *Critical Readings in the History of Christian Mission,* vol. 3, eds. Martha Frederiks and Dorottya Nagy, 1-38. Brill: Leiden, Boston.

Östling, Johan, Erling Sandmo, David Larsson Heidenblad, Anna Nilsson Hammar and Kari H. Nordberg, eds. 2018. *Circulation of Knowledge Explorations in the History of Knowledge.* Lund: Nordic Academic Press.

Walker, Timothy. 2013. "The Medicines Trade in The Portuguese Atlantic World: Acquisition and Dissemination of Healing Knowledge from Brazil (c.1580-1800)", *Social History of Medicine,* vol. 26 (3): 1-29.

საარქივო წყაროები

პოლიცმეისტერის რაპორტი სიღნაღიდან ნიკოლაი ფალავანდოვს (რუს.), საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 16; N 5404, ფოლიო 4-5.

თელავის სამხარეო ნაჩალნიკის რაპორტი (რუს), საქარტველოს ეროვნული არქივი, ფონდი 16, N 5404, ფოლიო 25-26.

დუშეთის პოლიცმეისტერის რაპორტი (რუს), საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 16; N 5404, ფოლიო 27.

Ana Chkuaseli
Ilia State University, Georgia
ana.chkuaseli@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/17/102-120

Medicine in 18th-19th-Century Georgia

The paper discusses Georgian and foreign sources on European Catholic missionaries' medical practices in Georgia, and the pressures they faced under the colonial rule of the Russian Empire. It analyzes various lexicographical material generated by those Catholic missionaries, among them the Botanical Italian-Georgian Dictionary (SN4742), the Italian-Georgian Dictionary ("Goruli"-QN 500) and Emanuele da Iglesias' Italian-Georgian Dictionary (AC28), which bring together Georgian equivalents of medicinal and botanical terms.

It is shown that Catholic missionaries "transferred" the traditional Georgian healing knowledge preserved in *karabadins* (traditional medical handbooks) into the European lexicographical tradition, thereby helping to introduce it to the Western world. The issues are examined through the lens of historical methodology and global history, with particular attention to the circulation of knowledge.

The paper also draws on Russian archival documents from 1837 (Fund 16, Case N 5404), which include official police reports on the surveillance and persecution of traditional healers. The sources show that, in Georgia, the Russian Government initially exerted pressure on educated, formally trained Georgian physicians, and, beginning in 1837, moved on to suppress folk medicine as well.

რეცენზია
BOOK REVIEW

Th. Otkhmezuri, ed., Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, English translation by M. Odisheli, M. Vickers (Jerusalemer Theologishes Forum 42), Münster: Aschendorff Verlag, 2022, 505 pp.

უძველესი დროიდან დღემდე ქართული კულტურა და მწიგნობრობა მსოფლიოს სხვადასხვა კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. ქრისტიანული რელიგიის მიღების კვალდაკვალ, ქართველები ეზიარებოდნენ ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ-კულტურულ პროცესებს, მკვიდრდებოდნენ იქაურ სამონასტრო-საგანმანათლებლო კერებში, ასევე, აფუძნებდნენ საკუთარ მონასტრებს. ნაშრომი – „შუა საუკუნეების ლიტერატურული კულტურა და ხელნაწერი მემკვიდრეობა ქრისტიანულ შუა აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში", რედ. თ. ოთხმეზური, მიუნსტერი, 2022 – გვაცნობს სწორედ შუა საუკუნეების ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობას საქართველოს ფარგლებს გარეთ: პალესტინაში, სინის მთაზე, ათონზე, შავ მთაზე, კონსტანტინოპოლსა და პეტრიწონის მონასტერში.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს, რა გავლენა მოახდინა „უცხო" კულტურულ-რელიგიურმა გარემომ შუა საუკუნეების ქართველთა სულიერ და ინტელექტუალურ განვითარებაზე, როგორ აითვისეს ძველმა ქართველებმა ის იდეები და ფასეულობები, რომლებიც წამყვანი იყო ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებში, რა ხერხებით გადმოიტანეს ისინი ქართულად ისე, რომ ეს იდეები ბუნებრივად იქცა ქართული აზროვნების შემადგენელ ნაწილად; როგორი იყო ძველი ქართველების პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია შუა საუკუნეებში, რა ადგილი ეკავათ ქართველებს შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში, რა შედეგი მოჰყვა ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობას უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში და სხვ.

შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრული პროცესების რეკონსტრუქციისათვის ნაშრომის ავტორებმა უმთავრესად გამოიყენეს პირველადი წყაროები: ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები,

ქართველ მწიგნობართა „ცხოვრებანი", ისტორიული ქრონიკები, ზოგ შემთხვევაში, ეპიგრაფიკული ძეგლები და არქეოლოგიური მასალა.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. თითოეული თავი ეძღვნება ცალკეულ სამონასტრო კერას და მათი სტრუქტურა მეტ-ნაკლებად ერთნაირია. თავს წინ უძღვის შესავალი, რომელშიც განხილულია სამონასტრო კერის (მაგალითად, ივირონის, პეტრიწონის და სხვ.) დაარსებისა თუ ქართველთა უცხოეთის სამონასტრო ცენტრში (მაგალითად, საბაწმინდის ლავრაში, გოლგოთაზე, სვიმეონწმინდაში და სხვ.) დამკვიდრების ისტორია, ასევე, წარმოდგენილია სამონასტრო კერების კვლევის ისტორია მე-19 საუკუნიდან დღემდე. ქვეთავებში განხილულია ამა თუ იმ კერაში მოღვაწე ქართველი მწიგნობრების ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა, მათ მიერ ქართულად ნათარგმნი ძეგლები, მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის სპეციფიკა. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოცემულ კერაში გადაწერილ ხელნაწერებს, ხელნაწერთა კოლექციების სპეციფიკის გამოკვეთას. თითოეულ თავს ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია სეგმენტებად, ესენია: სამეცნიერო ნაშრომები, წყაროთა პუბლიკაციები, ხელნაწერთა აღწერილობები.

ნაშრომში გამოკვეთილია თითოეული სამონასტრო კერის მახასიათებელი ნიშან-თვისებები და მიზანდასახულება. ქართველთა **პალესტინაში** მოღვაწეობის შესახებ საუბრისას განხილულია ადრეული ქართული თარგმანების, მათ შორის, ბიბლიური წიგნების ენობრივი სპეციფიკა, ასევე, პალესტინის რეგიონში შექმნილი ქართული ლიტურგიკული კრებულების მნიშვნელობა ზოგადად იერუსალიმური ღვთისმსახურების შესწავლისათვის (როგორც ცნობილია, ამ ძეგლების ბერძნული წყაროები დღეისათვის შემორჩენილი არ არის); სპეციალური ქვეთავი ეთმობა სხვადასხვა აღმოსავლური ენიდან – სირიულიდან და არაბულიდან – შესრულებულ ადგილობრივი წმინდანების „ცხოვრებათა" თუ „წამებათა" თარგმანებს, რომელთა წყაროები, ასევე, დაკარგულია. **სინაზე** ქართველთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილ თავში გამოკვეთილია სინის მთის მწიგნობრული სკოლის სპეციფიკა – ხელნაწერთა გადაწერა-გავრცელება, განსაკუთრებით, ლიტურგიკულ კრებულთა რედაქტირება-რეცენზირება. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სინის მთის თვალსაჩინო მოღვაწეს, იოანე ზოსიმეს, როგორც ლიტურგიკაში ღრმად განსწავლულ რედაქტორსა და, ასევე, ყდების ოსტატს. **ათონის** მწიგნობრული სკოლის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია მე-10 საუკუნის საქართველოს და, ამასთან დაკავშირებით, ათონის მთის მწიგნობრული კერის – ივირონის – პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციაზე, მკვეთრად გამო-

ხატულ გეზზე კონსტანტინოპოლისაკენ; წარმოჩენილია ქართველი ათონელების ძირითადი მიზნები ტექსტებზე მუშაობისას: მანამდე უთარგმნელი ბიზანტიური მწერლობის მნიშვნელოვანი თხზულებების თარგმნა უშუალო ბერძნული წყაროებიდან და ადრე ნათარგმნი თხზულებების რევიზია-რედაქტირება თანადროული ბერძნული წყაროების მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ათონელი მამების, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, მთარგმნელობითი ხერხების, ასევე, ათონური ხელნაწერების კოლექციის განხილვას. **შავი მთის** სკოლა, რომელიც მიჩნეულია ათონელთა „დასავლური" ორიენტაციის გამგრძელებლად, წარმოჩენილია, როგორც კულტურული მიმდინარეობის – ელინოფილიზმის – კერა, ხოლო მისი წარმომადგენელი, ეფრემ მცირე, თავისი ელინოფილური, ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანებით, სპეციფიკური რეპერტუარის შერჩევით, კოლოფონებითა და საკუთარ თარგმანებზე დართული შესავლებით, რომლებშიც მისი თეორიული მოსაზრებებია გამოთქმული მთარგმნელობით მეთოდებზე, რიტორიკაზე, ლექსიკაზე და ა. შ., „დასავლურად" – მეცნიერულად მოაზროვნე მწიგნობრად არის წარმოდგენილი. თავში **კონსტანტინოპოლის** მწიგნობრული სკოლის შესახებ განხილულია ბიზანტიის დედაქალაქში გადაწერილი მაღალი მხატვრულობით გამორჩეული ქართული ხელნაწერები, გამოკვეთილია იქ მოღვაწე ქართველი მეცენატების, ბიბლიოფილებისა და მომგებლების სახეები, ყურადღება გამახვილებულია ქართველი მწიგნობრების მთარგმნელობით საქმიანობაზე, რომლებსაც განათლება კონსტანტინოპოლში ჰქონდათ მიღებული – არსენ ვარაზ-ვაჩესა და იოანე პეტრიწზე. თავში **პეტრიწონის** შესახებ მიმოხილულია ამ მონასტრის დაარსების ისტორია და ამასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, განხილულია პეტრიწონის მონასტრის ქართულ-ბერძნული ტიპიკონი – ერთადერთი წყარო, რომელიც იძლევა ინფორმაციას იქაური მწიგნობრული ცხოვრების შესახებ. ნაშრომის ბოლო თავში – „ქართველები და სხვები" – საუბარია ქართველთა ურთიერთობებზე შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან: ბერძნებთან, სომხებთან და ლათინებთან. ეს ურთიერთობები არ იყო ყოველთვის კეთილმოყვრული, თუმცა მწიგნობრობის სფეროში დასტურდება ქართველთა „სხვებთან" თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების არაერთი შემთხვევა.

ნიშანდობლივია, რომ ყოველ თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ცალკეული კერის ხელნაწერ მემკვიდრეობასა და მის შემქმნელებს: ხელნაწერთა გადამწერებს, მომგებლებს, მომხატველებს; გამოკვეთილია გზა, რომელიც განვლო ქართულმა ხელნაწერმა ლი-

ტურგიკული დანიშნულების კრებულიდან სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის ხელნაწერამდე; წარმოჩენილია, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე ბერძნულმა ხელნაწერმა წიგნმა და რა როლი შეასრულა ახალი ტიპის ქართულმა ხელნაწერმა შუა საუკუნეების ქართველი მკითხველის ჩამოყალიბებაში.

ბოლოსიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ ქართველები უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში მუშაობისას, ასევე, ბიზანტიელ ინტელექტუალებთან თანამშრომლობის პროცესში, თანაზიარნი ხდებოდნენ იმ იდეებისა, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო ევროპულ ჰუმანიზმს. ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში ქართველთა მოღვაწეობას, ქართველთა ბიზანტიურ კულტურასთან უშუალო ზიარებას. ეს არის, უმთავრესად, ეროვნული სასწავლო-რელიგიური ცენტრის – გელათის აკადემიის დაარსება და სწორედ უცხოეთის სამონასტრო-საგანმანათლებლო კერებში შექმნილი თარგმანების გზით შემოტანილი ჰუმანისტური იდეებით გამსჭვალული პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ – შექმნა.

ნაშრომის ავტორები არიან მეცნიერები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ სამონასტრო კერებთან დაკავშირებულ პრობლემებზე: *პალესტინა* – თინათინ ქრონცი (კელნის უნივერსიტეტი), ანა ხარანაული (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თამარ პატარიძე (ლუვენის უნივერსიტეტი), თინა ცერაძე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); *სინის მთა* – † ზაზა ალექსიძე და დალი ჩიტუნაშვილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), *ათონის მთა* – თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), *შავი მთა* – თამარ ოთხმეზური; *კონსტანტინოპოლი* – დარეჯან კლდიაშვილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), მაგდა მჭედლიძე (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), *პეტრიწონი* – ნიკოლოზ ალექსიძე (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი), *ქართველები და სხვები* – თამარ ოთხმეზური.

შევეცდებით, ჩვენი რეცენზიის მეშვეობით წარმოვაჩინოთ მეცნიერთა დასახელებული ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შთამბეჭდავი სურათი. რასაკვირველია, საფუძველი ამ კვლევისათვის უკვე იყო შექმნილი: ქართული ქრისტიანული კულტურა და, განსაკუთრებით, ძველი ქართული სასულიერო მწერლობა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ქართველ და უცხოელ მკვლევართა დიდი ინტერესისა და შესწავლის საგანი იყო; თუნდაც კორნელი კეკელიძის მიერ გაწეული შრომა ამ მიმართულებით და მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ რომ არა, ძალიან გაჭირდებოდა იმ შედეგის მიღწევა, რაც ასახულია სარეცენზიო ნაშრომში.

გარდა ახალი, თანადროული კვლევების შედეგებისა, განსახილველი ნაშრომის გამოკვეთილი სიახლე და მთავარი დამსახურება ამ საქმეში ჩართული მეცნიერებისა, არის იმ პროცესების სიღრმისეული ანალიზი, რაც მიმდინარეობდა შუა საუკუნეებში ქრისტიანული სამყაროს საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებში და იმ მიზეზების დადგენა, რამაც ხელი შეუწყო ძველი ქართული სასულიერო მწერლობის გამორჩეული ღირებულებისა და რაოდენობის თარგმანების და, ასევე, ორიგინალური ძეგლების შექმნას. ამ პროცესების სიღრმისეული ანალიზი წიგნის ავტორებისაგან მოითხოვდა მაღალ პროფესიონალიზმსა და საკვლევი მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას, ასევე, როგორც ცალკეულ სამწიგნობრო ცენტრში შექმნილი დანატოვრის ანალიზს, ისე – იმ კავშირების დანახვას, რაც ამ ცენტრებს შორის არსებობდა – სწორედ ამის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ჩვენი დიდი განმანათლებელი საეკლესიო მამების მთარგმნელობითი მოღვაწეობის სხვადასხვა კუთხით კვლევა და შეფასება.

იმ სახის სამეცნიერო ნაშრომების შექმნა, რომლებშიც სრულად იქნება თავმოყრილი ამა თუ იმ დარგში მოღვაწე მრავალი მეცნიერის მრავალწლიანი კვლევის შედეგები, რაც ამ დარგის მნიშვნელობას წარმოაჩენს, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სარეცენზიო ნაშრომის სახით. მით უმეტეს, მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ძალიან დიდი მასალა, რომელმაც გააერთიანა და სრულყოფილად წარმოადგინა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის დღევანდელი შედეგები, ინგლისურ ენაზე არის გამოცემული – უცხოეთის დაინტერესებულ მეცნიერებსა და ფართო საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს და სწორად შეაფასოს შუა საუკუნეებში მაღალი საღვთისმეტყველო ცოდნითა და მხატვრული ოსტატობით ქართულად თარგმნილი ბიზანტიური სასულიერო და საისტორიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშების კვლევის შედეგები. ბევრი ასეთი თარგმანის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის, რომ მათი ბერძნული დედნები დაკარგულია და სხვაენოვანი თარგმანები, მათ შორის უძველესი ქართული ტექსტები, დაკარგულის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა. გვინდა აღვნიშნოთ ის სირთულე, რაც თან ახლავს ამგვარი ნაშრომის სხვა ენაზე გადაღებას და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მის მთარგმნელებს, ქალბატონ მანანა ოდიშელსა და ბატონ მიქაელ ვიკერს ამ სამუშაოს შესანიშნავი შესრულებისათვის. ასევე, განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ ქალბატონ თამარ ოთხმეზურის დამსახურება, რომელიც წიგნის არა მხოლოდ ერთ-ერთი ავტორია, არამედ მისი რედაქტორიც – მრავალავტორიანი ნაშრომის რედაქტორობა რთული საქმეა: დიდი

მასალის ერთი მიმართულებითა და პრინციპით კვლევის წარმართვა ამ მასალის საფუძვლიან ცოდნასა და იმ ორიენტირების გამოკვეთას მოითხოვს, რაც კვლევას საერთო გეზს მისცემს.

ნაშრომი შეიქმნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ასევე – კელნისა და ლუვენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით – ეს ფაქტი კარგად მეტყველებს ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის კვლევით ტრადიციებზე და დღევანდელი ხელნაწერთა ცენტრის სამეცნიერო დონესა და პოტენციალზე.

თავს უფლებას მივცემთ, არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ძველი ქართული ლიტერატურისა და, ზოგადად, ქართული კულტურის მკვლევართა სახელით, მადლობა გადავუხადოთ წიგნის შემქმნელ მთელ კოლექტივს და კიდევ ბევრი ასეთი ნაშრომით გამდიდრება ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებას.

ნინო მელიქიშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ninomelikishvili@hotmail.com

DOI: 10.32859/kadmos/17/121-128

Th. Otkhmezuri, ed., Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, English translation by M. Odisheli, M. Vickers (Jerusalemer Theologishes Forum 42), Münster: Aschendorff Verlag, 2022, 505 pp.

Since ancient times, Georgian culture and literature has been developing in close connection with other cultures of the world. Georgian literary tradition which originated in the footsteps of the Christianization of Georgians, has been connected to the monastic centres of the Christian Middle East and Byzantium. The intellectual activity of Georgian monks and scholars in foreign monastic and educational centres played a crucial role in shaping the Georgian Christian culture and thought. Moreover, the Georgians established their own monasteries in Palestine, Mount Athos, Antioch, and different regions of the Byzantine Empire. These centres undertook large-scale cultural and educational projects – translation of the most significant works of the Christian literature, creation of original Georgian writings and precious manuscripts. The literary activity of Georgians in foreign monastic centres reflect both – their close contact with advanced intellectual settings and, at the same time, their attempt to maintain ecclesiastic and cultural independence.

The book – *Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium* (Jerusalemer Theologisches Forum, Bd. 42), edited by Thamar Otkhmezuri, English translation by Manana Odisheli and Michael Vickers, Münster, Aschendorff, 2022 (505 pp.) – presents to readers in a coherent, diachronic manner, the literary work of Georgian ecclesiastics in the monastic centres of Palestine, Mt Sinai, Mt Athos, the Black Mountain, Constantinople, and Petritsoni (Bachkovo). It aims to show how Georgians adopted the ideas and values that were predominant in the advanced literary and cultural centres of the Christian world, and how they introduced these ideas and values into Georgian national literature, converting them into an essential part of Georgian intellectual heritage. The book also discusses the issue of relations of the Georgians with other ethnic groups – the Greeks, the Armenians and the Latins – in the multicultural and multilingual setting of the monastic centres.

The book is an attempt to fill the gap that exists in the West regarding the history of medieval Georgian culture and literature. It provides interna-

tional scholars with the current thinking of Georgian specialists on the history of medieval Georgian literature. The authors of the chapters are: Palestine: Tinatin Chronz (University of Cologne), Anna Kharanauli (Iv. Javakhishvili Tbilisi State University), Tamara Pataridze (Catholic University of Louvain), Tinatin Tseradze (Georgian National Centre of Manuscripts), *Mount Sinai:* Zaza Aleksidze – Dali Chitunashvili (both Georgian National Centre of Manuscripts), *Mount Athos:* Thamar Otkhmezuri, Maia Raphava (both Georgian National Centre of Manuscripts), *The Black Mountain:* Thamar Otkhmezuri, *Constantinople:* Darejan Kldiashvili (Georgian National Centre of Manuscripts), Magda Mtchedlidze (Iv. Javakhishvili Tbilisi State University), *Petritsoni:* Nikoloz Aleksidze (Free University of Tbilisi), *Georgian and the "Others"*: Thamar Otkhmezuri.

Nino Melikishvili
K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
ninomelikishvili@hotmail.com
DOI: 10.32859/kadmos/17/121-128

უცხოური ქართველოლოგია
KARTVELIAN STUDIES ABROAD

მიშელ ვან ესბროკი
მიუნხენის უნივერსიტეტი, გერმანია
DOI: 10.32859/kadmos/17/129-134

სამი ჯვარი „ქართლის მოქცევაში“*

წინამდებარე სტატიის მიზანი შემოიფარგლება მასში განხილულ ისტორიულ მონაცემებს შორის მიმართების განხილვით და იმის წარმოჩენით, რომ ჯვრის ლეგენდების გვიანდელი და დაკარგული ბერძნული მოდელების აღმოსავლური ვერსიები იყენებენ იმავე სიმბოლოებსა და თარიღებს, რასაც ვხვდებით ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებულ ქართულ თხზულებებში, კერძოდ, იაკობის, გრიგოლ დიაკონისა და მეფე მირიანის მონათხრობებში.

ეს სამი ქართული თხზულება მრავალმხრივ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდება კიდეც. იაკობის თხზულება მცხეთის ჯვრის აღმართვის თარიღად მიუთითებს 7 მაისს, პრეამბულით 25 მარტს, როცა ჯვრისთვის მოიჭრა ხე. მას მოსდევს ორი ზეციური ხილვა ჯვრისა, რომელიც ვარსკვლავებით იყო გარშემორტყმული და მათი ერთი ნაწილი დასავლეთისკენ გადაადგილდა, მეორე კი – აღმოსავლეთისკენ, იმ ადგილებისკენ, სადაც აღმართავენ ორ ჯვარს – ერთს ქვაბთა მთაზე, დასავლეთით, მეორეს კი – ბოდიში, აღმოსავლეთით.[1] გრიგოლ დიაკონის თხზულება კლარჯულ მრავალთავში K-34 ცალკეა გატანილი ლიტურგიკულ თარიღზე, რომელიც მოსდევს მარტვილიას.[2] პირველი ჯვარი მირიანის მიერ აღმართული ჯვარია, მეორე მომდინარეობს წყვდიადში ნათებისგან და მისი აღმნიშვნელი ჯვარი თვალნათლივ აღიმართა ბორცვზე, მცხეთის აღმოსავლეთით, კვირიაკე დღესა, „ზატიკისა ზატიკს“. მესამე, თორმეტი ვარსკვლავით დაგვირგვინებული ჯვარი, ჩნდება მარტვილიიდან ცოტა ხნის შემდეგ.

---

* Michel van Esbroeck, Les trois croix dans le *kartlis mokceva*, *Caucasica* 2, 1998, p. 70-76.

1 ბ. გიგინეიშვილი, ე. გიუნაშვილი, *შატბერდის კრებული*, თბილისი, 1989, 348-350. *მოქცევაჲ ქართლისაჲ,* თავი 13.

2 თ. მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი.* თბილისი, 347-344 ,1991. კრიტიკული გამოცემა ი. აბულაძის გამოცემული შატბერდის კრებულით იხ. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები,* ტ. I, თბილისი, 157-153 ,1963.

მას მოსდევს მთელი რიგი კურნების სასწაულები, ოღონდ სასწაულმოქმედად მხოლოდ მცხეთის ჯვარი მიიჩნევა. მეფე მირიანის თხზულება[3] პირველ ნათლის ჯვარს წარმოგვიდგენს როგორც მის პირად ხილვას. ანგელოზი მას მიუთითებს ჯვრის აღსამართავ ადგილს და მისი დღესასწაული „ზატიკის ზატიკზე" დაწესდა. ჯვრის მეორე ხილვას, რომელიც მარტვილიის მომდევნო ოთხშაბათს მოხდა, წარმოადგენს თორმეტი ვარსკვლავით დაგვირგვინებული ჯვარი. მესამე ხილვა წარმოგვიდგენს არა ახალ ჯვარს, არამედ კურნებათა სერიას. ხილვაში მოხსენიებულია „სუეტი ნათლისაჲ."

ხილვების შესახებ ამ სამი თხზულების წარმოშობა საჭიროებს, გავაანალიზოთ იგი იმ ბერძნულ თუ იმ აღმოსავლურ პარალელებთან მიმართებით, რომელთაც ბერძნული დედანი აქვთ.

პირველი ტექსტი, რომელსაც განვიხილავთ, მომდინარეობს გვიანდელი ბერძნული ტექსტიდან, სათაურით: „მარგებელი თხზულება, ამოღებული ძველი ისტორიებიდან, რომელიც მოიხსენიებს თაყვანისსაცემელი ჯვრისა და სამსჭვალების ხილვას წმ. ელენეს მიერ იუდას წყალობით, რომლის სახელიც კვირიკედ შეიცვალა, იერუსალიმის დაარსებისა და რამდენიმე სხვა საკითხის შესახებ." ეს ტექსტი, ფ. ჰალკინის[4] მიხედვით ლიტ. BHG 412 საკმაოდ გრძელია და ამოღებულია მიუნხენის XIV ს-ის n. 443 ხელნაწერიდან. იგი 1616 წ. გამოაქვეყნა ჟ. გრესტერმა,[5] რომელმაც ტექსტი 30 დაუნომრავ პარაგრაფად დაყო. მისი ბოლოსწინა პარაგრაფი მოგვითხრობს, თუ როგორ შექმნა კონსტანტინემ სამი ჯვარი თავისი იმპერიისთვის. ვციტირებ: „მას შემდეგ, რაც დედამისი იერუსალიმიდან თავის ქალაქში დაბრუნდა, კონსტანტინემ სამი დიდი ჯვარი აღმართა, იმდენი, რამდენიც ბრძოლების დროს მოევლინა. პირველი – რომში, როცა დაიხრჩო მაქსენციუსი, მეორე – ბიზანტიაში, და მესამე – როცა ხიდი გადო დუნაიზე. კონსტანტინემ მესამე ხილვის ფორმის მიხედვით აღმართა წმინდა ბრინჯაოს სამი ჯვარი და უწოდა მათ: იესო, ქრისტე და გამარჯვებული!"[6] წინამდებარე სტატიის ფარგლებში შეუძლებელია იმ ვრცელი ტექსტის კომენტირება, რომელიც ამ პარაგრაფით სრულდება. საკმარისია შევნიშნოთ, რომ მასში მოთხრობილ ერთ-ერთ ეპიზოდს შესატყვისი აქვს XII ს-ის გამოუქვეყნებელ ბერძნულ ტექსტში Paris 1586, f. 190-196, ჰალკინის მიხედვით ლიტ. BHG 412. ეს ტექსტი თავისი სათაურით უახლოვდება მიუნხენის ტექსტს, რომლის სათაურია: „მონათხრობი

3 *შატბერდის კრებული*, თბილისი, 1989, 350-352. *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, თავი 14.

4 F. Halkin, *Bibliotheca hagiographica graeca*, t. 3, Bruxelles, 1957, 85.

5 I. Gretser, *Opera omnia de sancta Cruce*, Ingolstadt, 1957, 85.

6 ვციტირებთ Iacobi Gretseri societatis jesu theologi Opera omnia, t. 2, Ratisbonae, 1734, 436-ის მიხედვით.

თაყვანისსაცემელი და ცხოველსმყოფელი ჯვრის გამოჩინებაზე და ძველი ებრაელის მიერ მეგობრისთვის მიწერილი ამბავი“ [7]. ებრაელის ამბავი გვხვდება ორ ტექსტში, მაგრამ აქ ჩვენ ის არ გვაინტერესებს.[8] ფინალური პარაგრაფი კი, რომელიც ეხება სამი ჯვრის აღმართვას, არ გვხვდება პარიზულ ტექსტში, მას მრავალი პარალელი მოეპოვება მიუნხენის ტექსტთან. იგი გაკვრით მიუთითებს ჰერაკლეს მიერ ჯვრის პოვნის შესახებ. აქედან ჩანს, რატომ გადაიწერა ჯვრის გამოჩინების ლეგენდა.[9] შესაძლოა, ამ ტრადიციამ საბოლოო წერტილი დაუსვა იუდა-კვირიკეს ტრადიციას ჰერაკლეს ჯვარზე აღმოსავლეთში, ისევე როგორც ალექსანდრე კვიპრელის ტექსტმა – VI ს-ის ბიზანტიაში.

გრეტსერის § 29-ის პარალელი გვხვდება იაკობის თხზულებაში, რომელიც აღწერს სამი ჯვრის აღმართვას. ერთისას – ცენტრში, დანარჩენი ორისას კი – დასავლეთით და აღმოსავლეთით. 7 მაისის დღესასწაული ასოცირდება ამ სამ ჯვართან. ეს თარიღი კარგადაა ცნობილი იერუსალიმის ისტორიაში. საქმე ეხება ჯვრის გამოჩინებას იერუსალიმის თავზე, რაც დაემთხვა კონსტანსი II-ის გამარჯვებას მურსიაში, პანონიაში, 351 წელს. კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე საზეიმოდ აცხადებს ნახევრად არიანელი იმპერატორის სადიდებელ ორივე მოვლენას. კონსტანსის ხილვის ვერსია შემონახულია არიანელი ისტორიკოსის, ფილოსტორგის მიერ. მასში პირველად ვხვდებით ცნობას თორმეტი ვარსკვლავით დაგვირგვინებული ჯვრის შესახებ. ხოლო ნახევრად არიანელი იმპერატორების damnatio memoriae-ს მიხედვით, აღმოსავლეთში „ჯვრის გამოჩინების“ ყველაზე გავრცელებულ ტექსტებში ამ ხილვის სახე გადატანილია კონსტანტინეს ხილვაზე.[10] ტექსტი იწყება სიტყვებით: „იმპერატორ კონსტანტინეს მეშვიდე წელს დუნაიზე შეიკრიბა დიდძალი ჯარი“. ბერძნულად იგი ნაკლებად იყო გავრცელებული, აღმოსავლეთში კი – გაცილებით მეტად. ქართულად ერთ-ერთი ტექსტი გვხვდება ექვსივე მრავალთავში. ა. შანიძემ 1931 წ. გამოაქვეყნა მთავრულით ნაწერი ეს ტექსტი მომავალი ფილოლოგების სავარჯიშოდ.[11] იგი შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ თეოდოსი I-ის დროს, 400 წლის მახლობლად. აქედან გამომდინარეობს, რომ ია-

7 ხელნაწერი Paris 1586, fol.190v.

8 აბრაამთან, ლოთთან და ჯვრის ხესთან დაკავშირებულ ამ ამბავს – იხ.: Paris grec fol.194r-196r **და** Grester op.cit., 434-435, §§23-26 – XI ს-ში მოგვითხრობს პროხორე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებულ ლეგენდებში.

9 ხელნაწერი Paris grec 1586, fol. 192v.

10 M.van Esbroeck, La portée politico-religieuse des Visions pour la conversion des peuples, in: *Revue de l'Institut catholique de Paris* 53 (janvier-mars 1995), 87-104, ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ ეს სიმბოლოები.

11 M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens*, Louvain-la-Neuve, 1975, 100. ა.შანიძე, ძველი ქართულის ქრესთომატია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1935, 45-52 – უდაბნოს მრავალთავის მიხედვით, სრული სახით იხ. ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, უდაბნოს მრავალთავი, თბილისი, 1994, 108-116.

კობის ტექსტი და მასში მოთხრობილი ხილვები სავსებით გასაგებია მონაცემების წყალობით, რომლებიც აღმოსავლეთს არ ამოუღია ჰერაკლეს დროს.

იმავეს ვერ ვიტყოდით გრიგოლ დიაკონისა და მირიანის მონათხრობებზე. ეს თხზულებები აშკარად უკავშირდება მცხეთასთან მდებარე ჯვრის ეკლესიას მობილური თარიღით, „ზატიკისა ზატიკს“ აღსრულებით, როცა ვარსკვლავებით დაგვირგვინებული ჯვარი ასოცირდება მარტვილიიდან ცოტა ხნის შემდეგ დაწესებულ დღესასწაულთან. ორივე დღესასწაული შეტანილია იოანე ზოსიმეს მოძრავ კალენდარში. პირველი – აღდგომიდან მესამე პარასკევს, მეორე – აღდგომის მომდევნო ოთხშაბათს.[12] აღმოსავლური წყაროების გაცნობამ გვაფიქრებინა, რომ თუმცა მათი როლი განსაზღვრულია უფრო გვიანდელი მოვლენებით, აქ საქმე არა გვაქვს იერუსალიმისთვის უცხო თარიღებთან.

ჯვრის მეორე აღმართვის აღსრულება სულთმოფენის აღდგომის შემდეგ წარმოადგენს ტურინში შემონახული VII ს-ის პაპირუსის[13] კოპტური ტექსტის ცენტრალურ თემას. კონსტანტინე და მისი და ევდოქსია ჯვრის ზედა ნაწილის მოსაძებნად მიწას თხრიან სულთმოფენის ზატიკზე, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ კონსტანტინემ გადაწყვიტა მეორე ზატიკის შემოღება, რაც 21 ტობის, ანუ 16 იანვარს დაემთხვა.[14] ფაქტი, რომ კოპტურ თხზულებაში ამ ზატიკთა ზატიკს ემთხვევა ჯვრის ის გამოჩინება, რომელიც ელენეს გამოჩინებასთან მიმართებით მეორეა და რომ დღესასწაულის უცნაური ქართული სახელდება ჯვრის ეკლესიას მიანიშნებს გადაღმა ბორცვზე, ვფიქრობთ ურთიერთშესადარებელია. შემთხვევითობა გამორიცხულად მიგვაჩნია. ამიტომ, საქმე უნდა გვქონდეს ორი გამოჩინების ხსენებასთან. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ გავაიგივოთ სულთმოფენა იანვარში ზატიკთან? აქ დახმარებას გვიწევს სომხური ტექსტი, სადაც შობის იდენტური სულთმოფენის დღესასწაული მოცემულია ზატიკის პარალელურად, სიმბოლიკით, რომელიც აღნიშნავს შესაქმეს ოთხშაბათს, ხარებას – ოთხშაბათს, 6 აპრილს, ხოლო შობას 6 იანვარს. სულთმოფენა ემთხვევა პარასკევის ზატიკს, რომელიც აღდგომას მოსდევს.[15] არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტერმინი „ზატიკი“ ნასესხებია სომხუ-

12 G. Garitte, Le calendrier palestino-géorgien du Sinaïticus 34, Bruxelles, 1958, 117-118 და კომენტარები გვ. 429 და 438.

13 T. Orlandi, B. A. Pearson, H. A. Drake, *Eudocia and the Holy Sepulchre: A Constantinian Legend in Coptic*, Milan, 1980.

14 იხ. M. van Esbroeck, La Dormition chez les Coptes, in: *Actes du IV*[e] *Congrès copte*, Louvain-la-Neuve, 5-10 septembre, 1988, éd. M. Rassart- Debergh, Julien Ries (Louvain-la-Neuve 1992), 436-208. იგივე სტატია იხ. ასევე M. van Esbroeck, *Aux origines de la Dormition de la Vierge*, Variorum, 1995, art. XI.

15 M. van Esbroeck, Un court Traité pseudo-basilien de mouvance aaronite conservé en arménien, in: *Le Muséon*, t. 100, 1987, 385-395. ასევე in: Variorum 1995, art. VIII.

რიდან და დღესასწაულის სახელდებაც კი გვიბიძგებს, დავძებნოთ შუალედური სომხური ტექსტი. რატომ გაიტანა იოანე ზოსიმემ დღესასწაული ზატიკის მესამე კვირიაკეს? ეს არ არის ბუნებრივი მისადაგება დღესასწაულის უჩვეულო სახელთან კოპტური დღესასწაულის ძირითადი მოტივის მისაჩქმალავად. იგი უკავშირდება იერუსალიმის ანტიპატრიარქის თეოდოსის ოცთვიან პირველ დაპირისპირებას 451-453 წწ. თეოდოსის გადაყენება იმპერატორ მარსიენის მიერ და იუვენალის აღდგენა იერუსალიმის ტახტზე პატრიარქის ტიტულში კოპტებთან და სომხებთანაც კი ჩქმალავს მის წარმომავლობას. შემდეგ მონოფიზიტობა სათავეს იღებს ანტიოქიაში 485 წ., ეგვიპტეში – 505 წ. და სომხეთში –506 წ.[16] საქართველოში, როცა სულთმოფენა აღარ ემთხვეოდა შაბათს, სულთმოფენის ზატიკის ციკლს აზრი აღარ ჰქონდა, თუმცა დღესასწაულის აღნიშვნა იმავე სახელით, „ზატიკი ზატიკთა“ შემორჩა და აღდგომის მესამე კვირიაკეს აღნიშნავდა.

უფრო ძნელია მარტვილიის ოთხშაბათის შემთხვევა. ჩვენი აზრით, იგი სათავეს იღებს თეოდოს იერუსალიმელის ანტიქალკედონური კონტექსტიდან. ამას გვაფიქრებინებს „ზეციდან მოვლენილი ეპისტოლე“, აპოკრიფული დოკუმენტი, რომლის გვიანდელი ასლები თანდათანობით წარმოადგენენ აპოკალიფსს, რომელიც ისლამური ხელისუფლების საპირისპიროდ მოქმედებდა. ეს უცნაური დოკუმენტი არსებობს ახლო აღმოსავლეთის ყველა ენაზე და ლათინურადაც კი.[17] ლათინური ტექსტი საშუალებას იძლევა, ზუსტად შევაფასოთ ამ პოლიმორფული ტექსტის სიძველე. ეპისტოლეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს კვირიაკეს დღესასწაული, რომელმაც დასავლეთში ხელი შეუწყო მორწმუნეთათვის საკვირაო ვალდებულების შეხსენებას. მაგრამ ვერსიების შედარებამ გვიჩვენა, რომ თავდაპირველი მოდელი დაკარგულია და, სავარაუდოდ, თავიდან იგი იცავდა ოთხშაბათის თეზასა და მის საკრალურობას, განპირობებულს იმ ფაქტით, რომ კალენდარი შეიქმნა ოთხშაბათს, რადგან მზისა და მთვარის შექმნამდე შეუძლებელი იყო დაწყებულიყო დღეების დათვლა. ოთხშაბათ-შაბათის სომხური სიწმინდე ჩნდება მთელ რიგ დოკუმენტებში, მათ შორის ზემოთ მითითებულ სომხურ ტრაქტატშიც. იმავე მიზეზით, როგორც ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, სომხურში თარიღი წაიშალა. მაგრამ, ერევანი n. 993-ში მარტვილიის პროგრამაში შემორჩა კვალი, რომელსაც იოანე II იერუსალიმელის წმ. სიონის დაარსებასთან დაკავშირებული ჰომილია მარტვილიის მომდევნო კვირიაკეს გადააქვს,

16 იხ.: M. van Esbroeck, Les trois formes de l'antichalcédonisme de 451 à 553 et ses répercussions dans le Caucase, in: D. E. Afinogenov, A.V. Muraviev, *Traditions and Heritage of the Christian East*. Proceedings of the International Conference, Moscow, 1996, 382-398.

17 M. van Esbroeck, La lettre sur le dimanche, descendue du ciel, in: *Analecta Bollandiana*, t. 107, 1989, 267-284. მასში იხილავთ ყველა ხელმისაწვდომი ვერსიის შეპირისპირებას, იხ. აგრეთვე in : Variorum Reprints 1995, art. XIII.

მაშინ, როცა ყველაფერი მიუთითებდა ამ ტექსტის 13 სექტემბრის თარიღზე გადატანას.[18] სიმეტრიულად საპირისპირო ოთხშაბათის, 12 სექტემბრის თარიღი რჩება „ზეციდან მოვლენილი ეპისტოლეს“ უფრო ძველ დამოწმებაში. მისი ლოგიკური ადგილი მასში მოცემული აპოკრიფის გათვალისწინებით, უნდა იყოს მარტვილიის ოთხშაბათის სრული ესქატოლოგიური კონტექსტი.

თუ არ ვცდებით, ქართულ ტრადიციაში არსებობს საოცრად კარგად შემონახული ჰეორტოლოგიური გადმოცემა, რომელიც თარიღდება იერუსალიმის ანტიპატრიარქის, თეოდოსის პერიოდით, ასევე არსებობს მისი ბუნდოვანი კვალი კოპტურსა და სომხურში. ეს, ცხადია, მოითხოვს ახსნას. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ პეტრე იბერი ეპისკოპოსად თეოდოსი ანტიპატრიარქმა აკურთხა. იგი სარგებლობდა დედოფალ ევდოკიას ისეთი მფარველობით, რომ ერთადერთი ეპისკოპოსი იყო, რომელიც თეოდოსის შერისხვის დროს არ გადაუყენებიათ.[19] წარჩინებული ბერი და ფილოსოფოსი პეტრე იბერი სიმბოლურ ლიტურგიაში მოღვაწეობდა თეოდოსიანელი პატრიარქის რეფორმების დროს. ქართველ დიდებულს, ცხადია, არ შეუწყვეტია ურთიერთობა საქართველოსთან. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ გრიგოლ დიაკონს, რომლის შესახებაც პრაქტიკულად არაფერი ვიცით, ან შესაძლოა, მის წყაროს შესძლებოდა V ს-ის შუა წლებში ჩაეწერა ცნობა იერუსალიმის ლიტურგიის შეცვლის შესახებ, რასაც დიდი დღე არ ეწერა. დღესასწაულების გადანაწილება სასწრაფოდ მიესადაგა ქალკედონიზმს, შესაძლოა, პეტრე იბერის სიცოცხლეშიც კი, მაგრამ იუსტინიანეს ეპოქის დაწყებიდან მოყოლებული კი – ნამდვილად. ეს თარიღები იოანე ზოსიმეს მიერ სათანადოდაა გატანილი ეპოქაში, როცა დღესასწაულების ისტორიული დასაბამი უკვე კარგა ხანია აღარ აღიქმებოდა.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
tsissana@hotmail.com

18 M. van Esbroeck – U. Zanetti, Le manuscrit Erévan 993, Inventaire des pièces, in: *Revue des études arméniennes*, N.S. t. 1w2, 1977, 153-154.

19 M. van Esbroeck, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite… in: *Orientalia Christiana Periodica*, t. 59, 1993, 217-227.

ჩვენი ავტორები
Contributors

ომარ ბეგოიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
Omar Begoidze – PhD student, Ilia State University

ცისანა ბიბილეიშვილი – პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი
Tsisana Bibileishvili – Professor, Caucasus University

მაია დამენია – დოქტორი, ასისტენტ-მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი
Maia Damenia – PhD, Assistant Researcher, Ilia State University, the Institute of Linguistic Studies

ნინო დობირჯგინიძე – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nino Doborjginidze – Professor, Ilia State University

მიშელ ვან ესბროკი † – მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი
Michel van Esbroeck † – Professor, Ludwig Maximilian University of Munich

ანა ზარანდია – დამოუკიდებელი მკვლევარი, ჰუმანიტარული მეცნიერებათა მაგისტრი ენათმეცნიერებაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ana Zarandia – independent researcher, MA in Linguistics from Ilia State University

თამარ მახარობლიძე – პროფესორი, ჟესტური ენის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Tamar Makharoblidze – Professor, Head of the ISU Sign Language Research Lab at Ilia State University

ნინო მელიქიშვილი – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Nino Melikishvili – Senior Researcher at the Department of Codicology and Textology, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

ნანა მჟავანაძე – ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

Nana Mzhavanadze – PhD in Ethnomusicology, Senior Researcher at Tbilisi State Conservatoire

ფრანკ შერბაუმი – ჰაბილიტირებული დოქტორი გეოფიზიკაში გეოფიზიკის პროფესორი, გეომეცნიერებათა ინსტიტუტი, პოტსდამის უნივერსიტეტი

Frank Scherbaum – Dr. rer. nat. habil. in Geophysics, Professor of Geophysics at Institute of Geosciences, University of Potsdam

დავით შუღლიაშვილი – მუსიკოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

David Shugliashvili – PhD in Musicology, invited specialist at Tbilisi State Conservatoire.

ლევან შუღლიაშვილი – დამოუკიდებელი მკვლევარი, მანქანური სწავლების მკვლევარი ააიპ „აიროში“

Levan Shugliashvili – independent researcher, Machine Learning Researcher at AIRO NNLE

თამარ ჭეიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tamara Cheishvili – Associate Professor, Ilia State University

ანა ჭკუასელი – ასისტენტ-პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ana Chkuaseli – Assistant Professor, Ilia State University